ჩემ კით შეკი ჭიხის მნახველია,
მეგობარ მითხრა ლოცვილი და ჯანსაღი,
სანახავად ახლებით სახლია,
ის თქმა ყველა, შეყვარებულო!

გ. ლ

ISBN 978-9941-8-4220-7

გენო ლიჩელი

მე ვარ წერილი უმისამართო

გენო ლიჩელი

მე ვარ წერილი უმისამართო

გენო
ლიჩელი

მე ვარ წერილი უმისამართო

თბილისი
2022

გამომცემლობა
„სვეტი“

© თბილისი 2022.
ISBN 978-994

„როცა სიკვდილს თავს ჩავუდებ კალთაში,
გულზე ციხის ძველი ლოდი დამადეთ!“

– ასეთი ძლიერია მისი პათოსი, ულამაზესი მხატვრული ხერხები, შედარებები და საოცარი სიყვარული, რომელიც ყველა მანდილოსანს გაადედოფლებს:

„როგორც ია მინდორს, ისე მოვედე
შენი სულის უსასრულო ქარაფებს,
შენს თვალებში ვკითხულობდე ყოველდღე
ჩემს მოწერილ სამიჯნურო ბარათებს!“

„....მეცხვარის ნაბადს მოვისხამ მხრებზე,
ყაყაჩოების მოვმწყემსავ ფარას“.

ვთვლი, რომ უკვდავია ასეთი პოეზია, ამიტომაც მინდა, გზა დავუსწოცო ამ პოეტურ კრებულს, რომელიც ყველას გულში მიმქრალ ნაპერწკალს გააღვივებს!

გენომ კი იცის:
„თუ უკვდავად ვერ გვბადებენ დედები,
მე უკვდავად ლექსში დავიბადები!

ახალი სიცოცხლის დაბადებას გილოცავ, მეგობარო!

რუსუდან კენჭოშვილი

ავტორისგან

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამიანი შექმნა, მის არსებაში სიყვარული დათესა, რის შემდეგაც ადამიანებმა ამ გრძნობას ლეგენდები, სიმღერები და ლექსები უძღვნეს.

ღმერთი თვით სიყვარულია და, რასაკვირველია, ადამიანის ცხოვრების მთავარ თემასაც ეს მეტად ფაქიზი და ძლიერი გრძნობა წარმოადგენს. პატრიოტიზმიც ხომ სამშობლოს სიყვარულია და ამ თემამაც დიდი ადგილი დაიკავა პოეზიის უსასრულო და უმშვენიერეს უბეში.

პოეზია ვულკანია, რომელიც აუცილებლად ამოიფრქვევა და კაცობრიობას მსუბუქი და სასიამოვნო ფერფლით დაფარავს. პოეზია განცდაა, პოეზია სიყვარულის ცეცხლია, რომელიც ჩაუქრობელ სანთლად ანთია. იგი კაცობრიობის ერთი დიდი სახლის საძირკველია, რომელზეც საუკუნეების შედევრების ლამაზად გათლილი უზარმაზარი ლოდები ალაგია... და ღმერთს მადლობას შევწირავ, თუ მეც წილად მხვდა ერთ-ერთი ლოდი ვიყო იმ ბუმბერაზ ლოდებში.

●

და განა მარტო მე მხიბლავდა შენი სხეული?!
ქარსაც უნდოდა შენს მუხლებზე თითქოს თამაში,
გულს დაეუფლა იმ დღის შემდეგ დარდი წყეული,
რა საოცარი იყავი მაშინ ცისფერ კაბაში.
და შენს მხრებამდე დალალებად ჩამოშლილ თმებში
დაღლილი ქშენით ქროდა ნიავი გაზაფხულისა,
როცა ფოთლები ნოემბრის დღეებს ტოვებენ ხვნეშით,
მე მაშინ მინდა მქონდეს სითბო შენი გულისა.
და განა მარტო მე მხიბლავდა შენი სხეული?!
ქარსაც უნდოდა შენს მუხლებზე თითქოს თამაში,
გულს დაეუფლა იმ დღის შემდეგ დარდი წყეული,
რა მიმზიდველი იყავი მაშინ ცისფერ კაბაში!

1985 წ.

●

სუნთქვა ვარ, მიწის ფერფლი,
აფეთქებული რტო ვარ,
მე ვარ ბავშვობის მსხვერპლი,
წავალ და აღარ მოვალ.

სიკვდილს, თვით ბოლო წუთზეც
მე არ ვაწამებ, არა!
ფეხს ნუ დამადგამთ გულზე,
ამდენი ტანჯვაც კმარა!

ვარდის სურნელით მთვრალი
ბილიკს მივყვები ხვნეშით,
გრძნობას ვერ აქრობს წყალი,
ღვინო მომეცით პეშვით!

ცრემლი მოსწყდება თვალებს,
გულს სიყვარული – არა!
ოხ, რა გაუძლებს დარდებს,
ღვინო შემასვით, ჩქარა!

1986 წ.

მაიას

მე მაჯადოებს შენი თვალები,
აღარ მაშინებს სიცივე ზამთრის,
იცოდე, ღვინოს მივეძალები,
ავედევნები ჩუმად შენს აჩრდილს!

მაჩუქე შენი თვალების მზერა,
არ მომიწამლო სიცოცხლე წრფელი,
იისფერ თვალებს ვუმზერ და მჯერა,
ახლაც მოთმენით მათ ალერსს ველი.

მე მოვალ შენთან იებით ხელში,
ალბათ, მაჩუქებ კოცნას ვნებიანს,
იებთან ერთად ჩაგიკრავ მკერდში,
არ დაგიტოვებ თვალებს ცრემლიანს.

1986 წ.

●

ღამის წყვდიადი დაედო სასწორს,
ცას გადაუკრავს ღრუბელი მუქი
და ჩემს ოთახში საძილე საწოლს
ოდნავ ანათებს კელაპტრის შუქი.

შიშველ სხეულზე გეხვევი ვნებით,
შენ ხოხობივით კრთები ხელებში,
თავდავიწყების გრძნობებში ვდნები
და ღამეც მოჩანს ლამაზ ფერებში.

დღე ეპარება ქალაქის ქუჩებს,
თითქოს სარკმლიდან დაგვცქერის მტრულად,
ჩვენ მივცემივართ ალერსის წუთებს,
ორივე გრძნობის მორევში ვცურავთ.

1985 წ.

●

შენზე ლოცვით ოცნებებში გაწბილებულს
მოწიწებით თავს მიხრიან გვირილები,
მივდივარ და საუკუნოდ ჩაფიქრებულს
თან მომდევენ სევდიანი ბილიკები.

და ფიქრები, ღამის თმებში გაბნეული,
თავს მესხმიან სასთუმალზე როცა ვწვები,
დამშვიდდება გული, ჯავრით ამღვრეული
და გაივლის სიყმაწვილის შფოთი წლები.

1984 წ.

●

რატომ გიყვარსო? – მეკითხებიან, სამშობლო შენი,
რატომ შეჰნატრის შენს სილამაზეს ყოველი ერი,
გაგიჟებული თერგის ღრიალი რარიგად გშვენის,
ოჰ, როგორ გშვენის კავკასიონის ჭაღარა წვერი.

როცა შეხედავ ამწვანებულ, გაშლილ მთა-გორებს,
შეზარხოშებულ დევების ქორწილს როგორ გვაგონებს,
ან ზეაღმართულ მთის მწვერვალზე შეფენილ სოფლებს,
შეხედეთ, თითქოს ეღიმებათო, ხევსურთა კოშკებს.

მესხეთის ტყეებს საღამოს ბინდი ჩამოჰფარვია,
თითქოს წააგავს პირგამეხებულ, საზარელ ურჩხულს,
ტყის ნაკადული ნისლებს ბარში გამოჰპარვია,
უსმენს წარსულზე მოსაუბრე ჩანჩქერის ჩურჩულს.

არ შორდებოდეს საქართველოს შუქი ნათელი!
აღარ დავმალე, რაც კი მქონდა გულში სათქმელი
და ღმერთს შევთხოვე, როს დავანთე წმინდა სანთელი,
ღმერთო, დალოცე და ამრავლე ყველა ქართველი!

1984 წ.

ვერ გავიგე, ისე უცბად შემოხვედი ჩემში,
თავს დამატყდა ოცნებები, როგორც წვიმის თქეში,
ნუთუ შენმა სინატიფემ ჩემში რაღაც ჰპოვა?
უშენობით უკვე მცივა, აღარ წყდება თოვა.

ლურჯთვალება აპრილი ხარ, მწვანედ მოხასხასე,
სათნოების მორევი ხარ, სიყვარულით სავსე,
სიცოცხლე ხარ, ზღვის ტალღებზე მოსეირნე ქარი,
გარიჟრაჟზე ცის ნამი ხარ, ბალახების ცვარი.

ნუთუ შენი სიყვარული მართლა მომეძალა,
დაგივიწყო მინდა, მაგრამ ვერ ვიპოვე ძალა,
იქნებ სულაც მეჩვენება, ანდა მწარედ ვცდები,
იქნება ჩემს გატაცებას არ შეესხა ფრთები.

ბავშვივით რომ გამაოგნე, გზები ჩამიკეტე,
სიყვარულში ვერ გაგიტყდი, ვეღარ გაგიბედე,
შენზე ფიქრი, ვიცი, მალე გონებიდან შემშლის,
ასე რატომ გამირთულდი, არაფერი მესმის!

1997 წ. 25 მაისი

კმაყოფილი ვარ, რომ ჩემში ისევ ცოცხლობს წარსული,
არც მოგონილი ზღაპარი და არც სიზმარია,
რა ყიჟინაა, რატომ ატყდა ხმლების ტრიალი?
ხუთი ვაჟკაცი მარტყოფის ველზე რამ გადარია?

ოსმალოებო, რისთვის მოხვედით
ქართლში თქვენს ჭირად,
გადააწითლეთ ტაშისკართან კამკამა ზეცა,
ფაშას მოჭრილი თავი კბილით როგორ გეჭირა,
ჰე, ციციშვილო! მითხარი ასე რამ გაგამხეცა!

ვაი, რომ კვნესის გულსაკლავად ისევ მარაბდა,
ეს ზეცით ელავს, თუ სააკაძის გორდა ხმალია,
რად ჩამოხვედით, ლომგულებო, მთიდან ბარადა,
შენი ტკივილი, მინდა, ვიცოდე ვისი ბრალია.

კმაყოფილი ვარ, რომ ძველებურად
ბირთვისებს ვლოცავ,
შენს სიდიადეს ვეთაყვანები აწ და მარადის!
ძამის კედლებთან იდუმალებას დავარღვევ როცა
ავიჯაგრები, მთელ სხეულზე ეკლებს დამაყრის!

კურთხეულია ეს ყველაფერი, ჩვენი საფიცი,
უფლისციხესთან ისევ გაშლილა დროშა თამარის,
წამომართულა დიდგორის ველზე დიდი დავითი,
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს აწ და მარადის!

1997 წ. 22 მაისი

ბირთვისის ციხეს

ჩემი მოწყენილობა ვიცი რისი ბრალია,
მომენატრე ბირთვისო, მომენატრე ძალიან!
მინდა მოგეალერსო, სიტყვა გითხრა საქები,
იქნებ ჩამოირეცხო მტკივნეული ლაქები.
შენს კედლებთან მოვიდე, ეს მისია ვიკისრო –
დავდგე შეუპოვარზე და სიკვდილზე ვიფიქრო,
ბილიკები ნაცნობი ისევ ფეხით გავთელო,
თქვენთან ჭიქა ავწიო, შავლეგებო ქართველო!
ციხევ უპირველესო, ცად აჭრილო არწივო,
ასორმოცდაათ ქართველს ცრემლი მინდა ვაწვიმო!
მათ აჩრდილებს ვეხები, ისევე იქ არიან,
არაფერი აშინებთ, წვიმაა თუ ქარია.
წელზე ხმლები არტყიათ, ისევ აბჯარს იცვამენ,
შემომდგარან კედლებზე, კვლავ ბირთვისებს იცავენ,
ნოსტალგიის ვულკანი ჩემში ისევ იღვიძებს,
ძმებო, კიდევ წავიდეთ, ჩავეხუტოთ ბირთვისებს!

1997 წ. 15 დეკემბერი

●

ამ საწუთროს ისე შვენი,
როგორც მინდორს ია,
სიყვარულზე მე ამდენი
ჯერ არ მიფიქრია!
აპრილივით ქათქათა ხარ
ლურჯ კაბას რომ იცვამ,
გაზაფხულზე ფაქიზი ხარ,

ჩემს კაცობას ვფიცავ!
როგორც წყარო ანკარა და
როგორც წვიმის წვეთი,
ყვითლად მწიფე ატამი ხარ,
უკვე მოსაწყვეტი.
თოვლის ფიფქი დედამიწას
თეთრ საბანში ახვევს,
ქარი მწარედ დასისინებს
ფიქრებს თავზე მახვევს.
უშფოთველად სძინავთ თოვლში
ამ უძირო ხევებს,
სილამაზე დაუფარავთ
გახუნებულ ფერებს.
თოვლში გეძებ, დავიღალე,
თვალი აღარ მიჭრის,
ზამთარია, ვიყინები,
უშენობა მიჭირს.

1998 წ. 11 იანვარი

გოგონებო, გახდით დედა!

ფრთხილად, უკვე მოკლე კაბას
ვერ ჩაიცვამ ახლა ურცხვად,
უკვე მოწყდი მერხს და ანბანს,
გახდი დიდი გოგო უცბად.
დრომ წაიღო წლები მხრებით,
მშობელ დედის ტკბილი კალთა,
დღეს გოგოა სავსე მკერდით,
გუშინდელი ბავშვი თამთა.

უცხო სახლში ბიჭი გელის,
ბედი მისკენ წონის სასწორს
და გაიშლი შენი ხელით
პირველ ღამის ლამაზ საწოლს.
ძველი წლების ცხელი ქარი
შინ დაგრჩება, როგორც დარდი,
დღეს შენ უკვე გახდი ქალი,
გუშინ კი თოჯინებს რთავდი.
და სიცოცხლის ფესვი სამყოფ
ტოტებს მალე ისევ გაშლის,
ახლა შენგან ველით ნაყოფს,
ახლა ის იქნება ბავშვი.
დღეს დედოფლის იცვამ კაბას,
დღეს მსხვერპლი ხარ შენი ბედის,
წინ დაიდგამ ბავშვით აკვანს,
შენც ატარე ხვედრი დედის.

1999 წ. 1 სექტემბერი

●

ბედმა დამგლიჯა მშიერ მგელივით,
უმალ გამხადა სიკვდილის წერა,
რადგან ნატყორცნი ისრის წვერივით
ბასრია შენი თვალების მზერა.

თუ უშენობით ცრემლად ვიწვიმე
და ულმობელმა მცემეს ქარებმა,
თუკი მკლავებში ვერ ჩაგიწვინე,
სიკვდილი მამცნონ ცისკრის ზარებმა.

თუნდ უკუნეთი ფარავდეს ზეცას
გიპოვი, რადგან თვალები გეძებს,
მხრებზე დავიყრი დალალებს შენსას,
ვიდრე სიცოცხლის უნარი შემწევს.

მიწა გაცრეცილ პიჟამოს იცვამს,
მზეს მოწყალების თვალით შევცქერი,
მუხლებს შევახებ ნოტიო მიწას,
ოღონდ შველივით ნუ გამექცევი!

1999 წ. 27 ნოემბერი

●

ბინდს გაიტაცებს კივილით ქარი
და მოვა ღამე, საოცრად თბილი,
შემოაშრებათ ბალახებს ცვარი,
გაუფრინდებათ ენძელებს ძილი.
შევეგებები გარიჟრაჟს ფერმკრთალს,
წინ გავირეკავ ფიქრების ფარას,
ქარაფზე ჯიხვი კამარას შეჰკრავს
და გადაბღავლებს აქოჩრილ არაგვს.
ეს ღამეც მალე დატოვებს ფიქრებს,
ლექსით მოვიხსნით კაეშანს ერთად,
ნაძვის ტოტზე რომ დაათოვს ჩიტებს,
ათასერთ ღამეს გავათევ შენთან.
ჩამეძინება უშენოდ დაღლილს,
გავთამამდები ღმერთის შეწევნით,
მყვირალობისას ჩემგან გაქცეულს,
გუდამაყარში წამოგეწევი.

ახლა კვლავ მესმის სიმღერა ქარის,
ანგელოზების გალობის მსგავსად,
ალუბალი რომ ჩამოყრის ყვავილს,
ბეთანიასთან შეგხვდები, ალბათ.

1998 წ.

ჩემი სიზმარი

ო, რა ლამაზი ვნახე სიზმარი:
ნათელი ადგა დავითის ქალაქს,
ვარძია იყო კვლავ მომღიმარი,
სამეფოდ დარბაზს ურთავდნენ თამარს.
ალგეთის ხევში ყმუოდნენ მგლები,
დიდგორში დუღდა სისხლი ველური,
ხერხეულიძის გაცოცხლდნენ ძმები,
აბჯარს ჩეხავდა დავით ფერული.
კვლავ რგავენ ჩვენთან ვაზებს ჯიშიანს,
კვლავ ბევრი ციხე დარაჯობს არაგვს,
მტკვარი კალაპოტს მოსდევს ქვიშიანს,
გზა და გზა ივსებს სიცოცხლის მარაგს.
ზედაზენს დილის შეადნა თრთვილი,
მზემ გაანათა ირგვლივ ყოველი,
დიდოსტატ უტას უკვდავად ქმნილი,
ჯვარმა დალოცა სვეტიცხოველი.

2000 წ. 15 მარტი

ჩემს დაბადების დღეს

ეს დღეც მალე მაახლა
დრომ, ყველაფრის მფლობელმა,
ერთი წელიც დაიკლო
ჩემმა წუთისოფელმა.

1999 წ. 18 თებერვალი

●

დადგა აპრილი, აფეთქდა ნუში,
მხრები გაშალეს ატმის ხეებმა,
ღვინო დავიდა ძირამდე ჭურში,
ქონით შეივსეს ტანი დღეებმა.
დრო მორჩილია მკაცრი წესების,
ჩამოგვაშორა მარტის თვე გზიდან
და ნამთვრალევი წვიმის წვეთების
ურიცხვი ჯარი გვესტუმრა ციდან.
ოცნება უქმად ყოფნას ვერ ითმენს,
ცაში გაფრენა მინდა ჩიტივით,
აპრილი სისხლში ცეცხლს რომ დამინთებს,
მეც ავფეთქდები ვაშლის კვირტივით.
დილის იები მზის სხივებს ელის,
შაშვი ბუდისთვის ეწვია კუნელს,
ყვავილები კი ათასი ფერის
ირგვლივ აფრქვევენ ჯადოსნურ სურნელს.
მინდა, ჩემს გულში ყველა დაგტიოთ,
ფეხდაფეხ მივყვე გაცრეცილ წამებს
და ლამაზებო, გთხოვთ მაპატიოთ,
თუ მე სიგიჟით ჩავიდენ რამეს!

2000 წ. 2 აპრილი

●

დაღამდა, შეწყდა სუნთქვა ქალაქის,
დღე მოკვდა ლაღად, თეთრი გედივით,
მალე აპრილი თავზე დამაყრის
კვირტებს, დაბერილს გოგოს მკერდივით.
როგორც ყინვისგან შემკრთალი ფესვი,
მეც ამ ფესვივით მოველი სითბოს,
შენ გამახსენდი, როგორც ეს ლექსი,
სულის ძარღვებს რომ მიგლეჯავს თითქოს.
და როგორც მტკვარი ქვიშიან გზაზე,
მივყვები ფიქრებს ჩუმი გოდებით,
ზამთარი კვნესის გათოშილ ხმაზე,
წინ გზას მიღობავს თეთრი ლოდებით.
ვაზის ცრემლებს რომ იპკურებს მიწა,
როდესაც თვალებს ზამთარი დაღლის,
გაელვიძება ბარდის ქვეშ ციცარს
და მინდორს, მწვანე საკინძე გახსნილს.
და მაშინ კვირტებს გახეთქავს ბაღი,
ცა სინოტივეს აჩუქებს ვარდებს,
ჩემი სიზმარი, საოცრად ლაღი,
შენს ფანჯრებიდან ჩამოხევს ფარდებს.

2000 წ. 20 დეკემბერი

დეკემბრის ღამე ჩემს ოთახში

იმ ღამეს სულშიც რა მკაცრად თოვდა,
მწვავედ მტკიოდა სხეული თითქოს,
ზამთარი თოვლის თეთრ საბანს ქსოვდა,
არ მიტოვებდა ოთახში სითბოს.
დეკემბრის ღამე აკვროდა კედლებს,
როგორც ოფლიან ტანზე პერანგი,
არ ვიცი, სული როდემდე შესძლებს,
რომ გაათიოს ღამე ვერაგი.
ბინდი მთებიდან ჩამოდის ბარში,
დღე შეშინებულ შველივით შფოთავს,
შემოაბიჯებს ღამე ჩემს სახლში
და ხვალ დილამდე წამართმევს ოთახს.
განთიადი კი ნელ-ნელა მოდის,
ბნელში გახვეულ ოთახს კვლავ სცივა,
რა იცის ღამემ, რომ სულში როდის
მილხინს და როდის საშინლად მტკივა.

2000 წ. 15 დეკემბერი

ეკა ნონიაშვილის დაბადების დღეს

ღვინობისთვეს დაიბადე,
დაგდევს ღვინის სურნელი,
მისი მადლიც უხვადა გაქვს,
სათნოებაც ულევი.
ღვინობისთვემ შენ სიცოცხლით
მოგნათლა და აგავსო,
როცა ზეცა დედამიწას

ხურავს ყვითელ საბანსო.
და შენს ტირილს, პირველ ტირილს
შეხვდნენ ღვინის ყანწებით,
პირველ ცრემლმა ექვს ოქტომბერს
დაგისველა ღაწვები.
ღამე ჩუმად გაიპარა
და მზემ გამოაშუქა,
იმ დღეს ღმერთმა საქართველოს
ერთი ეკაც აჩუქა.
და იმ დღიდან, იმ წუთიდან,
სულ ლამაზად მოდიხარ,
ყველამ ვიცით, სიყვარულის
უსასრულო ფონდი ხარ.
ამ დღეს ყველა წრფელი გულით,
მთელი გრძნობით გილოცავს,
მაგ თვალებში სიხარულის
ნაზი გრძნობა მიცოცავს.
შენი სული ნაწილია
ბეთჰოვენის სონეტის,
ექვს ოქტომბერს, შენ სიცოცხლეს,
ახლად იწყებ ყოველთვის.

1998 წ. 4 ოქტომბერი

●

ეს ლაშქრობები, დამღლელი როგორ –
თავდაღმართები, სველი კლდეები,
რად მოიწყინე სასტიკად, გოგოვ,
მე შენ იმედით მოგეფერები.
ჩამოსდით ოფლი დასიცხულ ხეებს,
ბილიკიც არ ჩანს, თითქოს ჯინაზე
და მარტოობას მიჩვეულ კლდეებს
უკვირთ და მოსწონთ შენი სინაზე.
სიცოცხლის ბილიკს გაჩუქებ მალე
და დაასვენებ გადაღლილ ფიქრებს,
ტაძრის ჩუქურთმით აივსებ თვალებს,
რომელიც ახლა სველ ლოდებს ითმენს.
შენი ტუჩები, აღსავსე ბრაზით,
კლდიდან ჩამოსულ წყალს როცა მოსვამს,
გაიღიმებენ და მერე ნაზი
ხმით დაიწყებენ ტაძარში ლოცვას.
მორჩა წამება, ჩვენთან არს ღმერთი!
და მარწუხებიც მოეშვა იმედს,
ცად ასვეტილი ჩანს ფიტარეთი,
სულის შიგნით რომ დაგიწყვეტს სიმებს.

2000 წ.

ფიტარეთის მონასტერს

დგას ფიტარეთი, ო, რა ლამაზი,
ბებერ სხეულზე მოდებულ ხავსით,
მზის სხივებივით თბილი დარბაზით
და უსასრულო სიცოცხლის არსით.
ვინ მოგიხატა კედლები ფუნჯით
და აგიძგერა ლამაზად გული?
ვინ მოგიქსოვა პერანგი ლურჯი
ქვებით, ალგეთზე დაბადებული?
შენს ძველ კედლებში ცოცხალ ხატებით
გარშემორტყმული ვიდექი დიდხანს
და ტკივილს სულში, შენგან ატეხილს,
ვერ ვუთავსებდი საკადრის სიტყვას.
მე ხატებს ლოცვით ვესაუბრები,
სანთლების შუქზე ბრწყინავს დარბაზი
და უზენაესი ღმერთის უფლებით,
დგას ფიტარეთი ო, რა ლამაზი!

2000 წ. 5 ივლისი

●

გამოღმით – მთები, კვლავ მთები – გაღმა,
ეს ადგილები ჰგავს ზღაპრულ არაკს,
გადავისახავ პირჯვარს და აღმა
როგორც კალმახი, ავყვები არაგვს.
ჰეი, არაგვო! მთებიდან ბარში
ზურგით ათრიე მძიმე ლოდები,
სვეტიცხოველთან შენს მწვანე ტალღებს

მე მტკვართან ერთად დაველოდები.
აქ ქრება შენი გიჟური ვნება,
შენს ტალღებს ჩვილი ბავშვივით სძინავს,
აქ არაგვობის აღარ გაქვს ნება
და მტკვრის ტალღებში დაიდებ ბინას.
დღე იკრეფს გულზე გაცრეცილ ხელებს,
მოდის უკუნი შიშით და ძრწოლით,
გადაიღალა ყოველდღე მტკვარი,
ბაგინეთის ქვეშ ამდენი წოლით.
მცხეთაში სუნი ტრიალებს ღვინის,
არ წყდება წვიმა ოქტომბრის ციდან
და როცა ტაძრის კედლები ტირის,
მეც მათთან ერთად ვიტირო მინდა.

2000 წ. 17 ოქტომბერი

●

გაზაფხულის მწვანე ფერი,
თეთრი ღრუბლის ქულები,
შენი თეთრი ბროლის ყელი
და ეგ სითბო ულევი.
ეგ თვალები – მეხის ელვა,
ორი დიდი გიშერი,
შენი ცივი გამოხედვა
და სიმკაცრე შიშველი.
შენი ტანი გავაზია,
თეთრი, როგორც სანთელი,
ის სიტყვებიც ლამაზია
შენთვის რომ მაქვს სათქმელი.

ო, რა მძლავრად ფეთქავს გული,
ცელქი ქარი იღვიძებს,
გაუღვივდათ სიყვარული
მინდვრის ქალწულ გვირილებს.

1998 წ.

გაზაფხულის სერენადა

წვიმს და ქუჩებს ეფერება ქარი,
ვარდის ტოტზე ბეღურები ზიან,
გაზაფხულის წვიმა მოდის მთვრალი,
ენძელები მიწის ქვევით თრთიან.

ქუხს და ელვა გააშუქებს ზეცას,
ალიონმა მოსპო შავი ბინდი,
წვიმის წვეთი სახურავზე წვეთავს,
საწვიმარში ნაკადულად მიდის.

ირგვლივ ფშატის სურნელება მათრობს,
ელვიძება სურვილების ჭიას,
გოგონების თეთრი ფერი მათბობს,
ძველი სევდა ჩემგან აპრილს მიაქვს.

მიწა იკრავს ზურმუხტისფერ საბანს,
მე კი გული უცნაურად მიცემს,
გოგოს ქარი უფრიალებს კაბას,
გაუმართავთ ჟრიამული ჩიტებს.

1998 წ. 1 აპრილი

●

ნადარბაზევს დარბაზია,
სუნი ასდის თამარის,
მისი ერთი პატარა ქვაც
დიდებული რამ არის.
ირგვლივ ტყეა და ხეები
გეფერება ფოთლებით,
იქ თამარი გველოდება
გასაკვირი მოთმენით.
ის ძვირფასი ხალიჩები
სად წაიღეს, სად არი?
ვერ გვმასპინძლობს საკადრისად
ნერვიულობს თამარი.
შენთან მოსულ ქართველ გოგოს
ზურგზე ჩანთა უხდება,
ჭიქას გვირტყამს ჭიქაზე და
შენი ბედით წუხდება.
მერე ბილიკს სამხრეთისკენ
ტყემლნარაზე მოვყვები,
ჩემი სულის ნაწილია
ეს ვეება ლოდები.
ჩვენს წინაშე გადაშლილა
ვეებერთელა ქალაქი,
სისხლით არის გაჟღენთილი
ყველა კუთხე, ალაგი.
სამღერეთის მონასტერი
მღერის „შენ ხარ ვენახოს,”
შენი ეშხით მოხიბლული
ბევრი და-ძმა მენახოს!

ნუ იჯავრებ ნანგრევ კედლებს
და ჩამოშლილ სახურავს,
გული გიცემს ძველებურად,
ზეცა თავზე გახურავს.
მოჩუხჩუხებს წყარო ცივი,
როგორც ღვინო თაკვერი,
ერთი ჭიქა დავლიე და
სიყვარულით დავთვერი.
ქვევით ხრამი გზას მიიკვლევს
ხმაურიან ფიქრებით,
მაღლა მოჩანს ბეირქალი
თავზე თეთრი ნისლებით.
ყველა ერთად ჩურჩულებენ,
ნაზად გვეფერებიან –
ციხე, სახლი, ეკლესია
კარგახსნილი გვხვდებიან.
უთქვენობით ეს ცხოვრება
უაზრობა რამ არის,
სანამ სუნთქავს საქართველო,
თქვენც ისუნთქეთ მანამდის!

1998 წ. 24 სექტემბერი

კლდეკარის ციხეს

თრიალეთის ქედს ასკდება ქარი,
ღრუბელი ფარავს წარსულს,
კლდეკარის ციხეს ვერ გავა ჯარი,
თუ ეს ლიპარიტს არ სურს!
ჰეი, ბაღვაშნო, ძმანო ქართველნო,

ყელში ნუ გვისვამთ დანას!
ორ კარს ჩაკეტავთ და საქართველო
მშვიდად მოიმკის ყანას.
ჰე, ლიპარიტო! გონს მოდი დროზე!
მტერს ნუ გაუღებ კარებს,
თორემ დავითი აგაკრავს ბოძზე,
შანთით დაგიწვავს თვალებს!
ერისთვის შეჰკარ შენი ამალა,
კლდეკარის ციხეს დასვი,
მომხდურ მტერს დახვდი შუბის ამარა,
მაშინ გექნება ფასი!

1998 წ. 6 ივლისი

მარაბდის ომის გმირებს

მოდის ღამე, შავი ნისლი
მოსისინებს, როგორც გველი,
არსად კაცის ხმა არ ისმის,
მარაბდის კი კვნესის ველი.
მიწა ფეთქავს, როგორც სიკვდილს
გაქცეული ირმის გული,
დგას ჯარი და წამებს ითვლის,
მტერს მიაგოს რისხვა მტრული.
პურის ყანა წითლად ღელავს,
ხმლებს დაედოთ სისხლის ჟანგი
და გახეთქილ ჯაჭვის პერანგს
ველარ იხდის აღათანგი.
ვხედავ დროშით ცხრა ძმის დედას,
სისხლნარევი ცრემლით მტირალს,

ნახმლევ შვილებს გადახედავს,
ლოცავს ქართულ ჯიშს და ჯილაგს.
გაუშლია მხრები სიკვდილს,
შეღებილა ველი წითლად
და შვიდ ვაჟკაც ჩოლოყაშვილს
საუკუნოდ სძინავთ მშვიდად.
ტირის დედაც მაჩაბლების,
მლაშე ცრემლი უწვავს ღაწვებს,
ცხელი სისხლი შავლეგების,
მარაბდის ველს მძიმედ აწევს.
ქართველების ბედკრულ სულებს,
აკვანივით არწევს ქარი
და სიკვდილის მძიმე ურემს
მოაქვს ცოდვა შესაზარი.

2000 წ. 5 დეკემბერი

●

მე კიდევ წავალ ლაშქრობით ქსანზე...
ველზე შემხვდება ყაყაჩო მორცხვი,
ანგელოზები იფრენენ ცაზე,
ეკლესიებთან ჩავივლი ლოცვით.
ციხე-კოშკებო, მე თქვენს გარეშე,
გამომერევა სითეთრე თმაში,
კლდეებზე, გზებზე მე მოთარეშე
გაუხედნავი ვარ თეთრი რაში.
მე არ მაშინებს ფიქრები წლებზე,
ყველგან, ყოველთვის უფალი მფარავს,
მეცხვარის ნაბადს მოვისხამ მხრებზე,

ყაყაჩოების მოვმწყემსავ ფარას.
მალე სურნელი აუვა ბალახს,
ლურჯი იები მორთავენ მინდორს,
რამდენიმე დღით დავტოვებ ქალაქს
და ვესტუმრები სანატრელ დიდგორს.
სადაც ღიაა მოყვრისთვის კარი,
სადაც დავითი გვხვდება მეფურად,
გარშემო არტყამს ქართველთა ჯარი
და ხმლებს ურტყამენ ფარზე შლეგურად.

2000 წ. 2 თებერვალი

●

მე მარტყოფი მიმაჩნია
პატარა ძმად დიდგორისა,
იქ მომხდარი საქმე მარჯვე
შევუდარო საქმით ვისა?!
შეარყია სპარსთა ჯარი
ხმამ და რისხვამ გიორგისა,
იმამვერდი წერა გახდა
ავთანდილის ბასრი ხმლისა.
მოეფინა მარტყოფის ველს
დაჩეხილი გვამი მტრისა,
გადაურჩა ქართლის ბედი
ურჯულოთა ბინძურ ჭირსა.
გადაგვირჩა ჩვენი გენი,
გადაგვირჩა სისხლი ძმისა,
ქართლის მიწას ყვავილებმა
კვლავ შეაშრეს სისხლი მტრისა.

იამ, ვარდმა და ენძელამ
დაისხურა ნამი ცისა,
მაშ, დავლოცოთ მტკიცე მკლავი
სააკაძე გიორგისა!
ვინაც ამას ვერ გაიგებს,
ალბათ, რამე სენი სჭირსა.

1999 წ. 20 ივნისი

●

მე მიყვარს შენში ლამაზი ბავშვი,
შენი სიცოცხლე ლაღად მჩქეფარე
და გაზაფხული ყვაოდა მაშინ,
გულში ჩუმად რომ შემომეპარე.

ზამთრის დღეების დაბერდა გული,
დაუგვიანდათ ალერსი ფოთლებს,
გაზაფხულს თმებზე დაეხვა მუმლი,
ჩვენ დავემსგავსეთ, ძვირფასო, ლოთებს.

ღამის პერანგი ჩაიცვა მთვარემ,
დაღამდა სულში რა ულამაზოდ...
მოდი და მალე მომკალი ბარემ,
რომ სხვას ცხოვრება გავულამაზო.

მაკრთობს შრიალი ივრის ჭალისა,
შეხედე ბიჭო, ცაა რა ფერის!
მე ისარი ვარ გორგასალისა
და დავეწევი ხოხობს გაფრენილს.

ვიცი, რიონი თევზს არ დაილევს,
ქაფმორეული, ქვებზე მყეფარე,
გაზაფხული რომ შობდა ყვავილებს,
შენ გულში მაშინ შემომეპარე.

1999 წ. 4 მაისი

●

მე წავალ შენგან ღამის ბილიკით,
რადგან უშენოდ არ მეძინება,
შენ კი დარჩები, ჩემგან პირიქით,
ისიც ვიცი, რომ არ გეწყინება.
და უსწრაფესი ფრთების ტკაცუნით
შორს გავექეცი შენს სილამაზეს,
მე ვერ ვიცოცხლებ მწარე წარსულით,
მაგ თვალებმა რომ შემომთავაზეს.
კვლავ მოვბრუნდები უკან და ვიცი,
დამხვდება შენი ცივი იერი
და როგორც დედას ამცდარი კვიცის
ბედივით, შემჭამს დარდი მშიერი.
და წავალ ისევ ღამის ბილიკით,
რადგან უშენოდ არ მეძინება,
შენ კი დარჩენილს, ჩემგან პირიქით,
სულ პატარაზეც არ გეწყინება.

2000 წ.

მეგობრებს

ხეებს ტანი დაეფარათ კვირტებით,
უკვე დღეებს საკინძე აქვთ გახსნილი,
თქვენთან ერთად სიცოცხლის გზას მივყვები,
უკან რჩება წლები აღვირახსნილი.
თუკი ღვინო გაგიხეთქავთ ფიალას,
მე ლექსებით გაგიმთელებთ იმედებს,
ნისლი როცა ცას დაფარავს კრიალას,
ღმერთი ჩვენთვის სითბოს გამოიმეტებს.
ფეხთ გეფინოთ მუდამ ლურჯი იები,
ღვინო გქონდეთ უხვად თიხის სურებით,
მზე თუ დაგწვავთ ცეცხლოვანი სხივებით,
წვიმად მოვალ და ზედ მოგესხურებით!
სანამ გული სიყვარულმა დატოვა,
ამ ცხოვრებას ერთადყოფნით ვუშველოთ,
სადღაც ღამე ახლა ისევ მარტოა,
სადღაც ისევ ირიჟრაჟებს უჩვენოდ.
მამა-პაპის ძვლებს შესცივდათ საფლავში,
ჩქარა, სუფრას ღვინო შემოამატეთ!
როცა სიკვდილს თავს ჩავუდებ კალთაში
გულზე ციხის ძველი ლოდი დამადეთ!

2000 წ.

●

მენატრება ისევ ასპინძელები,
მონასტრები, კლდეში გამოკვეთილი,
მეგობრულად გამოწვდილი ხელები,
ჯავახების მასპინძლობა კეთილი.
გზაზე ვხვდები გასულ საუკუნეებს,
ტანში მზარავს და მეყრება ეკალი,
მტკვარი თმოგვთან არ იკეთებს გუბეებს
და არავის არ უნახავს შემკრთალი.
მივდივარ და მესმის ხმლების ჯახანი,
ხერთვისს ტანზე სისხლის სუნი უდის,
გადმოგვცქერის კლდის სახლები ვაჰანის
და ლამაზი ეკლესია წუნდის.
ჩემი ფიქრი ეხეთქება მტკვრის ტალღას
და ჭენებით თვალი სერავს ტრამალებს,
ვეფერები გულსუნდას და მარღასტანს
და ვარძიას, ღვთისმშობელის სავანეს.
კვლავ მეძახის მე ალპური ყაყაჩო,
მწვანე მთებით და ათასი ფერებით,
მინდა, ჩემი ნოსტალგია დავახრჩო
ასპინძით და თვითონ ასპინძელებით.

1999 წ. 22 ივლისი

●

მესხეთისკენ ხავერდისფერ ყანებში
ყაყაჩოებს ისევ წითლად რცხვენიათ,
გოლიათ მთებს ზურმუხტოვან წარბებში
ძველი თოვლი ისევ შემორჩენიათ.
არემარეს ახმოვანებს ჩანჩქერი,
ქვებზე მოხტის კალმახივით მდინარე,
ჩემი გული კიდევ ერთხელ დავჭერი,
რომ ვიხილე ოქროს ციხე ბრწყინვალე.
წლებმა ზანავს დაუტოვა ტკივილი,
ჭრელეს ტაძარს შემოარტყა ხარაჩო,
ცას თვალები დაუსივდა ტირილით,
მიწას სისხლი ვერ შეაშრო ყაყაჩომ.
წიწვოვანში მზე ოდნავღა ანათებს,
ალპურ ველზე ყვავილები ტირიან,
როცა ზარზმა სანთელივით ამანთებს,
ფრესკებიდან მებრძოლები კივიან.
დამეღალა უკვე მძაფრი ფიქრები,
მწვანე ქედებს დასასრული არ უჩანს,
ხვალ მე უკვე სხვანაირი ვიქნები,
ამაღამ თუ გული სიკვდილს გადურჩა.

1999 წ. 20 ივნისი

●

მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, მთა-მთა,
წვიმს, ელავს თუ ღრუბელია,
მივდივარ და ჩემს გულს, ალბათ,
ასე ჯერ არ უმღერია.
წინ შემომხვდა ლარგვისი და
შუქს აფრქვევდა გზაზე თეთრად,
სული ლამის გამიფრინდა,
მაგრამ ისევ დავრჩით ერთად.
დავისველე ფეხი წყალში,
ცა ქუხდა და თავზე წვიმდა,
მთებს დააკლდათ შუქი თვალში,
ქარი ღრუბლებს სტვენით მკიდა.
მიწას აჩნდა ღამის თმები,
გზას იკვლევდა ქსანი ტალღით,
ციხის კედლის ცივი ქვები
მეც გავათბე ერთი ღამით.
მზე სამების მთაზე დაჯდა,
ცას ადინა სისხლის ღვარი,
დღის სინათლე წელში გატყდა,
ფრთებს იმტვრევდა კლდეზე ქარი.
მერე ხევ-ხევ ჩავყე არაგვს,
ცა გაივსო შავი ნისლით,
შენი ეშხი მქონდა ფარად,
მტერი ველარ მომწვდა ისრით.
ჰე, არაგვო! ჯავრი გულთან
ნუ მიგაქვს და ნუ ჰყეფ ბრაზით!
შესდექ წუთით ანანურთან,
დატკბი მისი სილამაზით!

1999 წ. 18 აგვისტო

●

მორიდებით მე შენს სახელს ვიკითხავ,
ნუ იფიქრებ მომატყუო უგულოდ,
სიყვარულზე ლამაზ ლექსებს გიკითხავ,
შენ კი ისევ თოჯინებით სულდგმულობ.
ახლად გაშლილ ვარდებს უხვად მოგიტან,
სხვისი იყო, არაფრით არ მეთმობი,
მე თვალებით გეფერები შორიდან,
შენ კი ისევ თოჯინებით ერთობი.
თეთრ კაბაში რა ლამაზი იყავი,
რომ შენს მზერას ვერაფრით ვერ მოვცილდი,
მე ფიქრებით შენს გარშემო ვიყავი,
შენ თოჯინებს კვლავ ბავშვივით კოცნიდი.

1998 წ.

მოუთმენელი ლოდინი

ჩვენ სიყვარულით გაგვითბა გული,
ნაღველი მოწყდა გადაღლილ თვალებს
და ზამთრის როცა მორჩება წყლული,
ჯავახეთისკენ გავყვებით ქარებს.
ჩვენ იმ ლამაზი სიცოცხლის გვჯერა,
ტანზე რომ ჩნდება ეკლები ხშირი,
აქ ეკლესია, იქ – სახლის კერა
და მარტოხელა ციხე, ვით მწირი.
ჩვენ რომ ლამაზი სენი შეგვყარა
მითხარი, ამას როგორ ვუშველოთ,
ვიცით, წინაპრის სადაც ფერფლია,
სად დარბაზები ცოცხლობს უჩვენოდ.

მაშინ ახლავე დავადგეთ ბილიკს,
რომ მოვირჩინოთ გულის იარა,
სანამ თვალები ლამაზად ტირის,
სანამ სიბერემ შემოგვიარა.

1999 წ. 7 მარტი

მუხათგვერდის სასაფლაოზე

სასაფლაოზე ქარი ღრიალებს,
წარწერებიან სურათებს სცივათ,
დაფიქრებულ და სევდიან თვალებს
უმოძრაობა აწუხებთ, სტკივათ.
სურათებს შორის გამეფებულა
სიკვდილი, ყველა დროის მფლობელი
და სამუდამოდ გაჩერებულა
ამ დიდ ქალაქში წუთისოფელი.
წარწერებიდან ტირიან წლები,
წლები, რომლებიც სიცოცხლით წვიმდა,
ხანდაზმულები ბევრია ქვები,
ახალგაზრდები – რამდენიც გინდა!
მივდივარ გზაზე, ჩქამი არ ისმის,
ჩვეულებრივი ეს გზა როდია!
ამ გზაზე ბევრი ვინმე გაივლის,
უკან კი ბევრნი ვეღარ მოდიან.
შავ ნისლებში კი ცად აზიდული
ზამთარი მეფობს თავის ბარაქით,
დგას უსიცოცხლო და გაყინული
მიცვალებულთა დიდი ქალაქი.

2000 წ. 26 იანვარი

●

მზე ღრუბლების მერდინს ხევს,
აჩენს სახეს თაკარას,
მე გაჩუქებ ცხრა ციხეს,
კლდე მაღალს და ცხრაკარას.

როგორც შველი იალაღს,
თვალებს ისე უხდები,
ჰგავხარ ედემს ცქრიალას
შენი თეთრი მუხლებით.

ცამ ნისლები აიკრა,
სადღაც ბჟუტავს კერია,
მოდი, გულში ჩაგიკრა
ჩემო თეთრო ფერიავ!

ცრემლი შრება თვალებზე,
ჯავრს გულში არ დავირჩენ,
მოვალ და შენს ბაგეზე
მუდმივ ბინას გავიჩენ.

გაქრა სუსტი სიზმარი,
დღეს ვინატრებ ბედობას,
ყინვას როცა მიგზავნი,
ჰგავხარ თოვლის დედოფალს.

კვდება წლები სულისა,
ჩვენ უაზროდ მივტირით,
გახსენ კარი გულისა
შიგ შევფრინდე ჩიტივით.

მზე ღრუბლებში დაბრმავდა,
ახლა წვიმის ჯერია...
მოდი, თორემ დაღამდა,
გახდი ჩემი ფერია!

1999 წ. 23 მაისი

●

მზის სხივებმა ბეთანიის გუმბათს
დააწვიმა სისხლისფერი თქეში,
იქ ანგელოზს თამარისთვის უთქვამს:
არ დაკარგო ძველებური ეშხი!
შარაგზაზე აიშალა მტვერი,
მოვეფერე ქვიშად ქცეულ ქედებს,
მე, უფალო, შენგან შვებას ველი,
ალბათ, მალე დამანახებ შედეგს.
როგორც ტყეში დაბნეული მწყერი,
სადღა აღარ გადავაწყდი ყორეს,
ცას კი ჰქონდა ბეთანიის ფერი,
მზე რომ თავზე წამოაჯდა გორებს.
მე კედლებზე შეგატოვე მზერა,
შენმა ეშხმა მომანიჭა ძალა,
ალბათ, თვალებს ამომთხრიდა ძერა,
ღვინის თასი რომ არ დამეცალა.
მზის სხივებმა ბეთანიის გუმბათს
გადაუსვა სისხლისფერი ფუნჯი,
იქ თამარი ძველებურად სუნთქავს,
ტანს უმშვენებს სამოსელი ლურჯი.

1999 წ. 2 ივნისი

●

ნაცნობ ქუჩაზე თეთრ კაბაში გოგონა იდგა,
ქერა კულულებს უფრიალებდა მაისის ქარი
და შიშველ მხრებზე ჩემი მზერა როდესაც მისწვდა,
გაოგნებული დავრჩი მის წინ სვეტივით მდგარი.
ის თეთრი იყო, როგორც ცარცის სუფთა ფურცელი,
შავ თვალებიდან ეფრქვეოდა თბილი შხეფები
და მე გავცურდი ოცნებებში, როგორც ღრუბელი,
როგორც მინაზე დაცემული წვიმის წვეთები.
მორცხვი ღიმილით დაფარვოდა ნაკვთები სახის,
იდგა ლამაზად, თეთრ კაბაში აღერებული,
აღარ მესმოდა დღისთვის ჩვეული ხმაური ხალხის
და ჩემთან ერთად ქუჩაც იყო აღელვებული.
მაგრამ, ვაი, რომ მალე დასრულდა ეს ნეტარება,
ვერ გავაჩერე დრო, რომელიც სწრაფად მიჰქროდა,
მე დღეის შემდეგ ავტობუსი არ მეყვარება,
რადგან მას ჩემგან ულამაზესი გრძნობა მიჰქონდა.

2000 წ.

ხორნაბუჯის ციხესთან

ტერასები ალაზნის, ატყორცნილი მთიდან,
გაფრენილი ფიქრები ბებერ კედლებიდან,
მთვარიანი ღამე, თქვენი თბილი გული,
ხორნაბუჯით ჩვენში გაჩენილი წყლული.
ქარის სუნთქვა ხშირი და ჩურჩული ციხის,
ეს ლამაზი ღამე მთელ სიცოცხლედ მიღირს,

ლოცვა-ჭიქით ხელში, მამა-პაპურ წესით,
მიყვარს ეშხი ამ დროს წაკითხული ლექსის.
და ნაცნობი სითბო მშობლიური მიწის,
ნახეთ, ციხის თავზე მთვარე ყვითლად იწვის,
აეფარა ზეცას ღამის შავი ჩადრი,
შეგეწიოთ ყველას საბაწმინდის მადლი!

2000 წ. 21 მაისი

პოეზიას

მე ქისტი ქალის ცრემლები მაწვიმს,
რადგან მუცალის მეცა ვარ მკვლელი...
ორბელიანო! მომეცი ყანწი,
თორემ ულექსოდ გამიშრა ყელი!
გულიდან დარდებს გადავიგორებ,
მარანში დავლევ ღვინოს დოქებით
და გადავთელავ ლექსის სტრიქონებს
ბარათაშვილის მერნის ფლოქვებით.
მე ათაბაგის ქალს რომ ვაკოცე,
ცა იყო მაშინ აპრილის ფერი,
მე თამთა ქალიც ბევრჯერ დავლოცე,
ლამაზთვალებაც მიყვარდა მერი.
როცა მთებიდან წამოვა ნისლი
და ცაზე მთვარე გატყდება წელში,
ამიდუღდება ძარღვებში სისხლი
და ხმლის ნატეხი შემრჩება ხელში.
ატმის ყვავილის მძაფრი სურნელი
მგონია შენი ლოგინი თეთრი,
მე შენი ეშხით ვარ უკურნელი

და პოეზიას ვლოცავ და ვეტრფი.
მე ქისტი ქალის ცრემლები მაწვიმს,
რადგან მუცალის მეცა ვარ მკვლელი,...
ორბელიანო! მომეცი ყანწი,
თორემ ულექსოდ გამიშრა ყელი!

1999 წ. 18 აპრილი

ქეთი ყალაბეგაშვილს

ამ მთებს შენი გამოჩენა
აძლევს ლამაზ ელფერს,
ბალახების სქელი ფენა
ნამით გივსებს ტერფებს.
ვხედავ, ეს გზა გულს გიქანცავს,
დაბლა რჩება ბარი,
ეზიდები მძიმედ ჩანთას,
როგორც უღელს ხარი.
როცა ღამე ძარღვებიდან
მოშავო სისხლს უშვებს,
გამოჩნდება ცაზე მთვარე,
კარავს გააშუქებს.
ეს გოგონა ქსანს და არაგვს
სილამაზეს უქებს,
ამ გოგონას ღრუბლის ქულა
აფრქვევს სურნელს თმაზე.
და ციცაბო უღელტეხილს
მიჰყავს ყელის ტბაზე,
წინ არავინ გადაუდგეთ,
გაეცალეთ განზე!

მოუჩრდილეთ მზის სხივები,
არ შეეხოს თმაზე,
თავი მდაბლად დაუხარეთ,
ეამბორეთ ხელზე,
ამის შემდეგ მესაუბრეთ
ლამაზ სიცოცხლეზე!

2000 წ. 17 აგვისტო

ქეთი ყალაბეგაშვილს

ქეთი, კახეთში რომ არ იწვიმოს,
ცა უნდა იყოს მკვეთრად ნათელი,
ღმერთმა შეგინდოს და შეგიწიროს,
რაც შენ ტაძარში ანთე სანთელი!
დილის ნიავი ჰგავს სუნთქვას ჯიხვის,
ღრუბლები სადღაც მირბიან ქშენით
და ბებერ კედლებს უჯარმის ციხის
ხიბლავს და ათბობს სინაზე შენი.
ცას მისწვდა ღამის უღელტეხილი,
ირგვლივ მიყუჩდა თითქმის ყოველი,
დარჩა იორი ძილგატეხილი,
როგორც მტირალი ბავშვის მშობელი.
ცელქი ქარისგან ტოკავს კარავი,
მთვარემ აანთო ლამპიონები,
ამ ღამეს არის შენი დარაჯი
უჯარმის ძველი ბასტიონები.
ფეხით გათელე ბალახის ფარჩა,
უკან ჩამოგრჩა ივრის ჭალები
და ამ ლამაზი დღეების დარჩა

სურათზე მოწმედ შენი თვალები.
მე შენ გაჩუქე ეს თბილი ლექსი,
ამ სტრიქონების სიმდიდრე მთელი,
რომ სიყვარულის შენც იყო ფესვი,
ფეხქვეშ გეფინოს იათა ველი.

2000 წ. 19 აპრილი

ქეთის და მაკას

ხოხბებს ჰგავხართ ჭალებიდან აფრენილს,
ასეთები ჯერ არ მყავხართ ნანახი,
გეგებებათ ღვთისმშობელი ატენის,
ბილიკებზე ფეხს გიკოცნით ბალახი.

ვერ გაგტეხავთ გაჭირვება ტიალი,
თქვენს თვალებში სიყვარული იტირებს,
თმებს გიწეწავთ მოვარდნილი ნიავი,
დანახვისზე ღრუბლის კრეფავთ გვირილებს.

თქვენს სპეტაკ სულს მე ლექსებით ვეხები,
მახსენდება უფსკრულის გზა სიამით,
დაკაწრული მუხლებით და ფეხებით
ჩემთვის მეტად ლამაზები იყავით.

წვება ბინდი და დღე დაესამარა,
ეძინებათ მთის მყვირალა არწივებს,
ცის კიდეზე ღამემ შეჰკრა კამარა,
მზე სხივებით მიწას ველარ აწვიმებს.

ჩვენი კუთხე და სათავსო მეფური,
თბილი ღამე, მისი მუქი სარკმელი,
ვარსკვლავების იყო ცაზე ფერხული,
აქ კი უფრო თქვენგან იყო ნათელი.

აისრულეთ, რაც გინდოდათ გენახათ,
მე ატენში თქვენთან ფიქრში დავრჩები
და როგორი ლამაზებიც თქვენა ხართ,
ისეთივე ლამაზი გყავთ გამჩენი.

1999 წ. 5 აგვისტო

●

რა ლამაზად ხედავს თვალი
ტაძარს ბეთანიისა,
მინდა შევსვა პეშვით წყალი
ალგეთის და ქციისა.
სურნელება მიყვარს შენი,
პურო, თონეს ჩაკრულო,
მოდი, ბიჭო, როგორ გვშვენის
როცა ვამბობთ „ჩაკრულოს“!
ირგვლივ, როცა ღამის ჩრდილი
თეთრ უნაგირს დაიდგამს,
მაშინ სითბო ჩემი წილი
ბავშვივით ფეხს აიდგამს.
განათდება სახე დღეთა,
შენს გულის ფიქრს მივხვდები,
უკითხავად მოვალ შენთან,
როგორც თოვლის ფიფქები.

და დაღლილი მე როდესაც
ვუსმენ მთვარის სონატას,
რა ცუდია, რომ ოდესღაც
თმებს ჭაღარა მოატანს.

1999 წ. 1 აპრილი

●

რა ხანია მივატოვე ბავშვობა
და შენამდე მწვანე გზებით მოვედი,
თვალთ ცრემლებმა ვერ მოასწრეს გაშრობა
და შენს გამო გავხდი მხოლოდ პოეტი.
მე უგულო და უგრძნობი როდი ვარ,
მიყვარს შენში უცოდველი ფერია,
შენკენ უკვე წლებია, რაც მოვდივარ
და ჭაღარაც ჩუმად შემომერია.
მონასტერთან ღამე სანთლად იწვოდა,
ქარი კრთოდა შენი თმების სურნელით,
ეს სურნელი ჩემგან წუთებს მიჰქონდა
რიჟრაჟისკენ მიმავალი ურემით.
თვალზე აღარ მომეკარა მე რული,
ვარსკვლავების ცა ქუდივით მეხურა,
შენი კოცნის მკლავდა ჟინი ველური,
ფრთხიალებდა გული, როგორც ბელურა.
ამ ბოლო დროს უკვე ხშირად ვოცნებობ,
დამიმონა მე ცხოვრებამ სიმკაცრით,
ო, სიკვდილო, იქნებ ჩქარა მომცელო,
თორემ გრძნობა დამეღალა ვიღაცით!
ახლაც შენთან ახლოს ყოფნა მომინდა,

იქნებ ცოტა დავიწყნარო ნერვები,
როგორც ქორი მსხვერპლს ევლება შორიდან,
მეც ქორივით შენ შორიდან გევლები.

2000 წ. 18 სექტემბერი

●

როცა ღამესთან პირისპირ ვრჩები
და ვარსკვლავები ინთება ცაზე,
კვლავ ჩურჩულებენ მონასტრის ქვები
გაუგებარ და ნაღვლიან ხმაზე.
ცეცხლის ენები ცას მისწვდნენ ლამის,
შენსკენ მოდიან ფიქრები ძილში,
ჩაგუბებულა თვალებში ღამის
რძისფერ აისით მოსული შიში.
უეცრად ცაზე ჩაქრება მთვარე,
დღე ჩამობერტყავს ვარსკვლავებს ციდან...
ავდგები, ტაძრის შევაღებ კარებს,
შენზე მხურვალედ ვილოცო მინდა.
შენ კი, ჯერ ისევ უშფოთვლად გძინავს,
თუმც უკვე შეწყდა ჭოტის კივილი,
ცა შეეგება გაცრეცილ დილას
და მოიშორა ღამის ტკივილი.
სხივები ნაზად შეგეხნენ თმაზე,
რიჟრაჟმა თეთრად დაფერა გზები,
კვლავ ჩურჩულებენ ნაღვლიან ხმაზე
ობლად დაყრილი მონასტრის ქვები.

1999 წ. 10 აგვისტო

●

სად არ ვკეცე შარა გზები,
ვთელე ქედზე ბალახი,
მედებოდა გულზე ცეცხლი,
ფეხზე – შავი ტალახი.

სიყვარულის ალი მწვავდა,
გული მქონდა თაკარა,
ეკლესია მიფარავდა –
დიდრონი თუ პატარა.

უკან მდევდა ბედი ანცი,
ბორბლის ჩქარი ტრიალით,
ღამის სახე მედგა თვალწინ
შუბლზე შავი იარით.

ცა ეყრება როცა მთვარეს,
მეც ვეყრები სიბნელეს,
არ მოვაკლე სითბო თვალებს,
გზებით გული ვიჯერე.

დრო მიცურავს, როგორც გემი,
წლები სწრაფად მიდიან,
ცხოვრების გზა, ნუთუ ჩემი
ერთი ბეწვის ხიდია?!

მე სასტიკად დავიღალე
გაზაფხულის ლოდინით,
იანვარი მიწვავს თვალებს,
გულზე მაწევს ლოდივით.

1999 წ. 27 სექტემბერი

შემოდგომა თბილისში

ცა ტყვიისფრად მოიღრუბლა,
ცივი ცრემლით ტირის,
შემოდგომა ჩაეხუტა
ჩემს საყვარელ თბილისს.
ატეხილი ქარი ქუჩებს
მტვერს ფიფქივით მოსდებს,
ხის ტოტებში მოვარდნილი
სიკვდილი სჭირთ ფოთლებს.
რუსთაველზე მოწყენილებს
ვხედავ დიდრონ ჭადრებს,
ნაცრისფერი ზეცა წვეთებს
მიწას გულზე აბნევს.
და ფოთლები ზეწარივით
ეფინება ქუჩებს,
თბილისი კი შემოდგომის
ჰკოცნის ყვითელ ტუჩებს.
ვერ დაგვათბო ივლისივით
ნოემბერში დარმა,
ხმამაღალი კვნესით მეტეხს
ჩაუარა მტკვარმა.
აბუზულა შაშვი ნაძვზე,
მოწყენილი გალობს,
მზის სხივები ძველებურად
უკვე ვეღარ გვწყალობს.
არემარე შეფერილა,
ვით თვალები შველის,
შემოსულა შემოდგომა,
მეფე ყვითელ ფერის!

1999 წ. 15 ნოემბერი

●

შენ იყავი ჩემთვის მწარე სილა,
ვარდის ყლორტო, ბაბილონის ბაღის,
არ მინდოდა მოსულიყო დილა,
მესაფლავე იმ ლამაზი ღამის.
ლურჯი შუქი ეფრქვეოდა კედლებს,
ვარსკვლავების იყო ცაზე თაღი,
ენძელების სუნი ჰქონდა შენს თმებს,
მე კი მაწვა გულზე მძიმე დაღი.
უხვი იყო ჩემი გატაცება,
გულის ფეთქვა იყო ჭექა მეხის,
არსად ჩანდა საუკუნო შვება,
აღარც კვალი გაზაფხულის ტერფის.
ღამე იყო ზეწარივით თეთრი,
ისე თეთრი, ჭკუიდან რომ შეგშლის,
ვარ შენს ფეხქვეშ დაფენილი ფერფლი
და მექრთამე შენს ტუჩების ეშხის.
მექცეოდა თავზე ლურჯი ზეცა,
თვით იმედიც მიქრებოდა ყოვლის,
შენ რომ ტანზე გაზაფხული გეცვა,
მე ფიფქები მეყრებოდა თოვლის.
გავასწორე ფიქრში მთა და ბარი,
კვლავ ცრემლებით თვალები მაქვს სველი,
მოვალ შენთან, როგორც მარტის ქარი
და გავაბათ სიყვარულის ქსელი.

1999 წ. 3 აგვისტო

შენ მიყვარხარ

მოთმინების ძაფი უკვე გამიწყდა,
რა ხანია, ჩემთან სულში ქარია,
ეს სიტყვები მძიმე ტვირთი გამიხდა,
როგორ გითხრა, შენ მიყვარხარ ძალიან!
მსურს გაჩუქო ყვავილების მინდორი,
იებით და მორცხვი ყაყაჩოებით,
მე ვარ შენთან მოვლენილი ქტიტორი,
შენ მოგხატე გულში გრძნობით, გონებით.
რომ დამინთე მწარედ ცეცხლის ღადარი,
მითხარი, რომ გეყვარები ძალიან,
თორემ სული გასაფრენად მზად არი,
სადაც ჩემი წინაპრები არიან.

2000 წ. 5 ივნისი

●

შენი სიყვარულის მე დავრჩი ერთგული,
დავდივარ ნესტიან მიწაზე გოდებით,
შენ, ჩემი ლექსებით ლამაზად შემკული,
წახვალ შორ გზაზე, არ დამელოდები.
როგორ მიძნელდება შეხვედრა აისთან,
როცა მეღვიძება და შენ მაგონდები,
ველარ მანუგეშა ვერაფრით მაისმა
და ვკვნესი, როგორც ორღანის აკორდები.
დღე გარდაიცვალა ოცნების ფერებში...
დაღამდა, კვლავ ფიქრებს შენკენ ვერეკები,
დავდივარ უაზროდ ტყესა და ღრეებში,
როგორც უსახლკარო, ამაყი მარეკები.

და მარტო დარჩენილი, ნახევრად მძინარე,
ჩუმად ქვითინებენ ხავსის ქვეშ ლოდები,
შენ, როგორც ცივი და შლეგი მდინარე,
გასულ დღეებივით ნელ-ნელა მშორდები.
ახლა კი ვგავარ დაჭკნობილ ფოთოლს,
უშენოდ ტოტზე შერჩენა მიჭირს,
ამაღამ, ალბათ, სასტიკად მოთოვს
სულში, უშენოდ დარჩენილ ბიჭის.

2000 წ. 17 ივლისი

●

სიზმარში გნახავ, გამეღვიძება, შევკრთები უცბად,
აპრილის კაბით შენი აჩრდილი ჩაიშრიალებს,
მეც აჩრდილივით გამოვუდგები
შენს გამთბარ სუნთქვას,
ქარს დავუტოვებ უიმედობის მწვავე იარებს.
შენი დანახვა ჩემთვის უკვე გაზაფხულია,
თოვლის გადნობა – მოულოდნელი გულის ტკივილი,
შენი სიცივე მშვენიერების დასასრულია
და საზარელი, ვით უკუნეთში ჭოტის კივილი.
უშენობაა სიცივე გრძნობებს რომ გამიბრუებს,
თოვლის ფიფქებით უმოწყალოდ დავიფარები,
სიყვარულს ისევ ძველებურად თუ დამიბრუნებს
შენი უძირო, სიცოცხლით სავსე შავი თვალები.

1990 წ.

●

ტაშისკარიდან მარტყოფამდე გზაზე ბინდია,
ოხრავს მარაბდა, გიორგის ხმალი უქმად გვიგდია,
რა უსამართლოდ გაგწირა ბედმა, როგორ ვსტირი მე,
მარტყოფის ველზე შენი ნასროლი შუბის ჭირიმე!
ათასი კაცით ეს რა ჰქენი, ტირიან ქვანი,
თორმეტ ათას კაცს სად წაიღებს მდინარე ქსანი,
მარტო დარჩენილს რა გინდოდა, რა ჯინი გჭირდა?!
თუ სიყვარული არა გქონდა, მაშინ რა გრჯიდა?
ო, ბაზალეთი, ყველაზე დიდი ტკივილი შენი,
ვერ შეგიფასეს, რა საქმეც შენი მარჯვენით ჰქმენი,
რისთვის დაგატყდა შენივე ხალხის სასტიკი ზვავი?
კვნესის მარაბდა, წინ გიდევს შენი პაატას თავი.
დუმს საქართველო, რადგანაც ყველას გულში ტკიოდი,
გვიშველეთ რამე, ოსმალეთში მიდის გიორგი!

1998 წ. 5 ივლისი

●

უკვე მინდორში ყაყაჩო ჰყვავის,
ფშატის სურნელით მათრობს მაისი,
შენი თმებია უკუნი ღამის,
შენი ტუჩები –კოცნის ბაზისი.
მზემ დღეს შთაბერა სხივებით სული,
მამა დავითზე გუგუნებს ზარი,
ძილშიც ხმამაღლა მიფეთქავს გული,
სიზმარმა შენზე დამწერა ჯვარი.

დღე ოცნებების ვზივარ აბჯარში,
ღამეს ვათენებ შენზე ლოცვაში,
მეჯვარეებით შევალთ ტაძარში
წმინდა ხატების გარემოცვაში.
შენ თეთრი კაბა გეცმევა ტანზე,
მაისის თვეში ვარდივით გაშლილს,
დედოფლის გვირგვინს დაგადგამ თავზე
ო, რა ლამაზად გაკოცებ მაშინ!

2000 წ.

ვაჟასებურად

კვლავ თეთრად ჰყვავის ალუჩა,
მტკვარი სავსეა ჭალებით,
ცა ღრუბლების სენს გადურჩა,
დაგვცქერის ლურჯი თვალებით.
მითხარით, ციხე-კოშკებო,
თქვენი წარსულის ამბავი,
ან იქნებ ერთად მოვძებნოთ,
შოთას საფლავი სად არი?
სად კვნესის ტაო, კლარჯეთი,
სად გაყინულა სანთელი?
თუმც ჩუმად დგანან ტაძრები,
მაგრამ ბევრი აქვთ სათქმელი.
ო, ჩემო საჯიხვეებო,
მთებო, საბნის ქვეშ თოვლისა,
იქნებ თქვენ მითხრათ მიზანი,
ჩემი ამ ქვეყნად მოსვლისა?!
მეც სიყვარულის ნაყოფი
ვარ ამა წუთისოფლისა,

ჩემიც იღვრება სამყოფი
მლაშე წვეთები ოფლისა.
დრო კი ყოვლისა მპყრობელი,
როდესაც წლებით გადამღლის,
მოვა სიბერე ოხერი,
არა შემცოდი არავის!
მერე სიკვდილიც მიკითხავს,
დღეს გაეყრება თვალები
და როგორც ქსანი ქვების ქვეშ,
მეც ჩუმად გავიპარები.

2000 წ. 23 აგვისტო

●

წუხელ მეტკინა ჩემი სიზმარი,
წინ შევეჩეხე მწვავე მარათონს,
თოვლივით ცივი სიტყვა მითხარი,
ახლა არვიცი რაღა გამათბობს.
ცა ღრუბლიანი იყო შენსავით,
კალთაში მეჯდა დილის აისი,
თეთრ სარაფანში ჩაცმულ დღესავით
სარკმელთან იწვა ცხელი მაისი.
ჩემს სულის ჰოლში მოსული სითბო
შენზე ლამაზი ფიქრებით მავსებს,
დამემალები, რომ აღარ გკითხო:
რატომ ხარ ასე სიცოცხლით სავსე.?მე შენს თვალებზე
ვისწავლე ლოცვა,
ძველს ვეფერები, ახალს უჩვევი
და გამახსენდა პირველი კოცნა

უმოწყალოდ რომ დამწვა ტუჩები.
იქნებ, დღეს ვნახო ტკბილი სიზმარი,
იქნებ, არ შევხვდე მწვავე მარათონს,
მაშ, სანუგეშოდ რამე მითხარი,
რომ გაზაფხულმა სუნთქვით გამათბოს!

1999 წ. 27 მაისი

●

წვიმის წვეთები ნაკადულს ერთვის,
სურნელი მოდის ნაცნობ ქუჩიდან,
ეს გაზაფხული იწყება ჩემთვის,
პირველად შენი ბაგე-ტუჩიდან.
ხე ვარ ობოლი და მარტოხელა,
გადაჭრილი მაქვს ძირში ფესვები,
მე ვერ შევძელი შენთვის გამხელა,
რასაც ამბობენ ჩემი ლექსები.
აპრილის წვიმა და შენი თმები,
ალუბლებივით მწიფე ტუჩები,
მე შენი ეშხით ყოველდღე ვთვრები
და გთხოვ, ლამაზო, ნუ მეურჩები!
ცას ლაჟვარდი აქვს ჩამოხეული,
მოასკდა წვიმა ქუჩებს თბილისის,
ლამაზი სულით შენი სხეული
როდის შემივსებს ხელებს, ვინ იცის?!
იწყება თოვა ჭერმის ყვავილის,
შენს სახლთან მიწა თეთრი ფერია,
ეს თვეც უშენოდ მალე გაივლის,
დამრჩება ლექსად რაც მიწერია.

2000 წ. 7 აპრილი

●

უმოძრაობა მოსწყინდა კარებს
ცას შეეპარა მკრთალი აისი,
ისევ ჭიმავენ ფიქრები ლარებს
და ჟღრიალებენ ძილში ხალისით.
მოიპარება ჩუმად აპრილი,
უბეში ლამაზ ფერებს რომ მალავს,
შენ მარტოობით ძლიერ დაღლილი
ყავის ჭიქაში ეძებ მომავალს.
და როგორც ატმის ახალი ყლორტი,
მსგავსი სურნელი გიღვივის თმაში
და ეს სურნელი ჩემამდეც მოდის,
ვხედავ, რომ შენში გამქრალა ბავშვი.
შენ კალმახი ხარ ცივი წყლებისა,
მე ლურჯი ტბების ვარ ორაგული,
შენამდე მოსვლა აღარ მეღირსა,
ჯავრით და ბოღმით აივსო გული.
მე ახლა დრო მაქვს გატაცებისა,
ზეცაზე ღრუბელს დავეკიდები,
ჩუმად დავზვერავ გუნდს ხოხბებისას,
ყველაზე ლამაზს გავეკიდები.
აპრილი რეკავს სულში ზარივით,
მკერდს იმწვანებენ წვიმით კორდები,
სულს უნდა ქროლვა შმაგი ქარივით
და შენ მოთმენით ნუ მელოდები!

2002 წ. 14 აპრილი

ქავთარ ქაჯიფაისძეს

ქავთარ, მადლი გქონდა ღმერთის,
აკვნიდან რომ აგყოლია
და მოქსოვე ფიტარეთის
ქვებში სულის ჰარმონია!
მე, როდესაც შენი ხელით
გათლილ ქვებზე ვაბიჯებ,
მითხარ, სულში ხომ არ გტკივა,
მაგ მარჯვენას გაფიცებ!
ქავთარ, შენი ფიტარეთი
დღესაც გვყოფნის საფიცრად
და ეს მცირე მონაკვეთი
გულის საზღვრებს გასცილდა.
როგორც მხრებზე ქალის თმები
და გორებზე ნისლები,
წვანან ქვებზე ჩუქურთმები
სევდიანი ფიქრებით.
როგორ მინდა ჩემი ერი
მაგ ქვებივით დამშვენდეს,
დაგვდო ერთი მეორეზე
და ტაძარი აშენდეს!
ქავთარ, როგორ ვეფერები
შენს მადლიან მარჯვენას,
ნუთუ მოკვდნენ ეგ ხელები?!
მე არაფრით არ მჯერა!
ეს უაზრო შეგონება
არ მანიშნებს არაფერს,
რადგან შენი ხელოვნება
ჰგავს უძირო ქარაფებს.
ტაძრის ტანზე ჩემი ცხელი

სისხლის კვალი დარჩება,
დაგელოცოს ოქროს ხელი,
რომ გაჩუქა გამჩენმა!
დღეს განგების ტორებშია,
ამ ქმნილების ხელყოფა,
შენი ქვების პოეზია
ერს ნუგეშად ეყოფა!
ქავთარ, მადლი გქონდა ღმერთის,
აკვნიდან რომ აგყოლია
და მოქსოვე ფიტარეთის
ქვებში სულის ჰარმონია!

2001 წ. 16 ივლისი

ათი წლის თამთას

მოვა ივლისი ცხელი, თავნება,
ხავსს დაიბნევენ მკერდზე ლოდები,
ვარდები წითლად შეფერმკრთალდება,
როგორც ბავშვური შენი ლოყები.
და მოვალ შენთან, პატარა თამთა,
ივლისის ფერებს მოგიტან პეშვით,
ცელქი თვალებით გაათბობ ზამთარს,
რომელიც შენს გულს დატოვებს ხვნეშით.
გელიან წლები ქალობის ეშხით,
ჯერ გაუშლელო, ქორფა ვარდივით,
ავწევ სასმისს და ძარღვიან ლექსით
თავს დაგიბურავ თეთრი მანდილით.
მაგ კეთილშობილ და ბავშვურ სახეს

მუდამ უხდება თბილი ღიმილი,
სახეს, რომელიც ათი წლის წინათ
დასველდა ცრემლით პირველ ტირილის.
დრო კი იფქვება, როგორც ხორბალი,
დღეები ხსოვნით რჩებიან წარსულს
და მიაგორებს ბედის ბორბალი
შენი ცხოვრების მეათე ზაფხულს.
დაბადების დღეს გილოცავ, თამთა!
მე ამ სიტყვებით, დაწერილს ლექსად,
მოდით, დავლოცოთ პატარა ქალი,
ეს ფიალებიც ბოლომდე შევსვათ!

2001 წ. 24 ივლისი

●

ჩვენს გატანჯულ სხეულებს
კვლავ აწვალებს ჯალათი,
წითელქუდას წაართვეს
საჭმლით სავსე კალათი.
მიყვარს ჩემი კახეთი,
გულში ხანჯლად გაყრილი
და ხაშლამის ნაჭრები,
ზედ ბალახზე დაყრილი.
იღვიძებენ დევები,
ზღაპრებში და მითებში,
მერე ისევ ქრებიან
უცნობ ლაბირინთებში.
ცხოვრებაზე ჩივილი
ისევ მდიდრებს სჩვევიათ,

თამარს კვლავ გვილანძღავენ,
როგორ არა რცხვენიათ?!
თუ ფიქრები მშრალია,
პირამიდის ქვებივით,
სიზმარ-სიზმარ დადიან
დამშეული მგლებივით.
ელავს თეთრად სხეული,
როგორც ტახის ეშვები,
მე ვნებების მორევში
ღუზის მსგავსად ვეშვები.
ქალს ქალობა უხდება,
კაცი ფასობს კაცობით,
ზოგჯერ გულიც წუხდება
ურჩი ბავშვის ანცობით.
გოგონები, მკერდსავსე,
გრძნობებს ვეღარ მალავენ
და გახსნილი საკინძით
ბიჭებს მზერას ჰპარავენ.
გზით დაღლილი ტალღები
ლოდებს გვერდს ვერ უვლიან
და იანვრის დღეები
ძაღლის ხმაზე ჰყმუიან.
ძმები, ძმებზე გამწყრალნი,
სულს თხასავით ყიდიან
და დმანისის მიწიდან
ევროპის გზით მიდიან.
იქნებ, მართლაც, კვდებიან,
წლები, სავსე ხალისით
და თან მიაქვთ საფლავში
დარდი გაუსაძლისი.
ნუ შებილწავთ საფლავებს,

იქ წინაპრის ძვლებია,
მათი მკლავის წყალობით
დედის რძეც შეგვრგებია!

2002 წ. 4 მარტი

●

გათენებულა, მზის სხივებმა ბინდი აჰყარა,
მოუწევს თვალებს ფოლკნერისეულ აზრებით დაღლა,
ფურცლებზე მოჩანს გარდასული წლების ჭაღარა
და მე ამ ფურცლებს სათითაოდ ვითვისებ ახლა.
ირგვლივ ყველაფერს მორევია სიკვდილის შიში,
ეს შიში, ნეტავ, გაგრძელდება როდემდე ასე?
წამოწოლილან თეთრი მუზები ბებერ ხის ჩრდილში
და სევდიანი ფიქრებით აქვთ თვალები სავსე.
ფეთქავს საათი, ირგვლივ წუთებს უხვად არიგებს,
გაცრეცილ ფურცლებს კვლავ გახელებულ
გონებას ვახლი
და, ალბათ, მალე გადარაზულ კარებს გამიღებს
ფოლკნერის პროზის იდუმალებით მოცული სახლი.
მე ეს ფურცლები, როგორც ჭაობი, თავისკენ მითრევს,
მთელი სიმძლავრით ჩამავლო მხრებში ორივე ხელი,
ქარი კი ისე უსისინებს გადაღლილ ფიქრებს,
როგორც საკბენად გამზადებული, ჩხრიალა გველი.
ისევ გათენდა, მზის სხივებმა ბინდი აჰყარა,
მოუწევს თვალებს ფოლკნერისეულ აზრებით დაღლა,
დევს უმოძრაოდ ბევრის მთქმელი, უენო წიგნი
და ელოდება ჩემს ყურადღებას მოთმენით ახლა.

2001 წ. 17 დეკემბერი

●

კალმახი, აღმა მავალი,
იორი – თეთრი ქაფითა,
მზე, კახეთს ამომავალი,
ველზე დამდგარი ნამითა.
ხოხბებით სავსე ჭალები,
აპრილი – ლურჯი ფერითა,
ცის მოწმენდილი თვალები,
მერცხლები – ლაღი ფრენითა.
ციხე-კოშკები, ტაძრები,
მინდვრები – მწვანე ფერითა,
აგვისტოს მზისგან დამწვრები
ქალები – სავსე ვნებითა.
ეს არის ჩემი სამშობლო,
ივლისშიც თოვლის მთებითა,
მოდით, ნახეთ და დარწმუნდით,
თავს არ შეგაწყენთ ქებითა!

2001 წ. 11 იანვარი

●

მე შენზე ბევრი სტრიქონი ვწერე,
სიტყვებს ვაყარე მარილი მუჭით
და გაზაფხულის წვიმების მერე
ამ სიტყვებს შენთან სიშორე უჭირთ.
როს მზის სხივების მძაფრი შეხებით
დაფეთდებიან მწვანე კვირტები,
მე მოვალ შენთან სველი დღეებით

და შენ სინაზით გამიკვირდები.
კვლავ დაირცხვენენ ლურჯად იები,
აპრილის სახლში მოწვეულები
და შენი ტანიც ისე ბრდღვიალებს,
ვით სექტემბერში ბროწეულები.
მიდიხარ, მიგაქვს ნაზი სურნელი,
აპრილის ლურჯი ფერი გალაღებს,
მე, როგორც შველი გამოუცდელი,
შენს ნატერფალზე ვწიწკნი ბალახებს.
და აჰა, ღამეც გავცვითე ფიქრით,
მოვდივარ შენთან, მომყვება შიში,
შენ მემალები ათას წლის იქით,
სემირამიდას ბაღების ჩრდილში.
ხეები სახეს მალავენ ქარში,
წყალზე ირწევა ობოლი ტივი,
მე კი უშენოდ მიმავალს სახლში,
გული მაქვს ახალ თოვლივით ცივი.

2002 წ. 13 იანვარი

●

მე უშენოდ გაყინული რტო ვარ,
ისევ თოვდა გამალებით გუშინ,
მალე ალბათ გაზაფხულად მოვალ,
შენს იანვრით გაწამებულ სულში.
და იტირებს ვაზი მსუბუქ ცრემლით,
როცა იგრძნობს გაზაფხულის ამბორს,
თვით მედეაც სიყვარულის ეშხით
უცხო ქვეყნის გზაზე გაჰყვა არგოს.

უკვე სულიც დაიღალა თოვლით
ისე, როგორც უშვილობით ქალი,
მიჰყვებიან თეთრ ბილიკებს გლოვით
ეს დღეები, უხორცო და მკრთალი.
ზამთრის ხელით გაძარცვულა ბაღი
და სიცივე ტუჩებზე კანს ხეთქავს,
საცოდავად ბჟუტავს ჭერში ჭაღი,
თოვლის ქვეშ კი გაზაფხული ფეთქავს.
მაშინ მოვალ უსიკვდილოდ შენთან,
როცა ძილი გაუკრთებათ იებს
და უბადლო წარმომშობი ფერთა,
კვლავ შეიხსნის საყელოზე ღილებს.
მე უშენოდ გაყინული რტო ვარ,
ისევ თოვდა გამალებით გუშინ,
მალე, ალბათ, გაზაფხულად მოვალ
შენს იანვრით გაწამებულ სულში.

2002 წ. 10 თებერვალი

●

მწვანედ ხასხასებს ტყე-ყანა,
ცრემლად იღვრება კვლავ ვაზი,
არ მეგულება ქვეყანა,
საქართველოზე ლამაზი!
ჩემი სამშობლოს ცა არის
საოცრად ლურჯი, კრიალა,
უხვად გვყავს ქალი ლამაზი,
მკერდსავსე, თვალებბრიალა.
ლურჯად მორთულან ატმები,

ტანს ცეცხლი შემონთებიათ,
ირგვლივ კი ოქროდ დაღვრილი
მკერდგადაშლილი მთებია.
მთებია, მაგრამ რა მთები!
ლამაზ-ლამაზი ფერებით,
სახეზე ქართულ ნაკვთებით
და დათოვლილი წვერებით!
ეს გაზაფხულიც მორთულა,
მწვანე ბეჭდებით თითებზე,
მინდორი არის ორსულად
ზამბახებზე და ტიტებზე.
მწვანედ ხასხასებს ტყე-ყანა,
ცრემლად იღვრება კვლავ ვაზი,
არ მეგულება ქვეყანა,
საქართველოზე ლამაზი!

2002 წ. 8 აპრილი

●

წლები ჩვენგან ტალღებივით მიდიან,
შენ მახსოვხარ სულ პაწია კაბაში,
ჩემს ქუჩაზე ამ წუთებში ბინდია,
დღეს კი ისევ შენთან უნდა თამაში.
ჩემი სევდა შენი ეშხის ბრალია,
ივლისივით მწვავენ შენი თვალები,
თეთრი მხრები თმების სასთუმალია,
წარბ-წამწამთა ჩრდილში დავიმალები.
შენს სარკმელთან ქარი არხევს ალუბალს,
დილის შუქი ნაზი კოცნით გაღვიძებს,
სულ არ უსმენ ჩემი გულის საუბარს

და არ იკრავ უღვთოდ გახსნილ საკინძეს.
ტანი გიკრთის ახლადშობილ შველივით,
ეგ ტუჩებიც, ო, რა ტკბილად დაღვინდნენ!
წამწამები ფრთხიალებენ მწყერივით,
ძუძუები ლამის ცისკენ გაფრინდნენ.
ბროლის მკერდზე საკინძე გაქვს გახსნილი,
შიშველ მხრებით მიგაქვს მზერა უხეში,
თუ უშენოდ მზე ჩავიდა დაღლილი,
ბნელ ღამეში სად ვეძებო ნუგეში?
დღეები კი გულში ხანჯალგაყრილი
მიდიან და მიაქვთ ჭრელი ფერები,
მე კი ისევ უშენობით დაღლილი
ღამე ბალიშს ცრემლით მოვეფერები.

2002 წ. 31 აგვისტო

●

მარაბდაზე წუთებს ითვლის ღამე,
იდუმალი, რაღაც ავის მთქმელი,
ბრძოლის ჟინი გასჩენიათ თვალებს,
ხმალთა ტარზე ასვენია ხელი.
მკრთალი შუქი მოეპარა მინდორს,
ღამეს მხრებით აუკეცა კალთა,
მიწამ მწარედ დაიგმინა თითქოს
და აბჯარზე ატყდა ცემა ხმალთა.
ფოლადს მყიფედ ემტვრეოდა ძვალი,
ცას ეკიდა სისხლიანი ფარად
და გიორგის მოქნეული ხმალი
შავ ღრუბლებში მეხის ელვას ჰგავდა.
ნედლი მიწა შეიღება სისხლით

ვერ იხდიან ვაჟკაცები აბჯარს,
ცოლებს ველარ უკოცნიან ლოყებს,
ღალატობენ დედის ამდენ გარჯას.
ცის ნამივით უხვი დედის ცრემლი
ეწვეთება თქვენს ვაჟკაცურ იერს,
მოწიწებით კვლავ ქედს გიხრით ერი,
თქვენ ხომ სიკვდილს უკდავებით სძლიეთ!

2002 წ. 19 სექტემბერი

●

ფიქრის შავი იალქნები,
ხავსით სავსე ქვები,
ვთვრები, როცა ღვინოს დავლევ,
რა თქმა უნდა, ვთვრები!
დრო მიდის და უსწრაფესად
გამირბიან წლები,
არ მადარდებს, რას იტყვიან
ჩემზე როცა სხვები.
უცბად გონს რომ მოვეგები,
სულს მოვითქვამ ხვნეშით,
ქვევრის თავზე ჩამოვჯდები,
ღვინოს შევსვამ პეშვით,
მერე ნერვებს დამიკაწრავს
ქალით სავსე ქუჩა.
მაპატიეთ, ლამაზებო,
თუ გიყურებთ ურჩად,
მწიფს მაყვალი, ეგ თვალებიც
მაყვალივით ღვივის.
მკერდგაშლილი ყვავილები

ნამს წრუპავენ დილის.
ჩამოთოვს და დაღლილ ფიქრებს
დავაძინებ თბილად.
ჩემს საკრმელთან ძალას იკრებს
სუსხიანი დილა,
მერე მიზეზს მოვიგონებ,
სულს რომ მივცე შვება,
დავლევ ღვინოს და მაშინვე
სევდა სადღაც ქრება.

2002 წ. 10 ოქტომბერი

●

ჩემთვის პარლამენტია საქართველოს მთა-ველი,
ჩემთვის დეპუტატები – ციხე-კოშკის კედლები.
ძველ ტაძრებში ვილოცებ,
ღმერთს მადლს შევევედრები,
მზის ცხელ დისკოს სათუთად
მკერდს უდგამენ ქედები.
ტაძრის ქვები ტირიან,
ვით შვილმკვდარი დედები,
არვის არას არა ვთხოვ,
ნურც მე შემეცილებით!
ბანა ეშხით გამათბობს,
მტკვარი მავსებს იმედით,
სულით, ხორცით ქართველი
ქართველადვე მოვკვდები!
და მკერდს დამიმშვენებენ
ხანდაზმული ლოდები!

ჩემთვის პარლამენტია საქართველოს მთა-ველი,
ჩემთვის დეპუტატები – ციხე-კოშკის კედლები
და მთელი დღე ფიქრებში
მათთან დავეხეტები!

2002 წ. 26 ნოემბერი.

●

უშენოდ სიჭაბუკე გავიდა...
გელოდო მოთმენით, როდემდე?
მომადე მკერდზე თავი და
პატარა ბავშვივით მომენდე!
ნუთუ მაჭარივით შუშხუნებ?!
ნუთუ ჯერაც არ დაღვინდი?!
ნეტავ, ქულა ვიყო ღრუბლისა,
თმებზე მარგალიტებს დაგღვრიდი!
მალე მოფრინდება მაისი,
გულებს გადაშლიან ვარდები,
კიდევ თუ შეგხვდები, არ ვიცი,
იქნებ ამ სტრიქონში მთავრდები.
ნელა მოირწევა საღამო
ტალღებზე მოქანავე ნავივით,
შენი წამწამები ღელავენ,
ქარში აღელვებულ ჭვავივით.
მთვარე ატივტივდა გუბეში,
ფრთები აიკეცეს ნისლებმა,
და შენს საოცნებო უბეში
კვნესით გაიღვიძეს სიზმრებმა.

2002 წ. 4 დეკემბერი

ზამთარი ჩემს სტრიქონებში

ნუშის ხეს სულში სციოდა,
მუდარით სითბოს მთხოვდა,
დეკემბრის ქარი კიოდა,
მთებზე თოვდა და თოვდა.
მოჰქრიან ციდან ფიფქები,
გაყინულნი და ფერმკრთალნი,
თვალებს ახელენ ფიქრები,
მამლის ყივილით შემკრთალნი.
თოვს და ეს თოვლი ახალი
უწინდელ თოვლზე ცივია,
იქნებ ეს მთანი მაღალნი
თოვლის ქვეშ მწარედ ტირიან?!
იქნებ ეს მდინარეებიც
ფიქრებს მალავენ ლოდებში,
უძრავად წვანან ტალღები
ზამთრის სუსხიან ტორებში.
მზე ვეღარ გვწვდება შორიდან,
ბუხარში ბჟუტავს ღადარი,
ჩემს სტრიქონებშიც მოვიდა
თოვლით და სუსხით ზამთარი.

2002 წ. 20 დეკემბერი

●

ძველი დმანისის სითბო და ეშხი
ჩვენ თვალწინ უცბად გადაგვეშალა,
რად გაგიკვირდათ, ამ უცნობ ტყეში
დავიბენი და გზა შემეშალა.
ამ მშვენიერ და უძველეს ქალაქს,
ფეხქვეშ გაგიშლით ნოხივით ყველას,
ყაყაჩოებით კვლავ სავსე ყანა,
თითქოს ქართველთა ჯარივით ღელავს.
ო, რა უმწეოდ დგანან კედლები,
გადატყდა წელში იმედი რწმენის,
მე, ალბათ, წარსულს შევეკედლები,
რომელიც ახლა ჩემს ტკივილს შველის.
და გამოვლილებს უამრავ ჭირში,
გაშიშვლებიათ ამ ტაძრებს მხრები,
უიმედობის ამ მწარე ჩრდილში
მხოლოდ წარსულზე ფიქრითღა ვთბები.
აღარ ეტყობათ ხეებს ხალისი,
მათ ფესვებს რაღაც დარდი აწუხებთ,
მე კი მიკივის სულში დმანისი
და უმოწყალოდ მიჭერს მარწუხებს.
კარვის კალთიდან გავხედავ რიყეს,
ჩანს რელიეფი მეტად ველური
და მიაქროლებს გადამღლელ ფიქრებს,
მდინარე თავის გრილი სხეულით.
როდესაც თავზე მზე დაგვაწვიმებს,
ჩამოსცილდება შენს თვალებს რული,
გულს ნედლი მიწის სუნი ამძიმებს
და ქართულ სისხლსაც ურჩება წყლული.

ხეებს კი ისევ ვერ ვამჩნევ ხალისს,
მათ ფესვებს რაღაც დარდი აწუხებთ,
ისევ მიწეწავს ფიქრებს დმანისი
და დაუნდობლად მიჭერს მარწუხებს!

2001 წ. 19 ივნისი

●

როცა დედამ გამაჩინა ამ ქვეყნად
და პირველად მზემ სხივებით დამკორტნა,
მერე გულმა სიყვარულიც გახედნა,
რომელიც რომ შეუცნობლად დამქონდა.
როცა შოთას სიტყვებს ფხა აელესათ,
ტარიელის ხმლის ქვეშ გატყდა ქაჯეთი,
ახლა მწარედ მოგლეჯილი გულიდან,
ძლიერ მტკივა ჩემი ტაო, კლარჯეთი!
შებრაწულან მზისგან ურჩი ქედები,
ვით თონეში გამომცხვარი ქადები,
თუ უკვდავად ვერ გვბადებენ დედები,
მე უკვდავად ლექსში დავიბადები!
ჩემი გული ბოღმას გაუხლეჩია,
ხმალსაც ჟანგი დასდებია ქარქაშში,
ასეთ ყოფას მე უდაოდ მერჩია,
გრიგოლს ხელში ჩავკვდომოდი ხანძთაში!
დედი, შენმა სიყვარულმა მაჩვენა
უფლისციხის ქვის ბებერი ფანჯრები,
თუ მეორედ მე მელირსა გაჩენა,
უეჭველად მათთან ახლოს გავჩნდები!
ო, რა მწარედ მიმატოვეს მშობლებმა,

ასე ყოფნა ნუთუ ჩემზე ახია?!
საქართველო დამიჯიჯგნეს ყორნებმა,
საქართველო გელათის წინ მარხია!

2001 წ. 25 ოქტომბერი

●

საქართველოა კვირტი ყვავილის
და ჩემთვის – ქოხი ისლის,
არხოტს და შატილს კვლავაც გაივლის,
კაცი ქართული სისხლის.
ბარში ჩამოვა ღრიალით თერგი,
ქვებს დაილეწავს მკერდზე,
კვლავ გაიზრდება ახალი ნერგი
ბებერ ხის ბებერ ფესვზე.
სულს დამიკაწრავს სვეტიცხოველი,
ფეთქვა გულის და მაჯის,
მოიხიბლება ირგვლივ ყოველი
შენი ჩუქურთმით ვაზის!
დუღილს დაიწყებს მაჭარი ქვევრში,
მისთვის ჩვეული წესით,
ვინაც ოდესმე მოხვდებით გრემში,
მისი დიდების შესვით!
როდესაც ბარში მწიფს ალუბლები,
მთაში კვლავ ცივა ოდნავ,
შენ მე გერგეთზე მესაუბრები,
მე ფიტარეთზე ვბოდავ!
და გაზაფხულის მწვანე მკლავებში
ვხედავ ენძელებს შემკრთალს,

მამრი ხოხობი ივრის ჭალებში
ყივილით უხმობს დედალს.
სქლად წამოუსხამს თოვლიან მხრებზე,
ყაზბეგს ნაბადი ნისლის,
კვლავ დადის თმოგვთან გათელილ გზებზე
კაცი ქართული სისხლის!

2001 წ.

●

უცბად მოსული წვიმების თქეში
ჰგავს ტიციანის ლექსების მეწყერს
და ყოველი დღე უკვდება ხელში
დროს, ფერთა შეუდარებელ ფერმწერს.
ცელქი ქარები, ხორკლიან ენით,
ქუჩებს ხვეტავენ ბოშა ქალივით,
ტყემლის ხეები აპრილის ხელით
ტანს იმოსავენ დედოფალივით.
მე კი რა გითხრათ საკუთარ თავზე,
რა ვუყო, სულში ისევე ბნელა,
სქლად შეფენილი ღრუბლები ცაზე
ცხვრის ფარასავით მიდიან ნელა.
სველი დღეები მალე გაქრება,
კვლავ გაივსება ბაღი ვარდებით,
ო, მაცოდინა, ნეტავ, ამქვეყნად
ყველა ტირილით რად ვიბადებით?!
მე დედაჩემის მახსოვს თვალები,
მაისის თვეში უსაზღვრო სევდით
და მისი სითბო შეუდარები,
რომელიც მუდამ დამყვება გვერდით.

ღამის ტკივილი თვალებზე გადის,
დღეს საბოლოოდ ვაკოცებ დედას,
ის თან წაიღებს დედობის მანდილს,
მე დამიტოვებს ეკლიან სევდას.
ეს სოფელი კი არავის ინდობს,
ზოგს ტანჯავს, ზოგსაც ატარებს მხრებით,
ხან ათასფერად ელვარე მინდორს
აავსებს ხმლისგან დაჩეხილ მკვდრებით.

2002 წ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

სიცხისგან კანი დაუსკდა მიწას,
ახლა დილაა თვალის გუგებში,
მე წინაპართა ფრესკები მიყვარს
გაცრეცილ ჩოხა-ახალუხებში.
წითლად მოასკდა ყაყაჩო მინდორს,
ხმლით გაკვეთილ ძვლებს მოსწყურდათ ლექსი,
დღეს საქართველო ადარდებს დიდგორს,
ღირსეული რომ არა გყვავს მწყემსი!
ხავსმა დაფარა მეფეთ პალატა,
მამულო, შენი თბილი ნუგეშიც...
ბედნიერია, ალბათ, პაატა,
შენთვის რომ მოკვდა სიჭაბუკეში!
დილის ცრემლები ეპკურა მდელოს,
ფრესკები წარსულ წლებზე ტირიან...
როგორ სჭირდებით დღეს საქართველოს:
ფარნავაზ! ვახტანგ! დავით! მირიან!

2005 წ. 16 აგვისტო.

●

მოგეპარა ზამთრის თვე უხალისო,
თბილ კაბის ქვეშ გადამალე მუხლები,
რომ მაისში კვლავ სურნელით აივსო
ბროლის მკერდი, ისევე ხელუხლები.
ატმის ტოტზე აბუზულა ბეღურა,
თოვლის ფიფქთა მეჯლისია გარშემო,
მე ვეძებდი უფსკრულებში გაზაფხულს,
რომ ფერები შემერჩია საშენო.

2003 წ. 10 თებერვალი

●

კაცი უნდა კაცი იყო,
მამულისთვის ჭედდე ხმალსა,
არ მოაკლო სტუმარს სითბო,
ძმობა უთხრა უცნობ ქალსა!
ათას ჭირ-ვარამ გამოვლილს
არ დაანგრევ ტაძარს ძველსა,
უძლურ მოხუცს, ჯოხს დაყრდნობილს,
ფიცხლად მიაშველებ ხელსა!
კაცი კაცად მაშინ ფასობ,
წინაპართა იცავ წესსა,
გინდაც მტრისა დედის ნაშობს
არ მიაწვდი ხელში გველსა!
მაშინა ხარ მხოლოდ კაცი,
არ შებილწავ ძმის საფლავსა,
და გექნება მაშინ ფასი,

ძმაკაცს გაუმაგრებ მხარსა!
რომ დაინდობ მოყვასის ქალს,
არ შეახებ მრუშედ ხელსა,
მაშინ გეტყვი, რომ კაცი ხარ,
ვენაცვალე შენს გამზრდელსა!

2005 წ. 17 აგვისტო

●

შენს თვალებში არ სჩანს ფონი,
შემეპარა გულში ბზარი,
დუმს ეს ჩემი ტელეფონი,
ენატრება შენი ზარი.
თან მივათრევ გამშრალ ფიქრებს,
ტყვიასავით ცხელს და მძიმეს,
შენთვის ვძერწავ ლამაზ სიტყვებს
და ვაკვნესებ როგორც სიმებს.
თუ წყარო ხარ, მთხოვე შეგსვა,
თუ ლოდი ხარ, მე ვარ ხავსი,
როცა მარტი იებს მწყემსავს
გული ტირის, როგორც ბავშვი.
რა ხანია, შენს ზარს ველი,
დროც გაჩერდა ჩემთვის, მგონი,
და შევკრთები, როგორც შველი,
რომ დარეკავს ტელეფონი.

2005 წ. 16 სექტემბერი

●

მე შენთვის ბევრჯერ მინდოდა მეთქვა,
რომ სიყვარული ბავშვივით ვიცი,
თეთრ გვირილების რომ მოვა სეტყვა,
ხატის წინ მაშინ უნდა ვთქვა ფიცი.
კვლავ გაზაფხულის ლოდინით დაღლილს,
მინდა მუხლები შევახო მიწას,
მე ახლა უნდა ვითმინო თოვლი,
ტანზეღა შერჩა აპრილი ციცარს.
უმანკო სულით წამყევი მთებში,
მკერდს მოიღეღავს როცა აისი,
წვიმის წვეთებით გაჟღენთილ თმებში
მინდა ჩაგაწნა ედელვაისი.
მთებს ახლაც ადევთ თოვლის უღელი,
ღამის უბეში კრთება ლერწამი
და იჭმუჭნება როგორც ღრუბელი,
შენი ტანის ქვეშ თეთრი ზეწარი.

2005 წ. 22 სექტემბერი

მთებს

ირგვლივ მთებია, სულში დარია,
მთები ქედს არვის წინ არ იხრიან,
ისინი მუდამ ჩვენთან არიან,
ღრუბლები მუდამ სადღაც მიქრიან.
გულჩათხრობილნი დგანან მარტონი
და არ ეძებენ ტირილით დედებს,

კვლავ ნისლებია მათი პატრონი,
მათში მალავენ ჟანგიან მკერდებს.
თოვლიან კალთებს ვუმზერ და ვხვდები,
გულში რა ჩუმად შემომპარვიან,
წმინდა ცხოვრებით ცხოვრობენ მთები,
რადგან უფალთან ახლოს არიან.
მაღლიდან მშვიდად გადმოგვცქერიან,
მათი წარბები მუდამ თეთრია,
ჩუმად ფიქრობენ, ჩუმად მღერიან,
მათი მეუფე მხოლოდ ღმერთია!

2005 წ. 2 ოქტომბერი

●

ზამთრის ბედი სწორედ მაშინ წახდება,
თეთრ საბანს რომ მოიხდიან ქედები,
მათი ფერი კვლავ ისეთი გახდება,როგორც ქორფა ძუძუების კერტები.

2005 წ. 1 დეკემბერი

●

ღამის ქალაქი, ლამპიონების შუქით დაღლილი,
როგორც არასდროს, ასე ჩუმად, ნეტავ, რად არი?!
აფეთქებულა ბროლის კვირტებად ცელქი აპრილი,
შენი ტუჩებიც საკოცნელად უკვე მზად არი.
კედლის უბეში შავი ბუხარი დარჩა ეული,
რამდენიმე თვით გაფერმკრთალდა ბებოს ზღაპარი
და შავ ღამეში გახვეული შენი სხეული
ვარვარებს ისე, როგორც ღუმელში წითლად ღადარი.

ყვითელ სხივებით ქარგავენ ქუჩებს ლამპიონები,
ქალაქის ფიქრი ჩაუხშია უკუნეთ ღამეს,
დღეს მე და ღვინო არ ვართ შენი ეშხის მონები,
გულის ნადები დღეს გავანდე მე თიხის ჯამებს!
მთის მდინარეში აღმა მიიწევს ურჩი კალმახი,
შენი კანივით ნათელი და მეტად ლამაზი,
დროა გაკოცო, მყინვარწვერივით ნუ ხარ ამაყი,
ჩვენ სალოცავად გვეძახის ისევ ძველი გავაზი!

2005 წ. 7 დეკემბერი

●

მაგ შავ თვალების მოკამკამე უძირო სივრცე
მზერით გაათბობს შემოდგომის გაცრეცილ ქუჩებს,
მე შენს მკლავებში მინდა თავი სიყვარულს მივცე,
თოვლის ფიფქივით ზედ შევადნე შინდისფერ ტუჩებს.
თეთრ ტრამალებით მოფენილი მკაცრი სოფელი,
დამიმარტოვებს და სასიკვდილოდ თავზე დამათოვს,
მე არ მოვკვდები ამ ყინულებში მარტოდ მყოფელი,
შენს ტუჩებიდან აყოლილი სითბო გამათბობს.
და თუ იანვრის სუსხიან ღამეს შევრჩი ეული,
თავს დამატყდება უმოწყალო ფიქრთა თარეში,
თუ უცხო მკლავებს მინებდება შენი სხეული,
მე ამ სოფელში ბინას დავიდებ სიმწუხარეში.
დადგება ჟამი, შეივსებიან ყურძნის მტევნები,
ცხელი სხივები მარცვლებს ქარვის ფერად დაფერავს,
მოვალ შენთან და ისე ნაზად მოგეფერები,
ვით მევენახე ეფერება რტოზე საფერავს.

2005 წ. 10 დეკემბერი

●

ამ გაზაფხულს გნახე ცხადში,
ყვავილების გეცვა კაბა
და შენს მხრებზე დაყრილ თმაში
ჩემი სუნთქვა გაინაბა.
შენს საკინძეს აქვს სურნელი
ისე, როგორც ფშატის ყვავილს,
სულ გეძახი და სულ გელი,
ჩემი ხმა ჰგავს ირმის ბღავილს.
ისე, როგორც თევზს არ უყვარს
ტყვეობაში ყოფნა ბადის,
შენც არ გიყვარს შენი ეშხი,
ჩემს თვალებზე როცა გადის.
მაგ ბაგეთა ნაზი კრთომა
ჰგავს შეკრთომას დილით ვარდის,
როგორც სავსე შემოდგომას,
თმებზე ტკბილი სუნი აგდის.
თეთრ ხელებზე გიდევს მთვარე,
მე გულს მიკლავს ღამის შიში,
თუ გათოვდა, შემიფარე
შენი წამწამების ჩრდილში.
შენს საკინძეს აქვს სურნელი
ისე, როგორც ფშატის ყვავილს,
სულ გეძახი და სულ გელი,
ჩემი ხმა ჰგავს ირმის ბღავილს.

2004 წ. 30 ივლისი

●

ციდან მოფრინავენ სტრიქონები
და ჩემს ხელისგულზე ეცემიან,
მე შენ ოცნებებში გიგონებდი,
შენ კი უგულობა შეგძლებია.
ცრემლში აზელილი სტრიქონები
შენზე უსასრულოდ მიყვებიან,
მერე მოსწყინდებათ ჩემთან ყოფნა,
შავად თეთრ ფურცლებზე იღვრებიან.
მოვა აპრილი და გამაგიჟებს
შენი თეთრი მხრების ელვარება,
ეს ხომ ის დრო არის, იასამნებს
ლურჯად რომ ეწყებათ მღელვარება.
შენი თვალებია თბილი სხივებივით,
მინდა გაზაფხულთან შენი შედარება,
თმები გაგიშალო მარტის იებივით
და შიგ გავახვიო ჩემი ნეტარება.
მალე შემოდგომა ფიქრებს გამიყვითლებს,
ნოემბრის დღეებით გული დამძიმდება,
ქარი ჩემს ქუჩაზე ადგილს დაიმკვიდრებს
და ჩემს ლექსებშიაც მკვეთრად აგრილდება.

2003 წ. 3 სექტემბერი

დათო კიკოლაშვილს

შენი კაცობა და ის დღეები,
ის წუთი, როცა მე გაგიცანი,
თბილია, როგორც დედის ხელები
და ლამაზია, როგორც ციცარი.
გულს გითბობს სუნთქვა შენი დიდგორის
და შენი ხმალიც შუა მჭრელია,
მეც ბალახი ვარ შენი მინდორის
და ცვარს რომ მასმევ, გემრიელია.
ორბელიანის სადღეგრძელო ხარ,
ვაზის ჩუქურთმა, სვეტი ნათელი,
შენ ხარ ტაძარი, მე რომ შემოვალ
და ავენთები, როგორც სანთელი.
შენ ხარ ოქტომბრის გრილი მარანი,
დაჭყლეტილ მტევნის ტკბილი სურნელი,
აქაფებული მარტში არაგვი,
იანვრის თვეში – თბილი ღუმელი.
ვიცი, ვერ გაგტეხს და უძლურია
ამ დიდი სოფლის ამაოება,
ვაზივით უხვად დახუნძლულია
შენი კაცობა, შენი მეობა!

2003 წ. 18 აპრილი

ეკას

გაზაფხული მოდის ჩვენთან, ეკა,
საოცარი, ზოგისთვის კი რთული,
შორს გაცრეცილ ენძელებსაც ვხედავ,
საგულეში ვერ ჩერდება გული.
გაზაფხული მოდის ბარშიც, ეკა,
მთებს კი ისევ თოვლი აწევთ მხრებზე,
ვარდი ტანზე კვლავ დაიყრის ეკალს,
გული შვებას მხოლოდ შენთან ეძებს.
გაზაფხული რა მძაფრია, ეკა,
კალენდარზე არ ავახევ ფურცლებს
და მომიწევს ოცნებებთან შეხლა,
მარტში როცა მოიშიშვლებ მუხლებს.
ბალიშიდან წამოკრიფავ შავ თმებს,
მთელი ღამე სხვის ალერსით დაღლილს,
მთვარის შუქი შენს სარკმელთან ათევს
და ყვითელ შუბლს შიშველ მკერდზე გახლის.
თოვლი დნება, გევედრები, ეკა,
ნუ დამტოვებ გაზაფხულთან მარტო!
წეროების რომ იწყება ცეკვა,
მიზეზი კი მარტმა იცის, რატომ!
განთიადის მჭახე ზარი რეკავს,
ციდან სხივი ჩამოიჭრა მკრთალი,
შენს სხეულს სხვა ეფერება, ეკა,
ვაი, ჩემი წუთისოფლის ბრალი!

2003 წ. 25 თებერვალი

გაჯავრებულ თერგს

თერგო, კვლავ შავად გიყეფს გუნება,
მკერდზე ილეწავ ვეება ლოდებს,
გაჯავრებს უკან არ დაბრუნება,
მღვრიე ტალღებით ტირი და გოდებ.
ჯავროზ დარიალს, ციხეს დარღვეულს,
უფრო შლეგდები, კი არ დუნდები
და მთებს აშხეფებ ცრემლებს ამღვრეულს,
რადგანაც უკან ვერ დაბრუნდები.
რომ ეხეთქები ტალღებით დიდ ქვებს,
ალბათ, ტკივილს გრძნობ მკერდის არეში,
საქართველოზე შენს მძიმე ფიქრებს
მიათრევ მხრებით უცხო მხარეში.
დრო აღარ გრჩება ეფერო გერგეთს,
კოცნო ტალღებით კოშკები ძველი
და ისე სწრაფად გარბიხარ ჩვენგან,
ვით მონადირის დამფრთხალი შველი.
ჰე, მყინვარწვერო! აჩვენე სახე
თერგს, რომ გაუტყდეს გულის ფიცარი
და სამშობლოში სიცოცხლით სავსეს
არ დაავიწყდეს სხვისგან ვინც არი!

2005 წ. 23 ივლისი

●

კვლავ გათენდა, ახლა ცაზე
მზეა ამოსასვლელი,
იმ სოფელში ჯერ ადრეა,
ჯერ გზები მაქვს სავალი.
თვლემენ ხავსიანი ქვები,
მათი გული მკვდარია,
ჩემი ლურჯი ოცნებები
მარტმა ისევ არია.
გაზაფხული ტანს შეიმკობს
ჭრელა-ჭრელა ფერებით,
ნეტავ, შენს უბეში მოვკვდე,
შენი მკერდის ფერებით.
შენს წამწამებს ადევს თრთვილი,
სუსხს აფრქვევენ თვალები,
როგორც შინდი სექტემბერში,
ეგრე გიმწიფს ტუჩები.
მე მათკენ ავიღე გეში,
შენ კი კვლავ მეურჩები,
ჩემს ოცნებებს დალეწავენ
ფრთებით მარტის ქარები.
როგორც თოვლის ფიფქი ციდან,
შენსკენ მოვეჩქარები,
მე აპრილი გამიმთელებს
იმედის ხიდს ჩატეხილს,
კვლავ მოიტანს ლამაზ ფერებს
და იების ქარტეხილს.

2003 წ. 15 მარტი

●

გაზაფხულია და უფრო მეტ ხანს
სარკის წინ დგახარ შიშველ ფიქრებით,
ეგ შენი გულიც სხვაგვარად ფეთქავს,
სხვაგვარად თრთიან შენი თითებიც.

2003 წ. 1 მაისი

გოგონა პანამით

ნანა აღაპიშვილს

გაზაფხულს მოაქვს უხვი ფერები,
შენც მოგწონს თოვლი, შორიდან თბილი,
ზანტად შეირხნენ ციხის კედლები,
შენი სტუმრობით გაუკრთათ ძილი.
თვალი ძლივს იტევს ყანების სისქეს,
მაისის დილამ მიწა დანამა
და საქართველოს უღრუბლო ცის ქვეშ
რა ლამაზი ხართ – შენ და „პანამა“.
ტურებით სავსე მოვიდა ღამე
და შენს თვალებშიც შიშით დაღამდა,
ნუგეშის გარდა, რა გითხრა სხვა მე,
აქ, ახლა, ღამე არის თამადა.
დაასხით ღვინო, გვფარავდეს ღმერთი!
გარდასულ დღეებს ლოდებქვეშ სძინავთ,
ო, მომიტევეთ თუ ისე ვერ ვთქვი,
წინაპრები რომ ამბობდნენ წინათ.

ტაძარსაც შენით გაუკრთა ძილი,
ბნელით იფარავს ნატკენ ადგილებს,
შენი ლოცვები, საოცრად თბილი,
ძველ კედლებს სუნთქვას გაუადვილებს.
მიენდე ტაძარს, სახლს სათნოების,
გაჩუქებს დილას და ნათელ სხივებს
და ვით თვალცეცხლა ყაყაჩოები,
შენც დაამშვენებ ბოლნისის მინდვრებს.

2003 წ. 20 მაისი

შეხვედრა გავშობასთან

ქარმა მიწას აულოკა მტვერი,
ირგვლივ სუნი დატრიალდა სოფლის,
დღეს სახეზე გაუმკრთალდა ფერი
და შეაშრათ ხეებს ტანზე ოფლი.
მივდიოდი მე ნაცნობი გეშით,
უცნაურად ფრთხიალებდა გული,
მიღიმოდნენ ძველებური ეშხით,
აივნები, სიცხით გათანგული.
თვალწინ მედგა ის დღეები ცხელი,
სათიბები ყვითლად მოელვარე,
დედის სათნო, დაკოჟრილი ხელი,
კაკლის ხეზე შემომჯდარი მთვარე.
ქვითკიროო – გასძახოდა მწყერი,
ორღობის გზა მომეჩვენა ქუჩად
და ატმები, ჩამავალ მზის ფერი,
შემცქეროდნენ ბაღებიდან ურჩად.
ამ ბილიკებს შერჩათ ეშხი ძველი,

ფრთებით დააქვთ გაზაფხული პეპლებს,
მამაჩემის რომ მოაკლდათ ხელი,
ფსკერზე ობი გასჩენიათ ქვევრებს.
ერთად ყოფნის არ გვქონია ბედი,
უკვე წლებით დამიმძიმდა მხრები
და დაღლილი მე უშენოდ, დედი,
განვლილ დღეებს პაემანზე ვხვდები.
ისინი კი შორს გარბიან ჩემგან,
მცირესაც არ მიტოვებენ იმედს,
წვიმა წაშლის ჩემს ნაკვალევს ყველგან,
ქარი სულში დამიწყვიტავს სიმებს.

2003 წ. 10 ივნისი

კვლავ გეფერები ლექსით, სამშობლოვ!

მე საქართველოს მთა-ველი მიყვარს,
დილის ცრემლებში ნაკამკამები,
მოჩუქურთმებულ სულხანის სიტყვას
აქებენ გოგლას ლექსის ბწკარები.
მის თბილ უბეში გაზდილ ლამაზებს
მე ქედს მოვუხრი დაღლილი ეშხით,
მთვარე შეაკრთობს მშიერ ავაზებს,
ირმების კვალს რომ ეძებენ გეშით.
მტევნის ნაჟური ოქტომბრის თვეში
აასურნელებს ნესტიან კედლებს,
მრავალჟამიერ იფეთქებს ყელში
და წამოუვათ მირონი ფრესკებს.
ვაზს დავუსველებ ცრემლებით ფესვებს,
ქვათა ჩუქურთმის ეშხით დავტკბები

და ჩემს გულიდან ამოსულ ლექსებს
გაიტაცებენ ფრთებით კაკბები.
სანამ ეს გული უშენოდ გაძლებს,
სანამ სავსეა ყურძნის მარცვლები,
უნდა ვეახლო ტაოში ტაძრებს,
ჩამოშლილ სვეტებს შევენაცვლები!
და თუ ლოცვისას მე ავცრემლდები,
აათრთოლებენ სიტყვებს ტუჩები,
ჩავეხუტები სამშობლოს მიწას
ერთხელ ვუყნოსებ და გავყუჩდები!

2003 წ. 23 ივნისი

●

როგორ მინდა ერთად ვიყოთ,
როგორც ტაძრის წმინდა ქვები,
ჯვარზე ერთად დავიფიცოთ,
შეგვნატროდნენ ჩუმად სხვები!
შენს თმებიდან სუსტი შუქით
ამოცურდეს მთვარე მკრთალი,
გვიფარავდეს ღამე უბით,
შავ ფერების დედოფალი.
ცის კამკამა მარგალიტი
მძივად გქონდეს მკერდზე ბროლის,
გაშლილ ვარდებს, ჯერაც კვირტი,
შენ სჯობიხარ, სხვათაშორის!
ტუჩი ტუჩზე მიმატოლე,
შემაგებე სუნთქვა ცხელი,
თორემ მომკლავს სიმარტოვე

და დამრჩები უკოცნელი.
მსურს იების კონა ვიყო,
დავჭკნებოდი შენს ნაზ ხელში,
ან ფოთლების ნამი ვიყო,
ჩაგიცურდე ბროლის მკერდში.
ჩემს მკლავებში რად არ კრთები?
რად არ მათბობს შენი სუნთქვა?
კვლავ გაყრია შავი თმები
მაგ თეთრ მხრებზე ისევ უქმად.
მოდი, თორემ დარდი მახრჩობს,
ვიდრე ვარდებს ძალუძთ დგომა,
თორემ მერე ჩვენც დაგვაჭკნობს
პირყვითელი შემოდგომა!

2003 წ. 16 ივლისი

გერმანოზიშვილის ეპიტაფია

მე ვარ მუსიბი ქართლის მეფისა,
ბევრში რჩეული მტკიცე მკლავითა,
შვიდას თავს თვალი ამოეფისა,
ერთ დღეს წავკვეთე ჩემის ხმალითა.

ალგეთზე ისევ აიმღვრა წყალი,
ქართლს დასჩხავიან თავზე ყვავები,
რომ არ დაჟანგდეს, აიღე ხმალი,
მტრებს ჯერ მხრებზე აქვთ ისევ თავები!
ხმლით მოაშორე ქვეყანას სენი,
ლეშით გააძღე ტურა და ყვავი,

მეფესთან მიგაქვს ძვირფასი ძღვენი –
შვიდას ურჯულოს მოჭრილი თავი.
მათ კისრებიდან ნაწვეთარ სისხლით
უხვად შეღებე წითლად ურმები,
ვდგავარ ტაძარში დაღლილი ფიქრით,
შენს საფლავის ქვას ვესაუბრები.
ნეტავ, მენახა იმ მეფის სახე,
რას მეტყველებდნენ მისი თვალები,
სიყვარულით და სინაზით სავსე,
როგორ გიმზერდნენ ჩუმად ქალები.
ჰეი, ქართველო! სისხლო დავითის!
შენს ძვლებს ინახავს წმინდა ტაძარი,
ეგ საფლავის ქვა, ვინაც არ იცის,
ქართული სულის არის ხანძარი!

2003 წ. 18 აგვისტო

მაკას დაბადების დღეს

გაქრა მარტი, ტანი უკრთის ალუბალს,
ვარდს სიცოცხლე უღიტინებს რტოებში,
მიწის ქვეშ რომ იებს გული გაუთბათ,
შენც მოხვედი ამ მშვენიერ სოფელში!
და ჩამოჰკრეს მძლავრად ბედის ზარებმა,
ცას აასკდა იმ დღეს შენი ტირილი,
შენც გაწუხებს მოყვასის მწუხარება,
მისი სევდა, ჯავრი, გულის ტკივილი.
შენს სარკმელთან, თეთრ კაბაში ჩაცმული,
გაზაფხული ცელქ კნუტივით თამაშობს,

ეგ ნაკვთები და ეგ გული ქართული
წუთისოფელს თავის წილად გაათბობს.
დღესაც შენი დაბადების დღე არის,
ტყემლები კვლავ დედოფლები ხდებიან,
დრო კი მირბის, იფერფლება ვნებანი,
ეს დღეებიც როგორ მალე ცვდებიან.
დედის კოცნა და პირველი ტირილი
ამ სოფელში კაცთა მოსვლის წესია,
აპრილია, წეროებს აქვთ ყივილი,
აპრილი ხომ შენი წლების მწყემსია!

2005 წ. 8 აპრილი

●

მე ჩავისახლე უკლებლივ სულში
შენი ტაძრები და ყველა ნიში
და როცა თეთრად იფეთქებს ნუში,
თქვენზე მაბოდებს უგონოდ ძილში.
გამითბეთ სუნთქვა მაგ თბილი ქვებით,
ნუ დაიფარავთ ლამაზ ტანს ხავსით,
დრო შეიმაგრეთ ძლიერი მხრებით,
თქვენი მშვენება მეც უხვად მასვით!
ნეტავი ახლა მაქცია წვიმად,
რომ მოვეფერო წვეთებით ბანას,
რომელსაც ახლა კედლები სტკივა,
საუკუნეებს უბეში მალავს.
დგანან ტაძრები, ზარები სდუმან,
მრავალ ჭირისთვის მათ გაუძლიათ,
შეხედავ ხანძთას, მიხვდები უმალ,

დაკოჟრილ ხელებს რა შეუძლიათ.
ბილიკებს თქვენკენ ოცნებით მოვდევ,
თვალებს ვით ხავსი, სევდა შეზრდია,
თქვენ იდღეგრძელეთ, მე თუნდაც მოვკვდე,
თქვენი სიცოცხლე ჩემსზე მეტია!

2005 წ. 15 იანვარი

●

ზეცაზე მთვარე ჰამაკივით ჩამოეკიდა,
ყვითლად აენთო ღამე ისე, როგორც სანთელი,
ვწევარ კარავში, თვალზე რული არ მომეკიდა,
ვერ გამიგია ამდენი სმისგან, რად ვერ დავთვერი?!
ატირდა დილა ცრემლით, ყვავილთა დამათრობელი,
მწვანე ბილიკებს მკერდს უკოცნიან ბაგით სხივები,
შენს თხელ თითებში გაზაფხულის მახარობელი,
თავს იწონებენ სურნელებით სავსე იები.
ქარმა წაართვა გაღვიძებულ ხეებს დილის მზე,
ზედ მოეხვია ტყეებს ნისლის ზღაპრული გველი,
შემომეფეთე, როგორც ირემი ვიწრო ბილიკზე,
თავზე გეხურა მინდვრის ყვავილთა გვირგვინი ჭრელი.

2003 წ. 7 აპრილი

●

ქარი სტვენით დათარეშობს ჭალაში,
კარვის ტანზე აწკაპუნდნენ წვეთები,
შენ დამალავ ლამაზ სხეულს კარავში,
მე კი ღამის ჩამოდგომით შევკრთები.
მსხვილი წვიმა ტანს უშიშვლებს კამიშებს,
შიშით ძრწიან ბედის ანაბარები,
შენს სურნელთან სიახლოვეს არ მიშვებს
მხოლოდ ერთი, თხელი ტილოს კარები.
ახლაც ბედი ტილოს კარავს მიანდე,
მთელი ღამე ის გეფარა კალთებით,
ეგ ტუჩები უქმად იყვნენ დილამდე,
მე კი ღამეს რა უაზროდ ვათევდი.
ტყეს მოსწყინდა ჭოტის მძაფრი კივილი,
დღემ მომტაცა ფიქრით სავსე კალათა,
მე კარავმა მომაყენა ტკივილი,
მან ამ ღამეს შენი თავი წამართვა!

2003 წ.

●

სანამ თვალებში მიდგას სინათლე,
სულს გავუნათებ სანთლით წასულებს,
ამ ჩემს გულს ოქროს სინით მივართმევ
მთელ საქართველოს ლამაზ ასულებს!
მე მათ კალთებში სიზმრებს ვაგროვებ,

ყოველდღე მათთან ყოფნის მსურველი,
გთხოვთ აპრილამდე კიდევ მადროვეთ,
მძაფრად შევიგრძნო მათი სურნელი!

2003 წ. 10 ოქტომბერი

თამუნას

ჩამოთენდა, ქალაქს აღარ სძინავს,
მზე სხივებით სახლებს თავზე ათოვს,
ჩემს ქუჩას და გაღვიძებულ დილას,
თამოს ერთი გაღიმებაც ათბობს.
როგორ მოსწონს თვალებს შენი მზერა,
ღიმილით რომ ჩამომივლი ახლოს,
გაზაფხულის სქელი ნისლი ქერა,
შეპარული შენს შავ თმებში სახლობს.
შემოიხევს ქუჩა ტანზე ღამეს,
მომეხვევა მხრებზე დილა ურჩად,
შენსკენ მოაქვს მოლოდინი წამებს
და ჩემსავით შეშლილია ქუჩა.
ცას უხდება გამოჩენა მთვარის,
გაზაფხულზე ვაზს – ტირილი მძაფრი,
შენი თმების სურნელება არის
ტკბილი, როგორც შემოდგომის თაფლი.
უშენობით თითქოს სცივათ სახლებს,
მეც ფიქრები მეწეწება ქარში
და უცბად რომ შემაფეთებ თვალებს,
რა ლამაზად იღიმები მაშინ!
მზის სხივებით სავსე შენი მხრები,
სიზმარივით არ შორდება თვალებს,
ხელზე ხელით ისე შეგეხები,

ვით მოცარტი როიალის გამმებს.
როგორც ფოთლებს ეშინიათ სეტყვის,
მეც უშენოდ ისე მეშინია,
ერთ ლამაზ დღეს უეჭველად გეტყვი,
რომ ნაზი ხარ ისე, როგორც ია.

2005 წ. 30 ივნისი

●

თბილისის ქუჩებს მოასკდა ბინდი,
ცამ გადაიკრა შავი ღრუბელი,
დღევანდელ დღესაც ჩაუტყდა ხიდი
და მოეშალა ნავსაყუდელი.
შემოდგომამ კი ყვითელი ფერი
გადააბარა ზამთრის თეთრ ღამეს,
ისევ მოვიდა დეკემბრის ჯერი,
მარტოობა სჭირთ პარკებში სკამებს.
მე რუსთაველზე დავიდე ბინა,
ყოველდღე ვუსმენ მის გულის ფეთქვას
და სანამ დღე არ დახუჭავს თვალებს,
თვალს ვერ ვარიდებ ქალების სეტყვას.
აქ მეგობარი მოვა მოკითხვით
და ქაშუეთის შევხედავთ გუმბათს,
მერე ორივე ქუდებს მოვიხდით,
სამშობლოს ბედზე ვილოცებთ ჩუმად.
ხალხით სავსეა პროსპექტის მკერდი,
ფიქრმა დამღალა საღამოს ცდაში,
ცაში აიჭრა ლამაზად მტრედი,
წრფელი ღიმილით მიღიმის ბავშვი.

კვლავ ქაშუეთის რეკავენ ზარებს,
ჭადრებს კი სცივათ, კვნესიან თითქოს,
ჩემს წინ გამავალ ვნებიან ქალებს,
მხოლოდ თვალებით ვუგზავნი სითბოს.

2003 წ. 7 დეკემბერი

●

თოვლი არ არის სულის ტკივილი,
თოვლი თვალების მოსათმენია,
ახლა მარტია – ქარის კივილი,
მარტოობა კი უკვე ძნელია.
გზაზე ჩემს აჩრდილს ნიავი არწევს,
თერგს მხრებით მიაქვს ჯავრი მთებისა,
ატმების ფერი დაედოთ ღაწვებს
და დროა მათი მოფერებისა!

2005 წ.

●

წამო, ძმებო, წავიდეთ,
ხრამ-ხრამ გავყვეთ ხეობას,
თორემ გული დამუნჯდა,
ვერ გაუძლებს ტყვეობას!
არ იდარდო, ქვიან გზას
არ გამოლევს ხეობა,
იქ მშველელი ვინა გვყავს?

მხოლოდ შენი მეობა!
ჯანდაბას, თუ ფეხებზე
იარები გაჩნდება,
ხრამი ვერ გადავტოპო,
თავი ოხრად დამრჩება!
ამ ხავსიან ლოდებზე
სულ დამემტვრა ფეხები,
წამოვდგები, ვეცემი,
ტალღებს მკერდით ვეხები.
ავუყვები ბილიკებს
ეკლიანი ფიქრებით,
თუ თქვენ ვერ მოგეფერეთ,
რა ქართველი ვიქნები!

2003 წ. 28 აპრილი

●

ხანძთელთა და მეფეთ გვართა ქალაქო,
მეც გამითბე გული ბებერ კერაზე,
მინდა, რომ ხმამაღლა გელაპარაკო
სიყვარულზე, რუსთაველის ენაზე!
ვხედავ სევდას შენს გადაღლილ თვალებში,
ცა კი ისევ ძველებურად ლურჯია,
გრიგოლს სული ჩაუდვია ამ ქვებში
და ეს ქვები ქართველთა საუნჯეა!
ეგ სვეტები გულში სანთლად მინთია,
ეგ კედლები სიცოცხლეზე მეტია
და რაც თქვენზე სიყვარულით მითქვია,
ვერ ვიყუჩე, გულში არ დამეტია!

არტანუჯი ახლო ეშხით ვერ მათბობს,
ოშკს ქართული გალობანი სწყურია,
მარტოდმარტო შერჩენია ბანა დროს,
მის გარშემო მხოლოდ მგლები ყმუიან.
მე შენს ძახილს ხშირად ვუსმენ შორიდან,
მინდა, ჩემი ცრემლი უხვად გაწვიმო,
საქართველოს დიდ და ცხელი გულიდან,
მტრების ხელით მოგლეჯილო ნაწილო!

2005 წ. 23 იანვარი

●

ზამთრის სუსხიანი მანდილი
მთებმა მოიგლიჯეს თავიდან,
მოვიდა საოცნებო აპრილი,
მარტი ფეხაკრეფით წავიდა.
იებით შეიმოსნენ კორდები,
ლურჯი ოცნებები თვალისა,
ტირიფს დაუწნია ტოტები,
როგორც ნაწნავები ქალისა.
აივსო ქუჩები ქალაქის
„დეკოლტით“, შიშველი მუხლებით,
ხომ არ მიგაცილო სახლამდის?
– ო, არა ნუ შეწუხდებით!
შენ კოცნას აპრილში დამპირდი,
როდესაც დღეები თბილია,
უკან მოვიხედე – გავკვირდი,
ეს თვეც უკოცნელად გვივლია...

2003 წ. 23 აპრილი

●

ეს გაზაფხული ჩემთან ერთად როგორ ბობოქრობს,
ეტმასნებიან მთებს შიშველ მხრებზე თეთრი ღრუბლები,
მალე აპრილმა ტყემლის ტოტებზე უნდა მოთოვოს,
შემოაცალოს გოგონებს მხრებზე ზამთრის ქურქები.
შენს ფანჯარასაც ჩაუფრენენ ჭრელი პეპლები,
და გაზაფხული თბილი სუნთქვით მინებს შებურავს,
მწვანე ბილიკზე იების ჯარით შემოგეყრები,
მოგეფერები, როგორც ნაძვის ტოტი ბელურას.
რომ არ ვიფიქრო შენზე, რა ვქნა, არ შემიძლია!
ვისი ბრალია მყინვარწვერივით რომ ხარ ლამაზი?
აპრილის უბე ლამაზ ფერებით გატენილია,
ჩვენ სალოცავად გვიხმობს ზარებით ძველი გავაზი.
მალე ამ ფერებს შემოდგომა ყვითლად დაფერავს,
და როგორც უწინ ჩემს გულთან ახლოს მარტო დარჩები,
დაეკარგება ნაზი სურნელი რტოზე საფერავს,
და ჩემს სულს ისევ შეიკედლებენ შენი ფანჯრები.

2006 წ. 10 აპრილი

გოჩა სახვაძეს

იმ ძველ დროს ლექსით გახსენებ ახლა,
რომ არ ვფიქრობდით ამ დროზე მაშინ,
ჯერ არ გეტყობა მუზების დაღლა,
თუმც მოგეძალა ჭაღარა თმაში.
თვალი შენს ბწკარებს ჩიტივით კენკავს,
შენც იცი კაზმულ სიტყვების გემო,

შენი ლექსები ერთ კონად შეგვკრავს
დავითის მოდგმავ, ძმის გულო ჩემო!
პოეზია ხომ სულის ძაფია,
შენც ამ ძაფებში ხარ გახლართული,
თუ სხვისი ლექსი მოსაქაფია
შენი ლექსია წმინდად ქართული!
შენი ლექსია მოყვასის ფიქრი,
ირმის ნახტომი ცისკრის უბიდან,
იმ ბრწკარებს ტანზე ეკლებად ვიყრი,
შენ რომ იტაცებ გაზაფხულიდან.

2006 წ. 21 ივლისი.

●

ჯარში გამიშვა დედამ,
ზურგზე ამკიდა ბოხჩა,
თან გამატანა სევდა,
ჩემი ბავშვობაც მორჩა!
როცა მიცხობდა შოთებს,
მხარზე რომ ედო ხონჩა,
ის დრო შეჭამა ჟამმა –
გაქრა, წავიდა, მორჩა.
მე დედაჩემის მახსოვს
ღიმილით სავსე სახე,
და რომ აღარ მყავს ახლოს,
მარტოობის მკლავს მახე,
მე შემენაცვლნენ სხვები,
ჩემი ბავშვობა მორჩა!
მხრებს მიმძიმებენ წლები,

გული კი რჩება ნორჩად.
და ჩემს გადაღლილ სხეულს
დანით სერავენ თითქოს,
კვლავ მენატრება, ეულს,
დედის ხელების სითბო.
ქარი კი ისევ კვნესის,
დრო დღეებს სწრაფად ლოკავს,
შენთან განვლილი წლების
კვლავ ვიწყებ ალაფობას.
ისევ სიზმარში ვხედავ
შენს ლამაზ სახე-იერს
და უშენობას, დედა,
ახლა განვიცდი ძლიერ!

2006 წ. 24 ივნისი

თამთას და ცისიას

იქით მთები ტყის საბნებში,
მომტირალი ტაძრის ქვები,
სადგერის გზას ეშხს აფრქვევენ
თვალენძელა გოგონები.
მოირწევა ცაზე დილა,
ცა კი ტირილს აპირებს,
ეს ქვა აქ რომ ამოზრდილა,
თქვენს სულებსაც აკივლებს.
წინაპრების ძველ საფლავებს
ისევ ასდით ნათელი,
თქვენც დაუნთეთ ძველ ტაძრებში
იმათ სულებს სანთელი.

ახლა ტყე-ღრეს ეხუტებით
ნაჩვევთ მშობელ ბინაზე,
ტილოს კარავს ტანზე დარჩა
თქვენი ნორჩი სინაზე.
ახლა უკვე თქვენი გული
ძგერს სიცოცხლით ქართული,
გზები გულმკერდდაკაწრული
თქვენს ფერხთ არის გართხმული.
მალე დილა შეშლილ ტყეებს
მზის სხივებით დაფერავს,
ეს ტაძარი თქვენს ნორჩ ხელებს
უქებს მარჯვე ნახელავს.
მიაქანებთ ნორჩი მხრებით
ამ წუთებს და ამ წამებს,
იებიც კი თქვენი ეშხით
დაბლა ხრიან წამწამებს.

2006 წ. 29 ივნისი

●

თუ ხმალი ჟანგმა შეჭამა,
წყალი შეუდგა ძმობასა,
თუ დავგმეთ ჩვენი ქვეყანა,
ვაი, ჩვენს ქართველობასა!

2006 წ. 11 ივლისი

●

სადაც შენ ხარ, ჩემი მზერაც იქ არის,
გულიც ისმენს შენი ფეხის ნაბიჯებს,
თუ არა ხარ ქვის უსულო ფიქალი,
მაკოცნინე ერთხელ, დედას გაფიცებ!
მაკოცნინე ისე, როგორც გვირილებს
გაზაფხული ჰკოცნის მწვანე ტუჩებით,
სანამ ვაზი გრილი ცრემლით იტირებს,
სანამ თეთრად იფეთქებენ ნუშები.
მაკოცნინე, მერე თუნდაც შემრისხე,
თვალებიდან მეხის ელვა დამატყდეს!
და თუ კოცნას შენსას მართლა ვეღირსე,
მაგ ბაგეთა სითბო სანთლად ამანთებს.
როგორც ია მინდორს, ისე მოვედე
შენი სულის უსასრულო ქარაფებს,
შენს თვალებში ვკითხულობდე ყოველდღე
ჩემს მოწერილ სამიჯნურო ბარათებს.

2006 წ. 19 აგვისტო

●

ჩემო კლარჯეთო, ტაო,
ლექსებში ხშირად გკოცნი,
ჩემი რომ გახდე ისევ,
დღეებს ვაღამებ ლოცვით!
ეგ შენი გულის ფეთქვა
და სუნთქვა აქაც მესმის,

მოგნატრებია სითბო
და შეძახილი მესხის.
ობლად დარჩენილ ტაძრებს,
მინდა, რომ შვება მივცე,
გულში ჩაგეკრა მძლავრად
და მეც შენს მიწად ვიქცე!
ჩემი ცრემლების თქეში
ღრუბლებსაც უკვირთ მაღლა,
მანდეთ მოდიან გეშით
და არ ეტყობათ დაღლა.
შენი მდინარე ვიყო,
კამკამა ტალღა გრილი,
შემოგეშხეფო ტანზე,
თვალებს მოვბანო ძილი!
გვერდს ჩავუარო თორთომს,
ოშკს, იშხანსა და ბანას,
შენს ბებერ ხელით მომკილს
მე ვგავარ პურის ყანას.
სული სულ შენზე კივის,
ღამე ფიქრები მღლის და
ამ ჩემს შორეულ ტკივილს
შენ რომ უწამლო, მინდა!

2006 წ. 31 აგვისტო

●

ზღვის ტალღებივით მოვარდნილ ლექსებს
ფეტვივით ვაბნევ თოვლისფერ ფურცლებს,
უკვე მიწისქვეშ შესცივდათ ფესვებს
და ახლა გული მოწყენით უცემთ.
მე ფოთოლცვენის ცქერისგან დაღლილს
ეს შემოდგომაც მიმძიმებს ფიქრებს,
მეც ნაწილი ვარ ალგეთის ტალღის
მის ლურჯ ლოდებში დავეძებ რითმებს!

2006 წ. 20 ოქტომბერი

●

სანამ ამ სოფელს წაგვართმევს ბედი
და დასეტყვავენ ჩვენს მკერდს ლოდები,
ყოველდღე ღვინო უნდა ვსვა, დედი,
და მისი მადლით სავსე მოვკვდები!
ჩვენს საფლავებზე ქართული წესით
მოვლენ და ღვინის დადგამენ ბოთლებს,
სულს შეგვირხევენ მხურვალე ლექსით,
მოგვიგონებენ როგორც ძველ ლოთებს.
გაიხსენებენ დღეებს შფოთიანს
და ნეტარების უამრავ წამებს,
სადღეგრძელოებს, ტკბილს და ლოთიანს,
ჰოი! უჩვენოდ დალევენ რამდენს!
მაშ, მოდი, ღვინით ჩავიკლათ დარდი,

ნუ დაგვაბრალებ ლოთობას, დედი,
აქ სიცოცხლეში ვიწამოთ კარგი
იქ კი, რა ვიცი, რას გვიქადს ბედი!

2006 წ. 30 ნოემბერი

●

დრო მოვა, როცა ყველა გავქრებით,
ცხოვრება არის ირმის კამარა,
და ჩაფერფლილი, როგორც სანთლები,
დავრჩებით გულზე ლოდის ამარა!

2006 წ. 4 ნოემბერი

●

დღეს საქართველოს გლეჯენ ყორნები,
მძვინვარებს ბოროტ სულების მარში,
თქვენ უცხო თესლის გახდით მონები –
გალაქტიონის ხმა მესმის ქარში.

2006 წ. 19 აგვისტო

ბანას

მძიმეა რისხვა სოფლის,
ფიქრი ჰგავს ჩემი ყანას,
დროა იების მოსვლის,
თვალები ტირის ბანას.
მხრებზე დაგემხო მთვარე,
დღეს გაებზარა გული,
წილად გხვდა ბედი მწარე,
სულში დაგეხვა მუმლი!
ჩემო სისხლო და გენო,
გულში გაყრილო დანავ,
კივილო სულის ჩემო,
ჩემო ჯილაგო, ბანავ!
ეგ შენი ძველი ქვები
სიცოცხლე არის ჩემი,
ვერ ვპოვე შენკენ გზები,
ვხედავ, უშენოდ ვკვდები!
მინდა, გფარავდეს ღმერთი
სხვა ვინ გიშველის მეტი?
მეცა ვარ შენი ერთი,
ჩამონგრეული სვეტი!
იქნებ ვიტიროთ ერთად,
როგორც შვილმკვდარი დედა,
რომ ჩამოვრეცხოთ ცრემლით
შენს ქვებს შემხმარი სევდა!
მაგ დაობლებულ ფრესკებს,
ალბათ, ძალიან სცივათ,
მტკვარმა მიამბო შენზე,
რომ უჩემობა გტკივა!
უშენოდ ფეთქავს ნუში,

უშენოდ მიდის რთველი,
მინდა, რომ როგორც გუშინ,
გნახო ისეთი მთელი!
მხოლოდ ვლოცულობ შენთვის,
აღარ ჭრის ჩემი შუბი.
ვთხოვ ვარძიას და ხერთვისს,
რომ დაგიფარონ უბით!
მე გულში გინთებ სანთელს
აკანკალებულ ფიქრით,
ოღონდ ეღირსო ნათელს,
კედლებს ჩამოგბან სისხლით!
მინდა გაკოცო, როგორც
შვილი აკოცებს დედას,
ბედნიერია მტკვარი,
რადგან ყოველდღე გხედავს!

2007 წ. 14 ივლისი

●

სიზმრებს ვამხედრებ რძისფერ ცხენებზე,
თუმცა რიჟრაჟი სიზმრის ბზარია,
მე მისვენია ბანა ხელებზე
და ჩემი გული მისი ზარია!

2006 წ. 20 აგვისტო

●

მე დავიტირებ წინაპართა ძვლებს ცრემლით მართლით,
გაიმართება ტყემლების როცა თეთრად ქორწილი.
ფეხქვეშ გამთელეთ, დამეცით გულში ბასრი ხანჯალი,
თუ საქართველოს სიყვარულში არ ვარ მოცლილი!
ჩემს გულს ისევე აკანკალებენ ტაძრის ზარები,
ეს გაზაფხულიც ჟამმა შეჭამა ბასრი კბილებით,
მალე დარუბანდს ისევ უნდა მოვხსნათ კარები,
ელვარე ხმლებით მტერს ისევ მედგრად შევერკინებით!

2007 წ. 20 ივლისი

●

შენი ზარები დადუმდნენ, ბანა,
მგლების ყმუილში ჩაიწვა ღამე.
აღელვებული ფიქრების ყანა
უშენოდ ხმელი პურივით ვჭამე.
ნუთუ გერევა შავი სიკვდილი,
ობლად დარჩენა, ვიცი, ძნელია,
შენს ძველ დიდებას ისევ მივტირი,
თვალებში ცრემლი გამომელია!
სისხლისგან გაშრა დავითის ხმალი,
უშენოდ ვტირი, ჩემო მესხეთო,
თუ არ შეემსხვრა ხმალს ჩემი ძვალი,
ჩემს ძმებს თვალებში როგორ შევხედო?!
სად დაგიღამდათ, ტაოს შვილებო,
მითხარით, მტერი თქვენგან რას ელის?
ერთურთის შუღლით გადაღლილებო,
რად დააობლეთ სული ხანძთელის?

ვეფხისტყაოსანს რომ ქმნიდა შოთა,
შალვა მტრის ჩეხით იყო გართული,
მე მენატრება ის საქართველო,
ის სული მისი, მეტად ქართული!

2007 წ. 27 ივლისი

●

როცა ჩემს სულში სახლდება გრემი,
ხელის გულებზე მზე მიდევს თითქოს.
ეკალდაყრილი სხეული ჩემი
ლეკვივით ლოკავს ფრესკების სითბოს.
ჩემს ირგვლივ თითქოს სამყარო გაქრა,
გაქრა დარდი და მწვავე ტკივილი,
წუთებს დროება ხრავს, როგორც მახრა
და კედლებს რჩებათ ჩემი ღიმილი.
ვჭვრეტ სინატიფეს ხანდაზმულ ქვებში,
წინაპართ სულებს ლექსით ვეძახი,
ანგელოზები გალობენ გრემში
ისმის დიმიტრის „შენ ხარ ვენახი“.
მტევნებით სავსე მიმზერენ ზვრები,
კოშკიდან ვსუნთქავ დამაჭრულ კახეთს
და ალესილი ხმალივით ვხდები
წინაპრის ფრესკებს, რომ ვუნთებ სანთელს.
მე კვლავ მაგიჟებს სიუხვე ფერთა
და საწნახელში სურნელი ნაზი,
მარადჟამს სულით მიგულე შენთან,
სანამ ნეკრესთან ცრემლებს ღვრის ვაზი!

2007 წ. 23 ოქტომბერი

●

გადაუთეთრდათ მწვერვალებს წვერი,
ეს ნოემბერიც სანთლად იწვება,
შენი თვალების დაიდეს ფერი
მარტის ლოდინში მწვანე წიწვებმა.
ჩუმად სუნთქავენ თოვლქვეშ იები,
ღამე კანკალებს, მოსთქვამს გოდებით,
ზამთრის საწოლიც ისე ცივია,
როგორც საფლავის ცივი ლოდები!
ახლაც დაღამდა საშინელ სუსხით,
ცოდვის წუთები საათში ბუდობს,
ო, აქილევსის არა ვარ ქუსლი,
ო, არ გამიცვდე, ნამუსის ქუდო!
ცა ტირის, როგორც მშიერი ბავშვი
და მეც თოვლივით ცივი ვარ თითქოს,
ფერთა სიუხვეს გაუჩნდა ხავსი,
მხოლოდ ფრესკებსღა შემორჩათ სითბო.
გადაუთეთრდათ მწვერვალებს წვერი,
ეს ნოემბერიც სანთლად იწვება,
შენი თვალების დაიდეს ფერი
მარტის ლოდინში მწვანე წიწვებმა.

2007 წ. 14 ნოემბერი

დათოს დაბადების დღე

როცა ცხრება ვნება გიჟი არაგვის,
ნოემბერი უბეს ფოთლით აივსებს,
კვლავ იზრდება შენი წლების მარაგი,
ლალის ღვინო ენატრებათ სასმისებს.
ეს თვე არის შენი სოფლად მოსვლისა,
უჟანგდებათ როცა გორებს ღაწვები,
როცა მიწას სუნი გასდის ოფლისა,
ღვინით მუცლებს რომ ივსებენ ყანწები.
შენი სული სპეტაკია თოვლივით
მწვერვალების, როგორც თოვლი მარადი,
აფრინდება შენი ლექსი ქორივით,
დაეწყებათ ტაძრებს ქვათა ღაღადი.
დაღვინდება ქვევრში წვენი ყურძნისა,
როცა ვითვლით წამოჩიტულ წიწილებს,
ამ სოფელში ნებით მხოლოდ უფლისა,
შენს თვალებში შემოდგომა იწვიმებს!
გზები შენი სამშობლოზე ფიქრია,
გზები – წმინდა ტაძრებისკენ გაჭრილი,
შენი სისხლიც ხომ დავითის სისხლია,
მარაბდაში შენც იყავი დაჭრილი!
სიტყვა გაგდის სულ მამულის ქებაში,
გულს რომ აპობს ისე, ვით სატევარი,
საქართველოს დიდ და მწიფე ვენახში
შენც ხარ ერთი დაბრაწული მტევანი!
ახლა გზები სუსხით გადაღლილია,
მოვალ შენთან ძმობას დაგესესხები,
რადგან შენი სული ისე თბილია,
როგორც ძველი, გაცრეცილი ფრესკები!

2007 წ. 23 ნოემბერი

●

გაყინულ სარკმელს ვეხეთქები ფიქრიან შუბლით,
კვლავ ობლდებიან შენი ცრემლები ზამთრის უბეში,
ქარს შევავედრებ, რომ მოგიტანოს გაცრეცილ უბით
ჩემს ტუჩებიდან გადმოღვრილი კოცნის ნუგეში.
მეც თეთრად ვათევ ამ სუსხიან ღამეებს ზამთრის,
ნაბადშემოსილ ოცნებებს უკვე ეტყობათ დაღლა.
მოვყვები ბილიკს, რომელსაც შენი სურნელი ასდის
და ჩემს გარშემო ქვის ლოდებიც ფეთქავენ ახლა.

2007 წ. 19 დეკემბერი

●

შენი ტუჩები ალუბლის ფერია,
მათი ალერსი მიყვარს, თამუნია.
როცა გაზაფხული იებს ეფერება,
ჩემი ფიქრები შენით გართულია.
ახლა ზამთარია, თოვლის ფანტელები
გრძნობებს მითოშავენ სუსხით, თამუნია,
მაგრამ შენს ტუჩებს რომ ვკოცნი გახელებით,
ჩემთვის ეს წუთები მუდამ ზღაპრულია.

2007 წ. 21 დეკემბერი

●

მთებს ნისლები მოაწვა,
სულს მივათრევ ხატამდე.
მინდა ლექსად გაქციო,
შენ კი ფუნჯით მხატავდე.
მხრები როგორ დამძიმდა
ბევრ უღირსი წესებით,
ძველი სხვა გზით წავიდა,
ამ დროს შევრჩი ლექსებით.
ჩუმად ვითვლი მოწყენით,
რაც გულს დაუკვნესია,
ჩვენც სხვებივით მოვკვდებით,
ეს ამ სოფლის წესია!
დრომ ვერ მოშთო ტკივილი,
სული ილტვის ნათელში,
სისხლის მძაფრი ყივილი
არ მოკვდება ქართველში!
მიწა დათვრა სხივებით,
ფიქრი გადნა თოვლივით,
და ჩემს სულში იებით
მზემ თოვლივით მოთოვა.

2007 წ.

●

შენზე ნაფიქრ ყოველივე სიტყვას
თეთრ ქაღალდზე ვაბნევ, როგორც თმები,
ეგ ნატიფი თითებიც ხომ მიყვარს,
მიყვარს შენი ბროლისფერი მხრები.
ვეძებ რითმებს შენთვის, მხოლოდ შენთვის
და ვაღელვებ ფიქრებს, როგორც ტალღებს,
სისხლი ჩემი მტკვარს და რიონს ერთვის,
სული ჩემი შენთვის სანთელს ანთებს.
და ხერხემალგადამტვრეულ დღეებს
შეტყობიათ თეთრ ღაწვებზე დაღლა,
შენს ნაკვალევს გული ვეღარ ეძებს,
ნუთუ გზებსაც ჩაეძინათ ახლა?
ცივი ლუდით დაიორთქლა კათხა,
ხევისბერი ლოცავს მთათა კალთებს,
ჯიხვი, როგორც შენი გული – დაფრთხა,
უშენობა დასტყობია ამ მთებს.
მზე ჩავიდა ლელიანში ბორგვით
და ჩრდილები აწრიალდნენ გზაზე.
წვიმის წვეთებს აირიდებ ქოლგით,
სურნელი არ ჩამოგრეცხოს თმაზე.
ცამ შეიხსნა თეთრ პერანგზე ღილი,
ვარდის ფურცლებს შენი სუნთქვა ათბობს,
მე ვაზივით სიყვარულით ვტირი,
შენს თმებიდან გაზაფხული მათოვს.
მე და მთვარეს არა გვძინავს ღამით,
გამუდმებით ვუსმენთ ტურის კივილს,
მტკვრის ტალღებიც ჩერდებიან წამით
და მეტეხთან განიცდიან ტკივილს.

შევეყინე ფიქრებს, როგორც კარჩხი,
მხრებზე თოვლის წამოვისხი ლეგა,
ბრჭყალებს მასობს ტანში მარტი ანჩხლი,
რომ წაიღოს შენი სითბო ჩემგან.
წინ დამიდგი შხამით სავსე თასი,
ახლა ვგავარ დაობლებულ ტინებს,
ეგ თვალები მთიებისა მსგავსი
შენზე ახალ მითებს მაქმნევინებს.
მე მაისი, ვიცი, შენით დამღლის,
ვხმები, როგორც ნამეხარი ნუში,
სანამ ფშატი გაიკეთებს ყვავილს,
მო, ხანჯალი დამაძგერე გულში!

2008 წ. 19 ივნისი

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ ფერფლად იქცევა მთელი სამყარო,
წვიმის წვეთები გადმოიღვრება მიწაზე სისხლად,
უსიყვარულოდ ბედმა უმალ სოფელს გამყაროს
და ჩემს საფლავზე ენთოს სანთელი, სულივით წმინდა.
უსიყვარულოდ დაჭკნებიან ნორჩი იები,
ეული ღამე გამეფდება თვალის გუგებში
და მთვარის შუქის გაცრეცილი მელოდიები
ვეღარ იქნება აკივლებულ სულის ნუგეში.
უსიყვარულოდ მზეს დაფარავს მტვერი და ნისლი,
ყოჩივარდები შეაკვდებიან უგულო სეტყვას,
თვით დედამიწას გაუშრება ძარღვებში სისხლი,
რომელიც მუდამ კვაზიმოდოს გულივით ფეთქავს.

როგორ მიყვარხარ, როგორ მაწვალებს შენი სურვილი,
ო, ეს სამყაროც თითქოს ჩემსავით არის სნეული,
მინდა, ტუჩებით რომ მომიკლა კოცნის წყურვილი,
შენს ცხელ მკლავებში ჩაიფერფლოს ჩემი სხეული!

2008 წ. 27 იანვარი

ქუჩა, რომელიც მიყვარდა

ისევ მოვყვები იმ ქუჩას,
სად სიყრმის წლები მაწვიმდა,
ახალ და უცნობ ხმაურით
სული ლოდივით დამძიმდა.
ჩემსა და ქუჩის შუაში
დგას მარტოობა ავსული,
მე კი ფიქრების ვენახში
მტევნებად ვკრიფე წარსული.
შორს სიყრმის წლები დავლანდე,
გატყდა ოცნების გალია
და სტუდენტობის ძველმა გზამ
ჩემს ხელში სული დალია.
ქუჩას, ვით ტალღებს გრიგალი,
არწევს ახალი ხმაური,
მე კი, უცხო და ობოლი,
ამ ხმაურს ჩუმად ჩავუვლი.
ნუთუ ქუჩამაც ვერ მიცნო,
ვერ იგრძნო ჩემი ტკივილი?
არ გაახსენდათ აივნებს,
ჩემი ლექსებით კივილი?
აი, ეს გოგო ვინ არის,

ეს ლურჯთვალება ვისია?
ვაი, რომ მე მას არ ვიცნობ,
ეს ქუჩა უკვე სხვისია!
ბოღმა ჩუქურთმად გავთალე,
ჭირხლი შემადნა ლექსისა,
წლები უკუღმა დავთვალე,
მადლი ვინატრე ღმერთისა.
უმალვე ქუჩაც გალაღდა,
სული ყრმა ეშხით ატირდა,
მოვიდა გოგო ლამაზი
ყელზე მზის სხივი დამკიდა.
მერე ფიქრებშიც დაღამდა,
გაქრა ის გოგოც ლამაზი,
მე შევრჩი სახლის აივნებს,
ვით მოქნეული გავაზი.

2008 წ. 26 ივნისი

ნათიას

მწვანედ დაეგება მინდვრებს დილის ცვარი,
ზამთრის სუსხს ლურჯი აპრილი წაიღებს,
როგორც გაზაფხული, ქედებზე გადმომდგარი,
ნათია სურნელოვან ოცნებებს არიგებს.

2008 წ. 6 ივლისი

●

ცამ კვლავ გაზაფხული შეისუნთქა,
მწვანედ შეემოსათ თვალებს გზები,
ღმერთმა დამიფაროს, ტყუილი ვთქვა,
ისევ მიყვარხარ და მენატრები!

2008 წ. 9 ივლისი

●

ზამთარი მწარედ გვიჭერს მარწუხებს,
დღეები სულს ღაფავენ წამებით,
მე და თებერვლის თვეს გვაწუხებს
ბაღში ცარიელი სკამები.
ახლა ოცნებებიც ცივია,
თმებში მწარე სუსხი ნავარდობს,
ატმები მხოლოდ მაშინ ტირიან,
როცა გაზაფხული თამადობს.
დასხდნენ ბუხრის გვერდზე ქალები,
მკერდებით კვლავაც ხელუხლებით,
ეშხისგან გაგვიძარცვეს თვალები,
კაბის ქვეშ გადამალეს მუხლები.
სკამებს კი მარტოობა არ უყვართ,
რადგან მარტოობა ძნელია,
დგანან და მოალერსე წყვილების
ლოდინში გაზაფხულსაც ელიან.

2007 წ. 10თებერვალი

ხანძთის მონასტერს

უცრემლოდ ტირის ტაო ეული,
მარტოობაა ფრესკების სრული,
ქვის პერანგს იხდის ტაძრის სხეული,
ხაძთაში ტირის გრიგოლის სული.
ვის გავაგონებ „ურმულს“ და „ლილეს“,
გველივით მგესლავს ჟამი ბოროტი,
შავი ღრუბელი ილესავს კბილებს,
რომ დააობლოს გრემი, ქოლოთი.
შენი გუმბათით დაობლდა სივრცე,
სევდამ მოიცვა ჩემი ლექსები,
ახალი ჟამი ბოროტად გიმზერს,
მე შენ წარსულით გეალერსები.
ხელებგაშლილი დგას და გიყურებს
ლანდი გრიგოლის ცრემლუშრობელი
და ბნელ მომავლით დაღლილ რიკულებს
გულში იხუტებს მიწა მშობელი.
ნელ-ნელა იწვის, ტირის სანთელი,
ბნელმა მთლიანად შთანთქა ნათელი
და შენ, ხანძთაო, ჩემო დიდებავ,
შენი დიდების მზე იბინდება!

2009 წ. 25 თებერვალი

●

შემოდგომა კი ისევ წავიდა...
თუმცა ზამთარი ისევე არ ჩანს,
მე შენზე ფიქრებს ვიწყებ თავიდან
და ფეხქვეშ გიგებ ოცნების ფარჩას.
ეს შემოდგომა რა სავსე იყო,
შენსავით სავსე მწიფე მტევნებით,
როცა იებით გვეწვევა სითბო,
შენს აჩდილს ისევ ავედევნები.
ავედევნები, როცა მინდვრები
ფერად ყვავილებს იწნავენ თმაში,
შენ გაზაფხულის ეშხით მიხვდები,
რომ აღარა ხარ უმანკო ბავშვი.
ეგ სავსე მკერდი აწვალებს ფიქრებს,
თვალების მზერით ზედ ნათოვარი,
აპრილის სუნთქვამ გამათბოს იქნებ
შენი ალერსის მე მათხოვარი.

2009 წ. 16 მარტი.

●

ეგ შენი სული, უხვად შემკული,
ჩუქურთმით სავსე თბილი ქვებია,
მე მოვალ შენთან, გეტყვი: მიყვარხარ,
როცა ძეწნები ატირდებიან.
ცა დაგვანათებს იისფერ თვალებს,
შენს ნაზ ხელებში ვარდი იტირებს,

მარტი რაშივით გაცვითავს ნალებს
და გაზაფხული ჩვენშიც იყივლებს.
ფეხის ათრევით წავა ზამთარი,
მობუზული და ლეშად ქცეული
და აყმუვლდება, როგორც აფთარი
სული, ბნელ ფიქრებს გამოქცეული.
დგას გაზაფხული, ცრემლიან ქუჩებს
ჭრელი პეპლების ფარფატი ათბობს,
მაგ ყანასავით მღელვარე ტუჩებს
შორიდან ხარბად მოვტაცებ ამბორს.
მინდა გაჩუქო ფერები მკვეთრი,
ცხელი სხივებით სავსე აისი
და შენს მხრებიდან სიშიშვლე თეთრი
მოვწყვიტო, როგორც ედელვაისი.
გულამღვრეული და მწარე კვნესით
სველი დღეები ჩვენგან ქრებიან,
მინდა გიყვარდე იმ ძველი ეშხით,
როცა ძეწნები ატირდებიან.

2009 წ. 16 აპრილი

●

ისმის კვირტების ერთმანეთში ჩუმი ჩურჩული,
უკვე მოხვედი, გაზაფხულო, შიშით გელოდი,
ამემღვრა გული, სულში გაჩნდა ბნელი უფსკრული
და ამიტომაც ღამეს და ღვინოს დავუმეგობრდი.
მე ჩამისახლდა მარტოობა თვალის გუგებში,
უშენობა მჭირს ახლა მძაფრად, ღვინით მოთენთილს,
და კანკალებენ ჩემი ფიქრნი ღამის უბეში,
ისე, ვით ქარში ობლად მდგარი ტყემლის ფოთლები.
მაგრამ ოცნება დღესაც დუმილს ვერ გადაურჩა,
ვერ გაიშალა, ვით აპრილში ნორჩი კუნელი,
როდესაც შიშველ მხრებით მოგაქვს შეშლილი ქუჩა,
მაღიზიანებს გაზაფხულის ნაზი სურნელი.
ახლაც ღამეა, ბოღმით ვუმზერ ცარიელ ჯამებს,
პირგამომშრალნი ჩემს შეწევნას უხმოდ ელიან,
უღვინობა ხომ ახლა ჩემს სულს ძალიან ავნებს,
უღვინოდ ყოფნა ხომ მათთვისაც ძალზე ძნელია!
ვავსებ ჯამებს და ღამეც შეშლილ ზღვასავით ღელავს,
ფიქრები თრთიან ისე, როგორც ტუჩები ქალის
და როცა ღვინო უხვად იწყებს ძარღვებში დენას,
ოცნებით დაღლილ თავს მივანდობ ქათქათა ბალიშს.

2007 წ. 2 მარტი

●

ღამემ ჩამოდგა კარავზე ტერფი,
გათენდა, სულიც შეირხა თითქოს
და აგზნებული შენით და შენთვის
ცხელ ტუჩებიდან მოგტაცე სითბო.
მე შენი სითბო მახელებს ცხელი,
თხელი კარავი ჩვენი სახლია,
შენსკენ მორბიან ფიქრები ჩემი
და თეთრ მუხლებზე შუბლებს გახლიან.
არ მინდა, ღამეს გაუწყდეს ღვედი,
დღემ ჩამოუშვას ქათქათა ღუზა,
არ მინდა შენი ბროლივით მკერდი,
არ გახდეს ჩემი ტუჩების მუზა.
დილის ლოდინში ვწევარ დაღლილი
ჰოი! ნისლებო, მირჩიეთ რამე!
როგორც სანთელი, ცრემლად დაღვრილი,
კვლავ უალერსოდ ჩაიწვა ღამე.

2009 წ. 20 მაისი

●

ღამეს მივათრევ მოთმენით,
კვნესიან ციხის კედლები
და ირწევიან ოცნებით
იები, ტანით ნედლები.
მესმის – ჩურჩულებს აისი,
სხივი – სიბნელის ბზარია,
მკერდზე შემემსხვრა მაისი

და ოცნებები არია.
მთვარე დაიხრჩო გუბეში,
ყვითელი შუქით ბურვილი
და დარჩა კარავს უბეში
ჩემი შენდამი სურვილი.
მშვიდად გეძინა უჩემოდ,
შუაში გვეწვა უარი,
ვაი, უსაქმო ტუჩებო,
კოცნით ძღებოდეთ, დრო არი!
შენი ალერსი მომინდა,
გული ატირდა მღელვარე,
რძისფერი დილა მოვიდა
შენი მკერდივით ელვარე.
როგორც სასმისებს მარანში,
ფიქრს მოერია წყურვილი,
და დავრჩით მარტო კარავში
დღე, მე და ჩემი სურვილი.

2009 წ. 21 მაისი

თბილისი ღამით

რა ლამაზია ღამით თბილისი,
ფიქრები ბებერ აივნებს არხევს,
ეს მერამდენე ღამეს, ვინ იცის,
გადაიყვითლებს პროსპექტი სახეს.
მთვარე მთაწმინდას უქარგავს დამღას,
ცისფერ რიკულთა თვალნია ქურდი,
და მოსეირნე ხალხის ჭრელ ტალღას
დაჰყურებს თავზე ფანრების გუნდი.

შეაშრა სისხლი კრწანისის ბაღებს,
მტკვარს შეუხორცდა წარსულის შიში,
მოაგრიალებს ნაცრისფერ ტალღებს,
ნარიყალის და მეტეხის ჩრდილში.
ამოდის მთვარე, გრილი და სავსე,
ეს მერამდენედ უკვე, ვინ იცის?!
და კვლავ ახალი გრძნობებით სავსე
გულივით ფეთქავს ღამის თბილისი.
პანთეონიდან გლოცავს ილია,
უკვდავი სული გალაქტიონის,
მოშურნის ხმალი დალეწილია,
ისევ გუგუნებს ზარი სიონის.
შავი ნაბადით შემოსილ ქედებს
თავზე ახურავს ცხელი ივლისი
და ჩემი სულის გაბზარულ კედლებს
ეალერსება ღამის თბილისი.

2009 წ. 10 ივლისი

●

წარსულში ცურავს ფიქრების გემი,
გელათმა გული გამითბო ზარით,
შენს წმინდა საფლავს მუხლები ჩემი
ცრემლებით სველი ამხვია, დავით!
დიდგორი ხელში უკვდება ქართველს,
ხაძთის სხეული აივსო ხავსით,
შენი ფრესკის წინ ვაცრემლებ სანთელს
და მეც ცრემლები მახრჩობენ, დავით!
მოყვასის სისხლში ისვრიან ხელებს,

და ეკვრებიან სატანას ზავით,
გვართმევენ ტყეებს, ზღვასა და ხმელეთს,
შენს საქართველოს სჯიჯგნიან, დავით!
ბანა, იშხანი ეძახის მოყვასს,
გარშემორტყმულნი მხოლოდღა ავით,
ტანზე წყლულები გაუჩნდა ხოფას,
შენი მირონი აკლია, დავით!
ძველი დიდების გახუნდა ფერი,
მივექანებით, ვინ იცის, საით...
შენი ხმალივით დადუმდა ერი,
ო, მოგვიტევე სიმხდალე, დავით!!!

2009 წ. 26 აგვისტო

●

აფორიაქდა გული და მიწა,
აპრილის სუნთქვას გრძნობენ ტუჩები,
ტყემლების ჩრდილში გაკოცო მინდა,
შენ სულელურად ნუ მეურჩები!
თეთრი კაბები დახია ქარმა,
თვალებს შეახმა შენი ლოდინი,
კვლავ გაგიშალა ყვავილთა ჯარმა
შენი მხრებივით თეთრი ლოგინი.
ახლა უშენოდ ყოფნა ძნელია,
რომ ქორწინობენ მზესთან ნუშები,
მაგ თვალებივით ისევ სველია
აპრილის წვიმით სავსე ქუჩები.
გათენდა, ისმის ტაძრებში ლოცვა,
სხივებმა ნისლი ფერფლად აქცია,

მე არაგვივით ვგიჟდები, როცა
შენ გაზაფხული ტანზე გაცვია.
ტყემ მოიხურა სამოსი ნედლი,
ყელზე შეადნა ფიფქების მძივი,
თოვლივითა ხარ ქათქათა, თეთრი
და სამწუხაროდ, თოვლივით ცივი.

2009 წ. 1 დეკემბერი

●

შენი თვალები ისე მათბობენ,
როგორც ძარღვებში სისხლის დინება,
მე შენ მიყვარხარ, ვიტყვი ხატებთან
და კვლავ უშენოდ დამეძინება.
ამ გაზაფხულმაც კვლავ გამაწბილა,
შეშლილ ქარივით ვასკდები კედელს,
სულში კივილით შემოდის დილა,
მე გაზაფხულის სიზმრებში გეძებ.
როგორ მიყვარხარ, გახსენებ ახლაც,
ბეწვის ხიდივით ირწევა სული,
ხილვები დამრჩა ღრუბლებზე მაღლა
ო, ეს ზამთარიც იქნება რთული!
შენი თვალები ისე მათბობენ,
როგორც ძარღვებში სისხლის დინება,
და ჩემი სანთლის ცხელი ცრემლები
უშრეტ მდინარედ მოედინება.

2010 წ. 19 აგვისტო

●

დგას ანგელოზი ფერისცვალების
და ფუნჯით ხატავს ფერებს ბუნების,
ახლა წვიმა ხარ ჩემი თვალების,
ფიქრი ზაფხულის კვლავ დაბრუნების.
ო, ანგელოზი არიგებს ფერებს,
ფერისცვალება ჩამაჭრდა ზვრებში,
ველარ აგივსებ იებით ხელებს,
ველარც გვირილებს ჩაგიწნავ თმებში.

2010 წ. 28 აგვისტო

●

თუ შენ ჩემს მიმართ იქნები გულქვა,
მე ტირიფივით მოვიწყენ დიდხანს,
შენს თმებში წვება სექტემბრის სუნთქვა,
რომ საიდუმლო ჩურჩულით გითხრას.
თოვლივით დადნა ზაფხული თითქოს,
შენს ოცნებებშიც დაჭკნენ ფოთლები,
შენი ტუჩები ელიან სითბოს,
მეც ველოდები მერცხლებს მოთმენით.

2010 წ. 14 სექტემბერი

●

ფოთოლცვენა დაწყებულა, თეა...
ვიცი, სევდა მოაწვება თვალებს,
ო, ზამთარი გვეზმანება, თეა,
შემოდგომა რომ გაცვითავს ნალებს.

2010 წ. 16 სექტემბერი

ტაო-კლარჯეთს

აქ მამა-პაპის მოირღვა ბურჯი,
სისხლი შეახმა ბებერ იარებს,
თუმცა ცა არის საოცრად ლურჯი,
მაგრამ ქართულად ველარ კრიალებს.
ობლად ჰკიდია ჭოროხზე ბონდი,
მოსხლეტილ ჯავრებს ტალღები ფარავს,
მე შენთვის უფალს შენდობას ვთხოვდი,
რადგან მე შენი ობლობა მზარავს.
არა და, მიწას სუნი აქვს ჩემი,
მთებში ჩაჟანგდა ძველი ღიმილი,
მე აქ ტაძრების დარაჯად ვრჩები
მეც მინდა ვიყო მათი ტკივილი!

2010 წ. 29 სექტემბერი

●

მე ვარ ყოველი თქვენგანის სითბო,
სულის ფურცლებზე ლექსად დართული,
რომ თქვენთან ერთად ყოველთვის ვიყო
ამღერებული სული ქართული.
მე ვარ უბრალოდ ერთი პოეტი,
ქართველი ერის ტკივილი, ღმერთო!
მე ამ სოფელში მისთვის მოვედი,
რომ საქართველოს კელაპტრად ვენთო!

2010 წ. 30 სექტემბერი

განმარტოვებულ ნაძვს, რომელმაც შხაპუნა წვიმისგან დამიფარა

შენსკენ მოვდივარ დაღლილი გეშით,
ო, ნაძვო, მდგარო განმარტოებით,
მაშორე წვიმის მომსკდარი თქეში,
გთხოვ, დამიფარე მწვანე რტოებით.
დედის კალთაში ვიძინებ თითქოს,
ჩემი სახლი ხარ ახლა დროებით,
მაჩუქე შენი წიწვების სითბო
და მომეფერე მწვანე რტოებით.
ორივეს თითქოს გვეტყობა დაღლა,
შემკრთალი ვუმზერ წლების სიავეს,
მე შენს მეგობრად მიგულე ახლა

და როგორ დარჩი მარტო, მიამბე.
და სანამ ისევ სხეულით მათბობ,
მე თავს აღარ ვგრძნობ განმარტოებით,
ძლიერი მხრები გაშალე ფართოდ
და დამიფარე მწვანე რტოებით.
მე ჩემი წასვლის სევდაც მეყოფა,
შენ მარტოობა შეგიპყრობს მყისვე
და მიტოვებულ, ლამაზ მეგობარს
არ ვიცი, ოდეს შეგხვდები ისევ?
კვლავ თუ ვერ გნახე, დავრჩი ეული,
შენს უნახავად მოვკვდები ოდეს,
კვლავ შეიფარე ჩემი სხეული
და იქაც შენი ხის სახლი მქონდეს!

2011 წ. 15 მაისი

●

იწვის სხეული, თეთრი აისი
ტყემლებს შებურავს მწვანე რტოებით,
ჩემი სურვილი ტანზე ჩაიცვი,
მამყოფე შენთან, თუნდაც დროებით!
ჩვენ გაზაფხულის გვათბობს სურვილი,
ატმებს რომ მოსავს თეთრი კაბებით,
მოდი, მოვიკლათ კოცნის წყურვილი
სანამდის დროში დავიკარგებით!

2011 წ. 19 იანვარი

●

არ მსურს წლებმა სანთელივით დამადნოს,
ჩემს თვალებში სველი გაზაფხულია,
მინდა, წვიმამ საიდუმლო გამანდოს –
შენს სიყვარულს გეშით ვისკენ უვლია.

2011 წ. 2 ივნისი

სარვამარტო

ზღვის ტალღებივით მღელვარე იყავი,
იების სურნელით იყავი ბურვილი,
ცხელი უდაბნოს – გრილი ოაზისი,
მამაკაცების მუდმივი სურვილი.

2017წ.

●

დღე სანთელივით ჩაიწვა, ჩაქრა,
და დავრჩი სულთან განმარტოებით,
ო, მაპატიეთ, უნდა წავიდე,
უნდა დაგტოვოთ, თუნდაც დროებით!

2011 წ. 8 ივლისი

ბავშვობის გახსენება მეგობართან ერთად

კვლავ ვიხსენებ იმ გარდასულ დღეებს,
დროც ჩვენსავით იყო მეტად ანცი,
გავურბოდით დედის სათნო ხელებს,
სანამ დღეებს არ სძვრებოდათ ქანცი.
მე გეძახდი გასიებულ დრუნჩას,
სიყმაწვილე გვეტყობოდა ხმაში,
ბავშვობა რომ განეშორა ქუჩას,
მეც ვიტირე, შენც იტირე მაშინ.
მთიდან მთაზე გადავრბოდით ეშხით,
მხრებზე გვედო აქოჩრილი დილა,
ვაგროვებდით უცხო ამბებს პეშვით,
ქუჩა იყო ჩვენი გრძნობის „ვილა“.
გახსოვს, როგორ გავურბოდით მამებს?
ჩვენზე ზრუნვით წუხდებოდნენ სხვები,
შენც მითხარი, გამახსენე რამე,
რომ გონებით მოვირბინო გზები.
რიყის ქვებზე ვისერავდით ფეხებს,
მაგრამ გული გრძნობით იყო სავსე,
ქვიშის გულზე ვწერდით მსუბუქ ლექსებს
და ფეხებით გადავშლიდით წამსვე.
არ ვიცოდით, თუ რა იყო დარდი,
გვაწუხებდა ჩვენ ბავშვობის სევდა,
როცა დაჭკნა სიყმაწვილის ვარდი,
მაშინ უფრო შეგვიყვარდა დედა.
კვლავ ვიხსენებ იმ გარდასულ დღეებს,
დროც ჩვენსავით იყო მეტად ანცი,
ბავშვობის დრო შემოადნა ხელებს,
დღეს მე და შენ გვქვია უკვე კაცი.

მე გეძახდი გასიებულ დრუნჩას,
სიყმაწვილე გვეტყობოდა ხმაში,
ახლა ცრემლი მორევია ქუჩას
და ჭაღარაც შეგვრევია თმაში.

2011 წ. 14 აგვისტო

დაშლილ მონასტრებს

ფრესკის სიმაღლე მიიწევს ზევით,
საათის მკერდში გაქვავდა წამი
და მეფერება ოსტატის მზერით
ტაძრის კედლებზე შემხმარი ჟამი.
ეს ტაძარი და ეს ჩუქურთმები
ტანში მბურძგლავს და ეკლად მაყრია,
რიკულ-სვეტები და წმინდა ქვები
უმშვენიერეს პერანგს გაჰყრია.
მაგ კედლებს ჭედდა უკვდავი გენი,
გენი ქართული, ფოლადის ხიდი,
მეც საჭრეთელი ვიყავი შენი
და შენს სხეულზე ჩუქურთმებს ვჭრიდი.
თივის ზვინივით ჩამოშლილ კედლებს
ჩემი დაჭრილი გული ჰკიდია,
ჩასძინებიათ შამქორზე მხედრებს,
მუცოს გოდოლზე ტირის მინდია.
ოსტატო! ტაძრის დაჩეხილ სხეულს
უღონო ფიქრით თავზე ვევლები,
დახავსებულს და უშენოდ სნეულს
ნუგეშად დარჩა ზეცის ცრემლები.

უკვდავი სული კედლებში მღერის,
გესმის, ოსტატო? დადუმდა ზარი,
უმალ მოავლე საჭრეთელს ხელი
და შენს ტაძარში დამწერე ჯვარი!

2010 წ. 10 იანვარი

ბანასთან

მონღოლივით მირტყამს აქ დრო დანას,
და მხრებზე ვგრძნობ მარტოობას, ვერაგს,
აგერ უკვე მერამდენედ ბანას
ვაცმევ ჩემი სულის ნაქსოვ პერანგს.

2011 წ. 15 სექტემბერი

●

ტახტიდან რომ მთვარე წამოიწევა,
მოასკდება მთებს ხოხბების ყივილი,
სული მწვანე ტალღასავით ირწევა
და იწყება მარტოობის ტკივილი.
მზის სხივები დაწვნენ ღრუბლის ქულებზე,
კორდებია ენძელებით სნეული,
გაზაფხული მიდევს ხელის გულებზე,
როგორც შენი თოვლისფერი სხეული.

2010 წ. 4 მარტი

●

ისევ ჩაიწვა ჟამი ფიფქების,
იები შუბლებს მიწას ახლიან,
გაზაფხული ხომ ლურჯი ფიქრების
და ოცნებების დიდი სახლია!
დგას გაზაფხული, ნედლი სურნელი,
სადღაც ღამეა, სუფთა ცრემლები...
მთებმა აიხსნეს თოვლის უღელი
კვლავ ფეთქდებიან თეთრად ტყემლები.
იები სუსხის დასასრულია,
კივის არაგვი, როგორც აფთარი,
ეს გაზაფხული შენი სულია
ყაყაჩოების სისხლით გამთბარი.

2010 წ. 10 მარტი

●

დაღლილ ქედებზე გაზაფხულის დაეშვა ფარდა,
მხურვალე ცრემლით აქვითინდა იასამანი,
შაჰ-აბასი და თემურ-ლენგი ქართველით მკლავდა,
ხორცს მაგლეჯავდა უმოწყალოდ, წყევლით შამანი.
მე ახლა მაღლა შემართული ხმალი მჭირდება,
ვით სვეტიცხოვლის აღმშენებელს გონიო ხელში
და სალ კლდეებში შეხიზნული ძველი დიდება,
რომლის გარეშეც საქართველო გადატყდა წელში.

2010 წ. 15 ივნისი

●

ნისლივით ქრება თვალებში დაღლა,
როდესაც ვნებებს ძაღლივით მისევ,
მე გაზაფხული მახსენებს ახლა,
რომ ტკივილამდე მიყვარხარ ისევ.
ო, ეს აპრილი, თეთრად ბურვილი,
ბავშვის სულივით მუდამ ანცია,
შენს ლამაზ უბეს ჩემი სურვილი
ღამის პერანგის მსგავსად აცვია.
თუ დამეკარგა შენამდე გეში,
ველარ მიშველის ზაფხულის სუნთქვა,
ეს სიყვარულიც მოკვდება ჩემში,
დედის ცრემლივით თბილი და სუფთა.
თვალებში სევდა გულივით ფეთქავს,
ლამაზ ოცნებებს ემტვრევათ ძვლები
და თუ ქორივით დამკორტნის სეტყვა,
გადამაფარე ზედ შენი თმები.
ნისლივით ქრება თვალებში დაღლა,
როდესაც ვნებებს ძაღლივით მისევ,
მე გაზახული მახსენებს ახლა,
რომ ტკივილამდე მიყვარხარ ისევ.

2010 წ. 26 ივნისი

სერიოზული ხუმრობა

ჩვენ პეპლები ვართ, ვიფრინოთ ერთად
და თუ შენ ჩემგან შორს გაიქცევი,
ჩამომაძენძავს ფრთებს შავი სევდა,
სამი დღის მერე ჭუპრად ვიქცევი.

2010 წ. 1 ივლისი

●

მალე ზაფხული ისევ გვეწვევა,
აგუგუნდება კვლავ დედო ზარი,
არაგვს სიკვდილი ვერ მოეწევა,
მკერდზე ახურავს ფარივით მტკვარი.
ყველა მდინარე ჩემი სისხლია,
ჩემი სუნთქვაა შრიალი ჭალის
და თასში, როცა ღვინო მისხია,
ეშხი ორმაგად მძაფრდება ქალის.
ყველა ტაძარი ჩემი ტანია,
სულია ჩემი მათი სანთელი,
ქვები მათზე მეც ამიტანია,
რომ მათ თვალებში იდგას ნათელი!
მე ვარ წინაპრის მხურვალე სუნთქვა
და მოქნეული დავითის ხმალი,
მადლი გამიწყრეს, უგვანოდ თუ ვთქვა,
რატომ ჩემს ძვალს არ შეატყდა ხმალი!
მე ვარ ტალღები ტბაზე ფარავნის,
ნინოს ნატერფალს რომ არ აშრობენ,
არ ვედავები მამულს არავის,

არც ჩემი მთებით მინდა ვაჭრობდნენ.
თერგს აკვანივით ტალღა ერწევა,
ტალღა უამრავ ამბის მთხრობელი,
არაგვს სიკვდილი ვერ მოეწევა,
რადგან ღმერთია მისი მშობელი!

2010 წ. 3 ივლისი

პასუხი მათ, ვინც მკითხა, თუ რატომ დავდივარ ამდენს

მე ვარ ტკივილი, ქვეყნის ქვა-სვეტი,
სულ სიყვარულზე მსურს ვიკამათო,
რა ვქნა, უფალმა შემქმნა ასეთი –
მე ვარ წერილი უმისამართო.
წამოწოლილი მთებზე ვარ ნისლი,
სუნთქვით მათბობენ მდინარის ქვები,
ისევ მაწვალებს წარსულით სისხლი
ვცოცხლობ, მტკივა და ფიქრებში ვკვდები.
ო, ეს ნიავი და ქროლვა მისი
თავისუფალი და უანგარო,
მე მინდა ვიყო კვლავ შენი ღირსი,
თუნდაც გზად მექცეს მთელი სამყარო.
მე მინდა ისევ ვამტვერო გზები,
რომ არ დაჟანგდეს ხმალივით სული,
აქ სანთელივით ანთია მთები,
მათაც ქართულად უფეთქავთ გული!
მე მხრებით მიმაქვს მთების სილურჯე,
გზები მატყლივით უნდა დავართო,
იებს დარაჯად თვალებს მივუჩენ

და ისევ ვივლი უმისამართოდ.
ბევრჯერ გავცვითე მზერა ქარაფზე,
ქალის ეშხივით მათბობდა სხივი
და შორეული გზის სილამაზე
ბორგავდა, როგორც ტალღებზე ტივი.
მდინარის ზვირთებს ვიჭერდი პეშვით,
სად კალმახები მესროდნენ წინწკლებს
და გაცრეცილი ლექსები ხვნეშით
მიაქროლებდნენ სტროფებით წინ წლებს.
მე ღრუბელივით მაწევს ნუგეში,
რომელიც მინდა გზებით გავათბო,
რომ წუთისოფლის ამ ცხელ უბეში
მე ვარ წერილი უმისამართო.

2010 წ. 4 ივლისი

●

იჩქარეთ, დრო გვიყეფს ავადა,
სანამ გულს ფიფქები დაათოვს,
თორემ სიჭაბუკე წავა და
უკან არ დაბრუნდება არასდროს!
იჩქარეთ, სანამდის ჩაქრება
ტუჩებზე სიმხურვალე კოცნისა,
თორემ სილამაზე დაჭკნება,
მოკვდება იმედი სოფლისა!
იჩქარეთ, სანამდის სიბერე
დაგიცხრობს სიყმაწვილის იარებს,
სანამდის ეშხი ყელს იღერებს,
ვნებების ორბიტა ტრიალებს!
თორემ თუ ჩაქრება ცეცხლივით

ძარღვებში მობრიალე სანთელი,
ჯავრი დაგატყდება მეხივით,
დაგტოვებს ნაბადივით გათელილს.

2010 წ. 5 ივლისი.

რუსუდან კენჭოშვილს

შენ სიკეთის ყანას უხვად ლეწავ,
და სიცოცხლის ხატავ ლამაზ ფერებს,
შენთან ძმობას ქართულ თიხით ვძერწავ,
მადლი გასდის შენს თოვლისფერ ხელებს.
ვერ დაგვფარავს დრო უფერულ ნისლით,
გვეფერება ისევ ტალღა რიწის,
ამ სტრიქონებს გიწერ ჩემი სისხლით
მე, ნაწილი იბერიის მიწის!
კვლავ გულივით ფეთქავს ცხელი გეში,
ცელქი ქარი ენძელებზე როკავს,
მეგობრობა არის ლეკვი ჩვენში,
ამირანის ჯაჭვს რომ ისევ ლოკავს!
გავა დრო და ჩამოგვათოვს მხრებზე,
ჟამი იებს შემოახევს კაბებს,
საჭრეთელით დავწერთ სულის ქვებზე
ხელის გულზე რომ ვაცხობდით ამბებს!
აბა, ვიღა შეგვაშინებს ნისლით,
ვინ დააშრობს ტალღას ჩვენი რიწის?!
კვლავ ვიქნებით შეფიცულნი სისხლით
ჩვენ, ბელტები, იბერიის მიწის!

2011 წ. 7 ივნისი

●

შედედებულა კლდეებზე ნისლი,
ხატი მირონით ბილიკებს ნამავს,
ირგვლივ ლოდების ჩურჩული ისმის –
გარდასულ დღეთა ჰყვებიან ამბავს.
ვაზის ნაჟურით ტირის ბარძიმი,
გზა შენი მხრების იტაცებს სითბოს,
შენს თვალებამდე იწვის მანძილი,
ღამე სხივივით ანთია თითქოს.
სადღაც კლდეებში ბორგავს არწივი,
საცაა სხივი ბნელ ფარდებს დახევს
და ვარსკვლავებით უხვად ნაწვიმი
მთვარე შენს თმებში ლეგენდებს ახვევს.
ეს ღამეც ჩემში ანთია ისე,
როგორც ჩუქურთმად დაღვრილი ფილა,
მე მოვიგროვებ პეშვებით ნისლებს,
რომ გათენდება შენს მხრებზე დილა.
და სანამ მთვარე არ ფიქრობს დროზე,
სტრიქონში ვქარგავ შენს ქალურ იერს
და მოჩურჩულე ტყეების ფონზე
მე გეუბნები – მიყვარხარ ძლიერ!

2010 წ. 30 ოქტომბერი

●

შენ ოცნებების ბაქანზე მდგარი სიყვარულს ელი,
დღე ცხელი სუნთქვის ოხშივარში გათანგულია,
ეს ყვავილები მე მოგართვი მთრთოლვარე ხელით,
ეს ყვავილები ანთებული ჩემი გულია.
ლურჯი აპრილის თეთრი ღრუბლები ტანზე გაცვია,
ისევ ჰყვავიან ამღერებული ეს ალუბლები,
შენ გაზაფხულმა ოცნების წვიმად გადაგაქცია
და მე ამ წვიმას კვლავ სიყვარულზე ვესაუბრები.

2011 წ. 22 ივნისი

●

მე დავიტირებ წინაპართა ძვლებს ცრემლით მართლით,
გაიმართება ტყემლების როცა თეთრად ქორწილი.
ფეხქვეშ გამთელეთ, დამეცით გულში ბასრი ხანჯალი,
თუ საქართველოს სიყვარულში არ ვარ მოცლილი!
ჩემს გულს ისევე აკანკალებენ ტაძრის ზარები,
ეს გაზაფხულიც ჟამმა შეჭამა ბასრი კბილებით,
მალე დარუბანდს ისევ უნდა მოვხსნათ კარები,
ელვარე ხმლებით მტერს ისევ მედგრად შევერკინებით!

2007წლის 20 ივლისი

●

გაზაფხული უკვე ცეცხლის ფერია,
გევედრები, მე კვლავ ბავშვად მიწამე,
შენც ისევ ხარ პაწაწინა ფერია,
მაკოცნინე სანამ შემჭამს მიწა მე!
ცა აენთო, გატყდა ღამის გალია,
კვლავ აივსო გზები ჭრელი ფერებით,
სიჭაბუკემ დრო გზასავით გალია,
ვერ დავღალე გრძნობა შენი ფერებით.
გამახსენა დრომ წარსულის იარა,
რომ ვიყავი მეც მარტივით სულელი,
ჩემ სურვილმა შენსკენ გეშით იარა,
შენ კი მაინც სხვის სიყვარულს სულ ელი!
გულს დამასო შენმა ეშხმა ისარი,
საათები სულს ღაფავენ წამებით,
გული ტირის და ეს სწორედ ის არის,
უშენოდ რომ დროს მივათრევ წამებით.
დანტეს ცოდნის სანთელს უნთებს ფარია,
ღმუის თერგი, დიდ ლოდებზე მჩქეფარე,
ჩემი გული სააკაძის ფარია,
საქართველოს სიყვარულში მჩქეფარე!

2018 წელი

●

ხმალმა დამკუწოს, დამჩეხოს,
არ დამრჩეს ძვალი მთელია,
ერის ქება და დიდება
ჩემს ლექსს თუ გამოელია!
იმსხვრევა ზღუდე ღამისა,
სათქმელიც რჩება რამდენი,
გათენდება და ჩემს ფიქრებს
მთებში ცხვარივით გავდენი.
ბრძოლის ველივით გაშლილა
სულში ფიქრების ხალიჩა,
დრო მიღრენს მშიერ მგელივით,
თუმცა გული ვერ გახლიჩა.
მთებში ზაფხულშიც თოვლია
და ფიფქებსა აქვთ ქორწილი,
ჩემი სისხლი და ხორცია
ჩემი სამშობლოს ორ-გილ-ლი!
გარდაცვლილ სულებს ვიგონებ,
კვლავ სიყვარული მაწვალებს
და გრდემლზე ვჭედავ სტრიქონებს,
ზედ ვახვევ ქალის ნაწნავებს.
ჰე, ხმალო, ნუ დაჟანგდები,
ნუ დაიბლაგვებ პირსაო!
კვლავ გაკაშკაშო დიდგორზე,
სისხლი დავღვარო მტრისაო!
ხმალმა დამკუწოს, დამჩეხოს,
არ დამრჩეს ძვალი მთელია,
ერის ქება და დიდება
ჩემს ლექსს თუ გამოელია!

2021 წლის 24 ნოემბერი

●

დღე გაიძურწა, ვით მხდალი ყოჩი,
საღამოს შევხვდი, ისევ მდუმარი...
და მტკვარი, ჩემი სისხლი და ხორცი,
ჩემი ფიქრების იყო სტუმარი.
ცა იყო ლურჯი, ისეთი ლურჯი,
რომ ვეხებოდი ხელებით ტატნობს,
ხის ძირში ეგდო გამხმარი ფუნჯი
და მეც ამ ცის ქვეშ აღმოვჩნდი მარტო.
დღეც ჩაიფერფლა ჩემს თვალწინ თითქოს,
სამყარო იყო ფერთა დარბაზი,
ჩიტების ჭიკჭიკს მოჰქონდათ სითბო,
ეს ყველაფერი იყო ლამაზი,
სულ მინდა ეს ცა თვალწინ რომ მქონდეს,
მათბობდეს ოშკი, თმოგვი და წუნდა,
მაგრამ ვიცი, რომ დრო მოვა ოდეს
და ეს სამყარო დავტოვო უნდა,
ნეტავი, ამ ცას იქაც თუ ვნახავ,
ან გოგონებით გადავსილ ქუჩებს,
ქუჩის კიდეში ჩამომჯდარ გლახაკს,
ან თუ დავკოცნი შინდისფერ ტუჩებს.
ვინ მეტყვის, ისევ თუ ვნახავ დედას,
დამისველდება ცრემლით ღაწვები,
თქვით, რომ განგება არ არის მკაცრი
და მე საფლავში მშვიდად ჩავწვები!
რად ეშინიათ ალუბლებს სეტყვის?
რად ცვდება დილა ან ტყემლის ფერი?
მე ვიცი, მაინც ვერავინ მეტყვის,
სად იკარგება ეს ყველაფერი!

2021 წლის 11 სექტემბერი

●

წლების ფუჭად ფანტვა, გრძნობას სევდით ავსებს,
ჟამი გარდასული ჩემში მწარედ სახლობს,
ღმერთო, მიპასუხე, ასე რად გამწირე?
რატომ არ მამყოფე, მუდამ მასთან ახლოს?
ახლა ჩემს გრძნობებში ისევ ზამთარია,
ცრემლით დაინამა მინდვრის გვირილები,
ჩვენი სიყვარული დროში გამქრალია,
შენმა გახსენებამ შობა ტკივილები.
თუმცა ეს წუთები ისევ მწარედ მახსოვს,
ახლა ფიქრებიც კი ჩემგან გადის მდორედ,
ხატის წინ დამხობილს ბოღმა-ცრემლი მახრჩობს,
რომ მე შენს სიყვარულს ცივად განვეშორე.
წლებმა მარტოობის მძივი შემაბნია,
ახლა ძვლებში მამტვრევს მწარე სინანული,
ფეხქვეშ ენძელები ჩუმად ჩურჩულებენ–
როგორ მივატოვე შენი სიყვარული.
ახლა ეს შეხვედრა ჭექა-ქუხილს ჰგავდა,
ქარმა დაუხეთქა ნისლებს ლაყუჩები,
ჟამმა რომ ინებოს უკან დაბრუნება,
ჩემს თავს უეჭველად იმ წლებს ვაჩუქებდი.

2018 წლის 21 მაისი

●

გახსოვს სიყრმის წლების მძაფრი თარეში?
საფლავებზე ღამე ლექსით ნაცვეთი?
რომ ვსახლობდით ხშირად ღამის თვალებში
და ცხოვრება გვიხაროდა ასეთი.
მე შენ დღესაც წაგიკითხე ლექსები,
ულექსობა ჩემთვის მძიმე ნაკლია,
წარსულს უკვე გამხმარი აქვს ფესვები,
შენს სახესაც ძველი ჟინი აკლია.
ვხედავ, უკვე წლები სენად შეგვყრია,
გაზაფხულიც თითქოს მოდის უჩვენოდ,
აწ ვნებები უკვე სხვების ხვედრია,
ნაცნობ ქუჩებს ზურგი როგორ ვუჩვენოთ?!
წლებმა თმებში ჩაგვაქსოვა ზამთარი,
კვიპაროსებს ახსოვთ ჩვენი ღრეობა,
ახლა გვათბობს მოგონების დავთარი
და ჩვენს შორის – სიყვარული, მეობა.

2018 წლის 10 მაისი

●

კვლავ ჰყეფავს სუსხი იებს სიავით,
ღამის ქურქს ჰგვანან მიწის ხნულები,
როგორც ნედლ ყლორტებს გრილი ნიავი,
ძველ სიყვარულზე გეჩურჩულები.
მახსოვს, ლექსებით ვიწრთობდით სულებს,
მთვარის შუქს გლეჯდა კბილით აისი

და სიყვარულით გვითბობდა გულებს
დედის ცრემლივით თბილი მაისი.
ჭრელი ფერების ატყდა ფერხული,
ქარმა გაფანტა სევდა ფარული,
იქნებ ეს კითხვა არს უხერხული
რად გაფერმკრთალდა ეს სიყვარული?
მე რუსთაველის ქუჩას მივყვები,
უკან მომყვება წლების მარაგი,
კვლავ დაჟინებით წლებს ვეკითხები:
რატომ წამართვეს სიყრმის ქალაქი?
მტკვარიც გახუნდა მეტეხის ძირში,
შენც შეგევერცხლა ეს კულულები,
მე ისევ ვდგავარ ცაცხვების ჩრდილში
და სიყვარულზე გეჩურჩულები.

2018 წლის 7 ოქტომბერი

●

სისხლის წვეთები ალბობდა ხნულებს,
კარგავდა შვილებს კახეთი, ტაო,
როგორ იტევდი ამ ხალხთა სულებს,
რა სიმაღლე გაქვს ასეთი, ცაო!
მეტად მწირია ჩვენი სოფელი,
თუმცა ბევრია აქ დანაბადი,
მაგრამ ჟამია ყოვლისმპყრობელი
და კაცის ბოლო – გუდა-ნაბადი.
ცამ შეიკედლა ამდენი ხალხი,
მარადიული მისცა სოფელი,
იქაც დაიძრა ცხოვრების ჩარხი,

ქართული სულის გზა-სამყოფელი.
ჟამი ჯერ კიდევ რამდენ სულს დაღლის,
მოგვიტანს ვარამს, სიკეთეს, ქაოსს,
შენა ხარ მათი სულების სახლი,
და სამყოფელი უძირო, ცაო!
ისევ და ისევ ფიქრი ღონდება
და ველარ აღწევს თავს ბინძურ ჭაობს,
ვისაც ერგება სულის ცხონება,
ეზიარება შენს სიღრმეს, ცაო!
ვინც არ გატეხა კაცური ფიცი,
ბევრია დიდი, პატარა, ყრმაო,
ამ ხალხთა სულებს შენ იტევ ვიცი,
რა სიმაღლე გაქვს ასეთი, ცაო!

2018 წლის 2 ნოემბერი

●

წვიმს და ოცნება კარავს გარს უვლის,
წვიმის წვეთები კედლებზე რბიან,
იქნებ მე შენზე კვლავ მტკივა გული,
იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან.
ნესტიან კარვის კედლების შიგნით
ჩვენ ისევ ვებრძვით ფიქრებით წარსულს,
გაფრენილ წუთებს ვაცილებ შიშით,
გულს გაცივება ჯერ ისევ არ სურს.
კარვის წინ ცეცხლი ოდნავღა ღვივის,
მომწყინდა ქარის ხეებთან ბუნტი,
კვლავ თამაშობენ წვეთები წვიმის,
კარვის კედლებზე ისე, ვით კნუტი.

წვიმით და ნესტით ძლიერ ვწუხდები,
შემცირდა რწმენა კვლავ იმედების,
შენ ამ გაზაფხულს ისე უხდები,
ვით კამკამა ტბას ცეკვა გედების.
ღამემ და წვიმამ დაგვტოვეს ხვნეშით,
კლდეებმა შთანთქეს ღრიალი ქარის
და სველ კარავში ნაცნობი გეშით
მესალბუნება სურნელი ქალის.

2018 წლის 10 ნოემბერი

●

ფურცლებზე დასხდნენ სტროფების წყება,
საცაა ახალ მუზებსაც მოვღლი,
თმებში კი ისევ წვება და წვება
გაუდნობელი ჭაღარის თოვლი.
გატენილია ნისლებით სივრცე
და ობოლ ქედებს აჟრჟოლებთ ტანში,
დედა კი ისევ მიზომავს სიცხეს
და მისი სუნთქვა იბნევა ქარში,
წლების კედელი სულ მაღლა იწევს.
წისქვილივით ფქვავს წუთებს საათი,
თვალებში სევდა გულივით მიცემს,
დღეს შემოაცვდა ტანზე ხალათი.
თავჩაღუნული ვუმზერ ბარათებს,
რომლებიც დარჩნენ წაუკითხავი,
შენს ცხოვრებიდან ჟამი გამათრევს,
მუდამ მკაცრი და განუკითხავი.
ჩემი სხეული მოსწყინდა ზეწარს

და ეულ სითბოს ლოგინში ვტოვებ...
დეკემბრის დილა კვლავ სუსხით ლეწავს
აკანკალებულ ოცნების რტოებს.
უშენოდ ყოფნა სიმშვიდეს მიფრთხობს,
ჟამმა დახია ძველი ბარათი,
წუთისოფელი თავის წილს ითხოვს,
ვერაფერს მაძლევს დროსთან კამათი.
ფურცლებზე დასხდნენ სტროფების წყება,
საცაა ახლა მუზებსაც მოვღლი,
თმებში კი ისევ წვება და წვება
გაუნდობელი ჭაღარის თოვლი.

2018 წლის 26 დეკემბერი

●

მზემ დააბნია სხივები ბანზე,
მთებმა მოიხსნეს მხრებიდან ნისლი,
ნაზ ყაყაჩოებს აცხიათ ტანზე
საქართველოსთვის დაღვრილი სისხლი.
მთებში გაექცა კურდღელი მწევარს,
თებერვლის სუსხი ხნულებს აქვავებს,
ეკლესიის წინ მუხლებზე ვდგავარ
და ჩუმი მზერით ვათბობ საფლავებს.
წარსულის ჩრდილი ირხევა, ღელავს
და ჩემს გონებას სრულად ითვისებს,
თუმცა ლიპარიტ, შენ ჰგავხარ ძერას,
მაინც ვერ უძღვნი შენს თავს ბირთვისებს!
დროს ვკარგავ, ის კი ჩემთვის ძვირია,
ვიღამ მაცალა მე მოსვლა გონზე,

ეს ჩუქურთმებიც ჩუმად ტირიან,
ქვებზე ამოჭრილ სიტყვების ფონზე.
დღის გასაყართან საღამო დადგა,
ტაძრის კედლები სალ კლდეებს ჰგვანან,
ჩუქურთმიან ქვებს არ სძინავთ, რადგან
მათ ქვეშ სამშობლოს შვილები წვანან.

2019 წლის 10 მარტი

●

დგას გაზაფხული – ფერთა ნუგეში,
მეც შენი კოცნა დავაგვიანე
და ამ სამყაროს ლამაზ უბეში
მე გემი ვარ და შენ – ოკეანე.
დამთავრდა თოვლით და სუსხით დაღლა,
დრო გაუვიდათ ენძელებს ძილის
და ვაზი, როგორც ყოველთვის, ახლაც
აპრილის მოსვლას ლამაზად ტირის.
ლურჯად კამკამებს ცა და ქედები,
იების მოსვლას ახლაც ელიან,
მე შენზე სურვილს ისევ ვნებდები
და უშენობა ისევ ძნელია.
მარტის უბეში დავეძებ სითბოს
და მხრებზე მადევს დღეთა სიმძიმე,
მეც გავეთიშე სამყაროს თითქოს
იებთან ერთად გამოვიძინე.
ჩემი სხეული თოვლს და სუსხს ითმენს,
ცა მოიქუფრა, ახლა იწვიმებს,
მყის დავეცემი თავზე სველ რითმებს

ისე, ვით ქორი ობოლ წიწილებს.
დგას გაზაფხული, ფერთა ნუგეში,მეც შენი კოცნა დავ-
აგვიანე
და ამ სამყაროს ლამაზ უბეში
მე გემი ვარ და შენ – ოკეანე.

2019 წლის 21 მარტი

●

მთელი დღე წვიმდა, წვიმდა და წვიმდა,
მეც ჩამეძინა, უშენოდ დაღლილს,
წვიმა მომავლის ლეგენდებს შლიდა,
უშენოდ ჩუმად კვნესოდა სახლი.
ატირდა მიწაც ისე, ვით ბავშვი
და გაიდღაბნა მინები ორთქლით,
შენს ჩრდილს ამაოდ ვეძებდი სახლში,
თითქოს კედლებიც ტიროდნენ მოთქმით,
წვიმის წვეთები ჰყვებიან ამბებს,
მე ვუსმენ ჩუმად და ვიღუშები,
წვიმა კი ფანტავს საამო ლანდებს,
ვით თეთრ ყვავილებს ქარში ნუშები.
მთელი დღე წვიმდა, წვიმდა და წვიმდა,
მე ახლაც მძინავს, უშენოდ დაღლილს,
შენ კი წვიმასთან თამაში გინდა
და კვლავ ფიქრებით სავსეა სახლი.
ხეებში სახლობს მძვინვარე ქარი
და ფრთებით ფანტავს ფუტკრების ბზუილს,
საღამოს ჟამმა ჩამოჰკრა ზარი
და სულში ღამე ძაღლივით ყმუის.

2019 წლის 4 მაისი

●

ჩემი გული სანთელივით ანთია,
შენ სუნთქვა ხარ აყვავებულ ვენახის,
მთელი ტანით ვგრძნობ სისხლისფერ განთიადს
და ეს გულიც გამალებით გეძახის.
მიწის სუნთქვამ დამიორთქლა სხეული,
ქორფა იებს ვეფერები თვალებით,
ქუჩები კი, ვით ფიქრები ეულნი,
კვლავ ტკბებიან სურნელებით ქალების.
ამღვრეულა ცა ნაწვიმარ მტკვარივით,
მეც მხოლოდღა შენთვის ვიწვი, ვანთივარ,
უღელს კისრით მეც მივათრევ ხარივით
და ზარების რეკვით ვუხმობ განთიადს.
მაისის დღე კვლავ ლამაზად ინთება,
რა გაუძლებს ამ ყვავილთა სინაზეს?!
შენი სუნთქვა ნუშს აცვია ფიფქებად,
დღე მიცურავს, როგორც წვეთი მინაზე.
ჩანს, თვალები უკვე გადამეღალნენ
შენსკენ მზერით და ცრემლების ღვარღვარით,
ყვავილები შენს ფეხებთან ეყარნენ
და ამხსვრევდა დღეს სატანის ხარხარი.
ახლა ყველგან გაზაფხული ანთია
და სურნელს ვგრძნობ აყვავებულ ვენახის,
ჩემს სიყვარულს მოვუყვები განთიადს
და მზის სხივებს ჩამოვყვები შენამდის.

2019 წლის 10 მაისი

●

დასეტყვილ ვენახს ვგავარ უშენოდ,
ხელები თრთიან, როგორც ფოთლები,
მე შენზე ფიქრებს როგორ ვუშველო?
ეს გაზაფხულიც ვზიდო მოთმენით?
მთვარის შუქივით არის ნათელი,
რომ კვლავ უშენოდ დავრჩი ეული,
იწვის და ბრწყინავს ბნელში სანთელი,
ვით თეთრ პერანგში შენი სხეული.
მინდა, რომ მოგწვდე, ვით მწიფე ნაყოფს,
შავ დალალებზე დაგადგა ფატა,
მე შენს სიყვარულს ცრემლებით ვამკობ
და ოცნებებში ლეგენდად გხატავ.
შენს ტერფების ქვეშ წვანან ქუჩები,
თმებში გებნევა სუნთქვა ვენახის
და ეგ შინდივით მწიფე ტუჩები
კვლავ საკოცნელად მიხმობს, მეძახის!
ჩამოწვა ღამე და შენი ლანდი
ჩემს თვალებიდან ნისლივით გაქრა,
მე გაზაფხულმა მაჩუქა დარდი
და დამიძენძა ოცნების აფრა.
უშენოდ ისევ სიზმარშიც ვტირი,
ვიღაცის ბედის ყოველთვის მშურდა
და ჩემი სულის პატარა ჭრილიც
შენზე ფიქრებით სავსეა მუდამ!
ო, ეგ ტუჩები სიცოცხლით მავსებს
და საკოცნელად მიხმობს, მეძახის,
შენ ხარ ვენახი, მტევნებით სავსე
და მე კი ჭიგო – შენი ვენახის.

2019 წლის 17 მაისი

●

მზემ დაანთო ცაზე ცეცხლის ალი,
ჩემი ფიქრი უკვე შენთან სახლობს,
შენ ხარ მტკნარი, უკვდავების წყალი
და მე ამ წყალს ვერ ვიკარებ ახლოს.
უკვე მთვარეს ვერ დავარქმევ მნათობს,
რადგან ღამემ გზა დაუთმო დილას.
შენი ეშხი მზის სხივივით მათბობს,
მაგ ტუჩებზე მსურს დავიდო ბინა.
სულში იწვის სანთელი და გოდებს,
თეთრ ნისლებში მოფარფატებს ღალღა,
მივდივარ და ნადირივით მომდევს,
სიყვარული შენი – ვნების ტალღა.
მაკოცნინე, თუნდაც ერთხელ ვნებით,
რომ ცრემლები არ შეაშრეს ღაწვებს
და ჩამქოლე მერე თუნდაც ქვებით,
რომ უშენოდ ფიქრებთან არ დავწვე!
საპონივით გაილია ღამე,
დღე ფიქრების სასაფლაოდ იქცა,
ცრემლის ტბაში ვახრჩობ ეულ წამებს,
დამიჯერე, შენს სიყვარულს ვფიცავ!
ახლაც ვებრძვი ბოლმის მძიმე ტალღას,
ბნელი ღამე მგესლავს, როგორც გველი,
ვერ მივწვდები ცაში აჭრილ ღალღას
და ვერც შენზე მიმიწვდება ხელი!
გზააბნეულ, დაკარგულ მგზავრს ვგავარ,
ვერ ვიპოვე შენსკენ გზა დ კვალი,
ნუთუ ისევ მარტოობის ტყვე ვარ?
შენს ძებნაში გავცვდი, როგორც ნალი.

2019 წლის 29 ივნისი

●

რას ჩურჩულებენ, ნეტავ, ფრესკები
ან ეს კედლები ჟამგადასულნი?
ღამე ჩაინთქა სრულად ქვესკნელში,
ბეთანიაში კვნესის წარსული.
შეწყდა მძვინვარე ქარის თარეში,
წუხილმა ტყე-ღრე გადაიარა,
დიდი ორბელის დიდრონ თვალებში
კვნესის წარსულის მწვავე იარა.
მთებმა ჩაიცვეს სამოსი ნისლის,
გრძელდება ბედის ჩარხის ტრიალი
და სველ ფოთლებზე გალობად ისმის
დაკლული დემნას სულის შრიალი.
წარსულის ამბავს დრო-ჟამი ვერ კლავს
და ვერც გვირგვინს თმობს მეფის ასული,
მხოლოდ ფრესკები გლოვობენ დემნას,
ბეთანიაში კვნესის წარსული.
წუხილს და გლოვას კვლავ ჟამი ჰშველის,
რადგან ცხოვრება მეტად მწირია,
როგორც თვალები დაჭრილი შველის,
ღრუბლის ქულები დემნას ტირიან.

2019 წლის 14 ივლისი

●

დღეს არ ქრის ქარი, მტკვარია მშვიდი,
მოწმენდილ ცაზე ანგელოზს ვხედავ,
როგორც ტყვიებით ავსილი მჭიდი,
იმგვარად ავსებს გულს მძიმე სევდა.
მდინარის ტალღებს დააწვა რული,
დღეს მოეკვეთა მუხლები მტკიცე,
უშენოდ წლების ფლანგვაა რთული
და ვნების ციხე მგონია სივრცე.
და ეს სამყაროც, თითქოს სნეული,
ჩემს გულს ფიქრებით აწვიმს და ამღვრევს,
მე არ მღლის გზები და ზღვის სხეული,
რადგან მეც ვგავარ აქოჩრილ ტალღებს,
მტკვრის მკერდზე დაწვა ღამის სხეული
და სიბნელეში ჩაინთქა სივრცე.
მე სიყვარულთან დავრჩი ეული,
ეს გულიც შენთვის იწვის და მიცემს,
ადექი, ქარო, და ეს მდინარე
გამოაღვიძე ტალღების რხევით,
რომ ახალი დრო, როგორც წინარე,
აღარ ვატარო უშენოდ მხრებით!
დღეს არ ქრის ქარი, მტკვარია მშვიდი
და ჩემი სულიც მის სხეულს ერთვის.
მიყვარხარ ძლიერ, გუგუნებს ზარი,
მე ახლაც სანთლად ვანთივარ შენთვის!

2019 წლის 16 ივლისი

●

როგორც ირმისთვის ანკარა წყარო,
მომენატრები გიჟური ვნებით,
შორს განმიტაცე უგულო ქარო,
რომ კვლავ მტანჯავდეს უშენო გზები!
ამ ლამაზ დღემაც სული დალია,
შენთან შეხვედრას აღარ მოველი,
ეს ყოველივე დროის ბრალია,
სხვადასხვა გზებით წავალთ ყოველი.
შემრჩება მხოლოდ შეშლილი სული,
წვიმის წვეთივით მთრთოლვარე ვნება
და მარტოობის თუ დამხრავს წყლული,
ყოფილა, ღმერთო, ეს შენი ნება!
სანთელთან ერთად ჩაიწვა ნატვრა,
რომელიც გულში ვეღარ დავტიე
და სიყრმის წლების უაზროდ ფანტვა
შემინდე, ღმერთო, და მაპატიე!
ცას შეჰყურებენ მოწყენით ზვრები,
ბოროტი მზერით მგესლავს მაცილი,
კლდიდან უფსკრულში ცვივიან წლები,
ჩვენს მარტოობას ქარი დასცინის.
მე ვეკითხები მეასედ სანთელს,
ის არ მპასუხობს და ჩუმად იწვის,
საღამო თიბავს კბილებით ნათელს
და ბნელში ქრება სურნელი მიწის.

გახსოვს პირველი შეხვედრა ჩვენი?
ცა იყო თეთრი ღრუბლებით სავსე
და თუ სხვას ხიბლავს სინაზე შენი,
არ ვიცი, რატომ მიყვარხარ ასე!

2019 წლის 4 სექტემბერი

●

ნაცნობ ფიქრებს ვკრეფ ცის ლურჯ თვალებში,
ჩუმად დის მტკვარი და მეც ვღონდები...
და მის მდუმარე, მწვანე ტალღებში,
შენს სახეს ვეძებ და მაგონდები.
მორჩა, გათავდა, გაცვდნენ რითმები!
თითქოს ფიქრებმაც ჰპოვეს სამარე,
იცი, შენს უარს მშვიდად ვითმენდი,
თუმც ბევრჯერ ცრემლი მწარედ დავღვარე.
მერე კი მივხვდი, რომ არის გვიან,
რომ შენი უბე უჩემოდ დარჩა,
ჩემი ფიქრები ეულად ყრია
და მარტოობა თავისკენ მქაჩავს.
მორჩა, გათავდა და ეს რითმებიც
ჩემს წინ მიწაზე უგულოდ ყრია!
გაქრნენ ის წლებიც, მე რომ ვითმენდი
და შენი კოცნა უკვეა გვიან.
გაზაფხული კი მიდის და მოდის,
ჩემი ცხოვრებაც თითქოს მითია,
ცას ჩემი ცოდვით ცრემლები მოსდის,
ეს გული შენთვის სანთლად მინთია!

2019 წლის 16 სექტემბერი

●

დადგა აპრილი და მწვანე მინდვრებს,
მკერდზე უბრწყინავთ ნამი, ვით ვერცხლი,
გადაიღეღეს ქალებმა მკერდი
და მეც ვნებებში გამიჩნდა ცეცხლი.
ნამი კვლავ მწვანე მინდორზე წვება
და მზის სხივებზე ბავშვივით ცელქობს,
ამ დროს იღვიძებს მიმქრალი ვნება
და შენს სიყვარულს ეს გული ვერ თმობს!
გაზაფხულია და ეს ნისლებიც
ჩუმად, მოწყენით ადიან მაღლა,
ობს იკიდებენ ძველი ფიქრები,
მე კი არ მინდა, შემეტყოს დაღლა.
მივყვები ნაპირს, მომყვება მტკვარი,
მზერას ვაყოლებ თბილისის ქუჩებს,
ვგრძნობ შემოდგომის სურნელი ასდის
მაგ შენს ვნებიან შინდისფერ ტუჩებს.
ცას თვალებიდან ცრემლი სდის ღვარად
და მე ამ ცრემლებს გიგროვებ პეშვით,
მე შენი მინდა რომ ვიყო მარად
და აღარ შევხვდე გაზაფხულს ხვნეშით.
დრო მოდის ვაზის ტკბილად ტირილის,
ორღობეებში ია თამადობს
და გრილ ჭალებში ხოხბის ყივილი
ჩემს გაყინულ გულს ისევ გაათბობს!
საღამოა და არ მსურს სამხარი,
არც დავიწყება შენი არა მსურს,
მე მეცოდება ის ხე გამხმარი,
რომელიც უკვე ვერ გრძნობს გაზაფხულს.

2020 წლის 8 თებერვალი

წმინდა გრიგოლ ხანძთელს

წმინდა მამავ, კვლავაც ჩვენთვის იღვწი,
მადლობა, რომ ერს მირონი აცხე,
ახლაც მათრობს ის სურნელი მიწის,
რასაც ერქვა შენი ძველი სამცხე!
შენს ნატერფალს კვლავ ინახავს გზები
და ჭოროხიც ისევ ლურჯად ღელავს,
შენს ხანძთაში ქვითინებენ ქვები,
ამ გზებს ახლა უცხო თესლი თელავს.
კვნესის ხანძთა, სანთელივით იწვის,
ცრემლები სდით წინაპართა ფაცხებს,
დაგვიბრუნე ის ბარაქა მიწის,
რასაც ერქვა შენი ძველი სამცხე.
დუმს ტაძარი, ქვითინებენ ქვები
წმინდა მამავ, კვლავ მირონი გვაცხე,
თორემ ტაძრის ქვებთან ერთად ვკვდები
და სისხლისგან იწრიტება სამცხე.
არა, ერის არ იქნება დაღლა!
და ჭოროხიც ძველებურად მღერის,
მსურს, ტაოში რომ გვატკბობდეს ახლაც
ჰარმონია ჩვენი ქართულ ენის!

2020 წლის ივნისი

●

მტკვარი დიოდა, როგორც ყოველთვის
და თოლიების იდგა ყიჟინი,
შენ ჰგავხარ შეშლილ ქედებს შორეთის
და უშენობა მე მაქვს მისჯილი.
ხის ტოტზე ჰყვავის კვლავ გაზაფხული,
ბოროტად უმზერს ფერებს მაცილი,
ფიქრების უბეს ტოვებს წარსული
და მარტოობის ღამე დამცინის.
ქარმა დაძენძა ზამთრის ცხედარი
და მეც ძაღლივით მიყეფს გუნება,
თითქოს ბავშვივით ტირის კედარი,
შენს სარკმელს ნაზად ესალბუნება.
მტკვარი კი მოსჩქეფს, როგორც ყოველთვის
თან თოლიების მოაქვს ყიჟინი,
ჩემზედ ტირიან მთები შორეთის–
შენთან არ ყოფნა რომ მაქვს მისჯილი!

2020 წლის 24 დეკემბერი

პირველი კოცნა

გაეცრიცათ სახე ფურცლებს,
დრომ წაიღო მხრებით წლები,
მე სიყვარულს ველარ ვუძლებ
და შენს გულში დავსახლდები.
დრო ღელავს და დრო ბერდება
მეც გული მაქვს, ქვა როდი ვარ?!

შენ ხარ ის ცა, რომ თენდება
და მე ზედ მზედ ამოვდივარ.
გაზაფხული კი კვლავ მოვა,
ამიწეწავს სული ფიქრებს,
დამეწყება გულში გლოვა
და სიკვდილი სჯობდეს, იქნებ!
კვლავ დადგება მარტის ჯერი,
როცა გრძნობებს ველარ ზღუდავ,
ეს თოთხმეტი დეკემბერი
ტკბილი დღეა ჩემთვის მუდამ!
შენს ტუჩებზე წვება ნისლი
და არ მიშვებს შენთან ახლოს,
ჩემი გული შენზე ტირის,
ჩემი ფიქრი შენთან სახლობს.
გაეცრიცათ სახე ფურცლებს,
დრომ კბილებით დაღრღნა წლები,
როცა იებს გული უცემთ,
მე შენ კოცნით ველარ გწვდები.
ისევ მოვა მარტის ჯერი,
როცა გრძნობებს ველარ ზღუდავ,
ეს თოთხმეტი დეკემბერი
ტკბილი დღეა ჩემთვის მუდამ!

2021 წლის 14 დეკემბერი

●

გულში კვლავ გინთებ სანთელს,
დღე იწვის შენზე ლოცვით,
გაზაფხული რომ მოვა,
ტუჩებს გაგითბობ კოცნით.
მოვა ღამე და ვიცი,
სული ატეხავს კივილს
და როგორც ცელქი კვიცი –
გითელავს სევდა ბილიკს.
ჟამი კი ფიქრის კედელს
ემსხვრევა, როგორც ძვალი,
შენ ხარ გული რომ ეძებს,
ის ვნებიანი ქალი!
გაცვდება როკვა ფერთა
ისე, ვით ფეხზე წინდა,
მხოლოდ და მხოლოდ შენთან
კოცნა, ალერსი მინდა!
ჩამოივლიან ღაწვებს
ცხელი ცრემლები ცოცვით,
ლურჯი ქარების ფონზე
ტუჩებს აგივსებ კოცნით.

2021 წლის 16 თებერვალი

●

თოვს, ხეობაში სიჩუმე ჩაწვა,
თოვლს შერჩა ჩემი სულიც ეული,
თოვლის საბნის ქვეშ მთელი ხეობა
ქათქათებს, როგორც შენი სხეული.
თავგამეტებით თოვდა და თოვდა,
მე კი კვლავ მკლავდნენ შენზე ფიქრები,
მთებს შორის ქარი ღრიალით ქროდა
და შორს მიჰქონდა თოვლის ფიფქები.
თოვდა და თოვლის ძლიერ ქარბუქში
ტკბილად ისმოდა არმსტრონგის ჯაზი
და მთები იყვნენ ისეთი თეთრი,
შენი კანივით თეთრი და ნაზი.
და მეც ფიქრებში შენი სხეული
ხელებზე ნაზად გადავიწვინე
და როცა მივხვდი, ვიყავ ეული
ფიქრებთან ერთად ცრემლით ვიწვიმე.
თოვს ხეობაში ფიფქთა ღრეობას
ვუმზერ ოცნებით სავსე, ეული,
თოვლის საბნის ქვეშ მთელი ხეობა
ელვარებს, როგორც შენი სხეული.

2021 წლის 17 თებერვალი

●

შენი მონატრება ისე ძლიერია,
როგორც გაზაფხულის მძლავრი აფეთქება,
გული შენთვის მიცემს და ეს სიყვარული
მკერდში ბობოქრობს და კედლებს ეხეთქება.
ვიცი, უშენობა მწარე სიზმარია,
უკვე აღარ ვიცი, აპრილს სად გავექცე,
შენი მონატრება მარტის გრიგალია,
სულს რომ მიყინავს და ლოდად გადამიქცევს!
მარტი აიქოჩრა, ფერთა კივილია,
შენზე ფიქრებით მაქვს გული დაკოდილი,
შენი მონატრება მძაფრი ტკივილია,
როგორც მგლის ეშვები, გულში ჩასობილი!
ახლა აპრილია, იები გვეხვევიან
და მეც სიყვარულის საზღვარს გადავცდები,
მკერდზე მზის სხივები ნაზად გეხებიან
და თამაშობენ კნუტივით გატაცებით.
შენი მონატრება ისე ძლიერია,
როგორც ენძელების მძლავრი აფეთქება,
გული შენთვის მიცემს და ეს სიყვარული,
ოთახში დამწყვდეული, კედლებს ეხეთქება.

2021 წლის 13 მარტი

●

ჩამოჯექი ჩემთან ახლოს, ქალო,
ეგ ხელები დაგიკოცნო ვნებით,
უკვე შაშვი მიჯნურისთვის გალობს,
გაზაფხულს კი ისევ მარტო ვხვდები.
თოვლივით თეთრ მკერდს გიკოცნის ქარი
და ოცნებაც სანთელივით იწვის,
შენ ხარ ჩემი საოცნებო ქალი,
ქალი, რომლის ფასი გულმა იცის!
ჩამოჯექი ჩემთან ახლოს, ქალო,
თეთრ სახიდან გადიყარე თმები,
ჩვენ ერთმანეთს სიყვარულით ვუმზერთ,
მაგრამ მერე უალერსოდ ვრჩებით.
აპრილია, დგას სურნელი მიწის
და იები გარს გვარტყია უხვად,
სიყვარული კვლავ უშენოდ იწვის,
როგორც მეხით გახეთქილი მუხა.
დროა, უკვე საქმედ იქცეს ფიქრი
და ტუჩები დაგიკოცნო ვნებით,
თორემ ჟამი გრიგალივით მიჰქრის
და ჩვენ ისევ უალერსოდ ვრჩებით.

2021 წლის 25 მარტი

●

ცა აელვარდა, ვით ბროლის ჭაღი,
მალე აკეცავს საბანს ზამთარი,
შენა ხარ სითბო, ედემის ბაღი
და მე იქ ხე ვარ, უწყლოდ გამხმარი.
კვლავ უშენობით წუხს სასთუმალი,
იწვის საღამო და მეც ვდუნდები,
ჩამოწვა ბინდი, დრო იდუმალი,
ვდგავარ წყაროსთან და ვერ ვრწყულდები.
ჩამოიბინდა და სული შეკრთა,
წელში გადატყდა ხმაური ქუჩის,
ქარს მოაქვს შენი სურნელი ჩემთან
და მელოდიად მეღვრები სულში.
ახლა ზამთარი კბილით გლეჯს სითბოს,
მიყვარხარ ძლიერ, სიცოცხლეს ვფიცავ!
ეს ჩემი გულიც უშენოდ თითქოს
ერთ ვებერთელა უდაბნოდ იქცა.
დაღამდა, ფიქრებს კვლავ ვეურჩები,
წვიმის წვეთები კარავზე ხტიან,
მე მენატრება შენი ტუჩები,
კოცნის ლოდინში ჩუმად რომ კრთიან.
კვლავ გაზაფხულდა, განედლდნენ გზები,
ლურჯად გათენდა ცისკრის თვალებში,
მე შენ მიყვარხარ და გევედრები,
არ დაიშურო ჩემთვის ალერსი!
უსიყვარულოდ ვერ მოსჩქეფს წყალიც,
მაკოცე ვნებით, სიცოცხლეს დავთმობ,
შენა ხარ ჩემი ოცნების ქალი,
შენი თვალები მზესავით მათბობს!

2022 წლის 20 იანვარი

●

მე უშენობა ავკინძე დარდად,
ჟამი კი ცელქი ქარივით მიქრის,
ჩემი ქართული სისხლია, ალბათ,
ჩემი ძარღვების უშრეტი ფიქრი!
გაზაფხულს უცდის დაღლილი სული,
თვალებში თოვლი ჩაჟანგდა თითქოს,
არ ვიცი, ასე რად არის რთული,
რომ ერთმანეთში არ ვეძებთ სითბოს?!
ჰა, მოდი ჩემთან, თორემ ხომ იცი,
მე ვარ პატარა მოთხრობა ერთი,
წავიკითხები და დავმთავრდები
და მერე წერტილს დამისვამს ღმერთი!
ტერფებით ვთელავ სისხლგამშრალ ფოთლებს,
სულის სიღრმეში გაჩნდა ბზარები,
მე ლოცვით ვათბობ ბოლნისის ლოდებს,
როცა სიონის რეკენ ზარები.

2012 წლის 25 ნოემბერი

●

ისნის გოდოლზე ძველ ჭიშკარს ვკეტავ,
კედლებს ვეყრდნობი ციხის აივნის,
მღელვარე მტკვარი რას ფიქრობს, ნეტავ,
როცა მეტეხთან კვნესით ჩაივლის?
ტალღებს კი თითქოს ეტყობათ დაღლა,
ცრემლის ლაქები – ლოდებს, ნატირებს
და თქვენი სისხლის ღალატით დაღვრა

ბოცოვ და დემნავ, მე მაპატიეთ!
მეტეხის ხიდთან გმირთა ნატერფალს
ციხის ძველი ქვა ისევ არ იშრობს,
კვლავ ვაკაშკაშებთ ქართულ სატევარს
და ჩვენ ვინ უნდა გადაგვაჯიშოს!
სიჩუმე ტანჯავს მდუმარე ზარებს
და იყუჩებენ რა ხანს, ვინ იცის?!
წივილით კვეთავს ხმალი სველ ჰაერს,
ისნის გოდოლთან კვნესის თბილისი.
ამ მძიმე წუთებს დრო აქცევს ფერფლად,
მეტეხის ძველ გზას მოქარგავს ფარჩით,
მე გეფერებით ჩემს მტკვართან ერთად
თქვენ, ვინც წარსულის უბეში დარჩით!

2013 წლის 29 იანვარი

●

თვალებში სევდა ფეთქავს გულივით,
ვერ შევაჩერე დროთა ტრიალი,
მეც გავთავდები გაზაფხულივით,
ძვლებში დამამტვრევს ჟამი ტიალი.
ეს მერამდენედ გიხსენებ ახლა,
სულში იმედის დაწყდნენ სიმები,
დაღლილი თოვლი ფიქრივით გადნა,
მალე ჩვენამდეც მოვლენ იები.
უიმედობის შავ ფიქრებს ვიცლი,
ცისკრის ზარებზე ვკითხულობ ლოცვას,
ერთხელ გაკოცებ და თითქმის ვიცი,
რომ გავაღვიძებ შენს სულში მოცარტს!

2013 წლის 7 მარტი

●

ჯერ კვლავ ქედები შეფუთულია ტყვიისფერ ნისლით,
ეს გაზაფხული სათავისოდ სრულად მითვისებს,
იების მოსვლას ველოდები ამღვრეულ სისხლით,
რომ ძველებურად მოვეფერო ისევ ბირთვისებს.
ო, მე არ მინდა მარტის ქარივით ვიყო სულელი,
გაზაფხულივით გამითბე გული, ღმერთო მაღალო!
მაღალი მთების მაჩუქე ისევ ნაზი სურნელი,
რომ სიყვარული იქნებ ამით მაინც დავღალო!
ჰე, ქარო ახლა შენთან მინდა მე საუბარი!
როდემდე შენში სანუგეშოს უნდა ვეძებდე?
მიმიღე, როგორც ბედგათელილი შენი სტუმარი
და მომიყევი გაზაფხულით სავსე ქედებზე.
გულის კანკალით მძიმე ცხოვრებას მივათრევ მარტო,
ჟამმა წამართვა დედაჩემის თბილი ნუგეში,
ღმერთო მაღალო, შენს სიკეთეს ყოველდღე ვნატრობ,
გთხოვ, არ დამტოვო მარტოობის მღვრიე გუბეში!
მსურს, გაზაფხულმა ისევ ჩამძიროს ლამაზ ფერებში,
კვლავ მაბრუებდეს გრილ მარანში ყურძნის ნაჟური,
რომ ამა სოფლის სიყვარულის მტკიცე კედელში
ჩემიც დაიდოს სიყვარულის ერთი აგური.

2013 წლის 27 მარტი

●

ეჰეი, მტკვარო! სიყვარულით დავრჩი სნეული,
მინდა ვიცოდე, რა ფიქრით ხარ ახლა გართული!
ერთი პატარა წვეთიღა ვარ შენი სხეულის,
სულს ამიკივლებს ფხაალესილი სიტყვა ქართული.
ვერ წაგვართმევენ სისხლით მორწყულ ნაცნობ ბილიკებს,
დაიგუგუნებს ერი, როგორც ზარზმის ზარები,
აღარ დასცვივათ მწუხარების ცრემლი ტირიფებს,
კვლავ დაიდგამენ ოფლიან უღელს ქედზე ხარები.
ამდენ ჟამთა ცვლას რომ გადაურჩი ბედის უცვლელად,
ვიცი, შვილები შენს მწუხარების ამბავს გვკითხავენ.
ჩვენც ხომ ვიქცევით ისტორიის ფერმკრთალ ფურცლებად
და მერე სხვებიც გულმოდგინედ წაგვიკითხავენ.

2013 წლის 22 სექტემბერი

●

მე მინდა შენი სიყვარულის მქანცავდეს გზები,
რომ დავიკარგო ამ ბილიკებზე დროში სავსებით,
რომ გაზაფხული გეყაროს მხრებზე, ვითარცა თმები,
მე კი მიყვარდე და მტკიოდე მთელი არსებით!

2013 წლის 10 მარტი

●

მზერას ვაყოლებ გაფრენილ ხოხობს,
მთებს ეხეთქება ქარების ტალღა,
ჩემი ოცნებაც გაფრინდა, როგორც
ნადირობის დროს შემკრთალი ღალღა.
ისევ სულს ვაწრთობ, ზრიალებს გრდემლი,
ჩემს ლექსებს ისევ მუზად ვჭირდები,
რა ვუყო, შენთვის გამიშრა ცრემლი
და გულის სითბოს ვერ დაგპირდები!
ღრუბლის საფარქვეშ შეჯერდნენ მთები,
გიცრუებ იმედს, გთხოვ, მაპატიო,
მე ახლა მხოლოდ ლექსებით ვთვრები,
შენ ჩემს ფიქრებში როგორ დაგტიო?
ბედის სანთელი კვლავ მარტო იწვის,
მინდვრებს დაფარავს მწვანე საბანი,
შემომაშველე სურნელი მიწის,
მაისის ცრემლით მკერდდანაბანი.
დამთავრდა ძვლებში თებერვლის გლოვა,
იებმა ჩემი სული აკინძეს,
მე დაგპირდები, რომ შენთან მოვალ
და სიყვარულით შეგხსნი საკინძეს.

2013 წლის 7 ოქტომბერი

სულს ამოსულო ლერწამო,
მითხარ, თავს როგორ ვუშველო?
უმალ სიკვდილმა შემჭამოს,
გაზაფხულს შევხვდე უშენოდ!
მძიმე ცხოვრებით დაზაფრულს
შუბლით ძვლებს მიმტვრევს ქარია,
შენ გაღმა ხვდები გაზაფხულს
და თმებში გიდგას დარია.
მე ისევ სუსხი მაწვალებს,
სხეულზე მიჩენს იარებს,
ჩემი ვენახის რტოები
ტირილს არ დააგვიანებს!
სუსხმა შემოსა სხეული,
მთებში სინათლე ჩაიქცა
და ჩემი სული, ეული,
მოჭრილ ხესავით წაიქცა.
მიწა მკერდს ითბობს ფოთლებით,
გული ცეცხლივით ანთია,
კვლავ ველოდები მოთმენით,
ისევ უშენო განთიადს.
დრო თავზე მათოვს ფიფქებად
და ბოლმით მივსებს ფიალებს,
ლამაზ სიცოცხლეს ჰპირდება
წვიმის ამბორი ლიანებს.

2013 წლის 19 დეკემბერი

სიმართლის კედლებს არღვევს ბზარები,
თუმცა სანთელი ბევრი ინთება.
ირგვლივ სიყალბის რეკენ ზარები,
ღმერთია მხოლოდ ჭეშმარიტება!
მარხვით იწრთობენ თითქოს და სულებს,
ლოცვით ხვდებიან ცეცხლოვან დილას.
მერე ბოროტად ლესავენ ცულებს
და ჩუქურთმიანს ლეწავენ ფილას.
მოკლდება ჩვენი ცხოვრების გზები,
საკუთარ ხელით ვამსხვრევთ დროებას,
როცა თოვლივით თეთრდება თმები,
ეს ნიშნავს ღმერთთან მიახლოებას!
არ არის სწორი ავკაცის ქება,
სწორია, როცა კარგისთვის ვომობთ,
ზოგჯერ ნახმლევი ჭრილობაც რჩება,
სიტყვით დაჭრილი არ რჩება მხოლოდ!
რომ წინაპრებთან ვიყოთ პირნათლად,
თავს შევუკივლოთ ხანდახან უნდა,
მოყვასისთვის რომ ავენთოთ სანთლად,
მაცხოვრის გზებით ვიაროთ უნდა!

2013 წლის 20 დეკემბერი

●

ეს ყველაფერი თამაშს ჰგავს თითქოს,
ეს ყველაფერი უბრალოდ ითქმის:
მე ვეძებ შენი სხეულის სითბოს,
რომ გადავურჩე ულმობელ სიკვდილს.
თოვლივით დნება ხელებში წლები,
დამთავრდა ჟამი უბრალოდ ფიქრის,
სადღაც იჭრება საფლავის ქვები,
მატარებელი მიქრის და მიქრის...
ეს ყველაფერი გაგრძელდა, რადგან
შენც გაგაოცა რელსების სიგრძემ.
ნუთუ თასები ძირს უნდა დადგან,
ჩვენ დასაჯიჯგნად სიძულვილს მიგვცენ?
საშინელ ტკივილს ვიკავებ მკერდით,
რომ ყველა ნატვრა დამენგრა სოფლის,
იების ჯარი ჩამივლის გვერდით,
მიწას რომ სუნი აუვა ოფლის.
შემოადნებათ მთებს თოვლი მხრებზე,
გვირილები რომ მოვლენ ტირილით,
კვლავ შემოვდგები გატკეპნილ გზებზე,
ბედის ძებნაში ლექსის ტკივილით.
მატარებელი, დრო, გზების სიგრძე, –
ო, ეს ტკივილი, ნერვების წეწვა!
ეს სიყვარულიც გულივით მიცემს,
ყოველ ღამეს რომ საწოლში მეწვა.
ეს ყველაფერი თამაშს ჰგავს თითქოს,
ეს ყველაფერი უბრალოდ ითქმის,
ეს გული შენგან განაჩენს ითხოვს,
შენი ფიქრი კი სულ სხვაგან მიქრის.

2013 წლის 25 დეკემბერი

დათოს ოპერაციის შემდეგ

ჩვენი გზები არ იყოფა არასდროს,
ძველ ნაკვალევს ვერ შლის თქეში წვიმისა.
მეგობრობამ ჩვენც სანთლებად აგვანთო,
სიყვარული მოგვცა მხოლოდ თილისმად.
გამშრალ მიწას კვლავ ასველებს დღეს წვიმა,
დრომ და ჟამმა ტკივილების რა იცის?!
შენს გულში რომ ჩაიხედა ექიმმა,
საქართველო დაინახა დავითის.
დგანან მთები, სიცხით გათანგულები,
მათ გარშემო სურნელი დგას მაისის
და ლექსებით უსველდებათ გულები
ყაყაჩოებს, მარაბდის და კრწანისის.
კვლავ ხმლებივით იმსხვრევიან დღეები,
მხოლოდ გული ჟამთა სრბოლას არ იმჩნევს
და გრანელის პოეზიის ფერები
შენს გარშემო ქსოვენ სევდის ხალიჩებს.
გონება და თვალი ახალ გზებს ეძებს,
კვლავ ლექსებით გადაპენტავ ბილიკებს
და ცრემლებით დაუსველებ ძველ კედლებს –
ბანას, ხახულს, ლაშთხვერსა და კვირიკეს.

2014 წლის 23 იანვარი

ჩემი დაბადების დღისთვის

წუთისოფლის შუა წელსაც გადავცდი,
მყეფს სატანა გესლიანი ქილიკით.
ვიცი, ღმერთი სიყვრულსაც დამაცდის,
არც წისქვილი არ იბრუნებს პირიქით!
ახლა სანთლებს ვანთებ უფრო ვედრებით,
მიყვარს ძმების შევერცხლილი ქოჩრები.
ახლა უფრო მღვრიე მომდის ცრემლები,
ბავშვობაში რომ ბრწყინავდნენ ოცნებით.
ნუთუ მთვარეს შუქი გამოელია,
ან ფიქრებით არ თვრებიან ქედები?!
ნუთუ შენი სიყვარული ძნელია?
და დროების მძიმე უღელს ვნებდები.
მომიტევეთ, თუ ეს წლების ბრალია,
გრძნობებს აჰყვე, ვიცი, უკვე ძნელია,
სადაც ჩემი წინაპრები არიან,
იქ იქნება ბოლოს ჩემი კელია!
ახლა წლების სევდაც შემომეჩვია,
წვიმაც უკვე სხვანაირად მასველებს.
ბოლომდე რომ ლეწო კალო, წესია,
მეც ეს გული ულექსოდ არ მასვენებს!

2014 წლის 25 იანვარი

●

მადლი გამიწყრა ბარაქის,
დღეები უღვთოდ მიქრიან,
ჩემი გზა გლოვა არ არის,
ჩემი გზა მხოლოდ ფიქრია!
გარწმუნებთ, ჩემი სულია
მთებს რომ ნისლებად აკვრია,
ბავშვივით უცნაურია,
ჯერ დაღვინება აკლია!
მივდივარ, წვიმის წვეთები
საამო შხეფებს ისვრიან,
ერთფეროვანი დღეები
რა საშინელი ტვირთია!
ვუკივლებ ვნებებს წამიერს,
მხრებიდან უცბად გავრეკავ,
ვიმღერებ მრავალჟამიერს,
ტაძრის ზარი რომ დარეკავს!
მოდგა ზღაპრები წელამდე,
რაც კი აქამდე მითქვია,
მე მაინც მოვალ შენამდე,
რადგან ჩემი გზა ფიქრია!

2014 წლის 6 თებერვალი

ისევ და ისევ ბანას

ბანაო, შენი ჯავრით არ გვძინავს,
ჩვენი ძვლებია შენი ლოდები,
შენს ნანგრევებში დავიდებ ბინას
და სიკვდილს იქვე დაველოდები!
მინდა, შენს კედლებს დავედო წამლად,
თუნდ დამაგლიჯონ მაშით ხორცები.
ცრემლებით სავსე თასს ავწევ მაღლა,
შენზე და შენთვის დავილოცები!
შენს ირგვლივ ჟამი სიმწრისგან გოდებს,
სხვა გზით წასულო, მართალ გზებიდან,
ნუ ჩამობერტყავ ჟანგიან ლოდებს,
აწ შემორჩენილ ბებერ მხრებიდან!

2014 წლის 6 თებერვალი

●

უშენოდ გულში მეყრება დანა,
დაღლილი გზების იხევა რიდე,
შენ უნდა იყო სიცოცხლის ყანა
და მე ამ ყანას საჩემოდ ვმკიდე!
სანთლის ცრემლებში იხრჩობა სული
და ვგრძნობ, ჯერ კიდევ არ არის გვიან,
როდესაც სხეულს აშფოთებს გული,
მას სიყვარული სახელად ჰქვია!
უამრავ ფიქრით დამძიმდა მხრები,
ჭალებში ისმის ხოხბის ყივილი,
სილამაზეა თუ ვისთვის გრემი,

ჩემთვის – სულის და ხორცის ტკივილი.
სიყვარულია, ვაზიც რომ ტირის,
მთები იხდიან თოვლიან ქუდებს,
მე ველოდები მარტო, ვით მწირი,
გაზაფხულს, ჩემი ტკივილის ბუდეს.
ვიქცევი მთათა მდინარედ უმალ,
გიჟი ტალღებით დავლეწავ კერპებს,
კალაპოტიდან გადმოვალ უხვად
და დაგისველებ ქათქათა ტერფებს!
ნუშის ხეს თეთრი ფიფქები სცვივა,
აპრილი ფანჯრის დაორთქლავს მინას,
ბავშვის ცრემლივით კამკამა წვიმა,
შენს თეთრ სხეულზე დაიდებს ბინას!
გაგიმეორებ, რაც სხვებსაც უთქვამთ,
აპრილმა ფრთები შეასხა ლერწამს,
გაზაფხულია და მისი სუნთქვა
მიწისძვრასავით გვანგრევს და გვლეწავს!

2014 წლის 6 თებერვალი

●

გაზაფხულთან ერთად სულიც ღელავს,
კარავს არხევს ცხელი სუნთქვა ქალის
და საამოდ ეფინება სმენას,
ღამის ტყეში მელოდია ქარის.
კვლავ ჩამოდგა მარტი, რეკავს ზარი,
გაცვდა თოვლი, როგორც ფეხზე წინდა,
თეთრ ყვავილებს გაიტაცებს ქარი
და მეც მათთან ვიფარფატო მინდა.
ლურჯი შუქი დაეკიდა ციდან,

იებს ყოფნის ჩაელეწათ ხიდი,
გაზაფხული გავაჩერო მინდა,
ის კი ისევ ძველი გზებით მიდის.
ტყე აყვავდა და იების ჯარი
შეეფინენ მინდვრებს, ქრება ბინდი,
თან მიჰყვება იებს ჩემი ჯავრი,
გაზაფხულიც ჩემგან ისევ მიდის,
გაშიშვლებულ მუხლებს ვთოკავ მზერით,
ვფარცხავ გულში გაქვავებულ ხნულებს,
დრო ოსტატის გაწაფული ხელით
თმებში მაქსოვს ჭაღარების წნულებს.
წლებმა ჩემგან ჩამობერტყეს ცუდი,
ჩემს ჭედვაში დაილეწა გრდემლი
და კაცობის დავიხურე ქუდი,
სუფთა, როგორც დედაჩემის ცრემლი.
ტყე აფეთქდა და იების ჯარი
დაეფინენ მინდვრებს, ქრება ბინდი,
თან მიჰყვება იებს ჩემი ჯავრი,
ჩემს ნუგეშსაც ჩაელეწა ხიდი.

2014 წლის 5 მარტი

დაბადების დღის მილოცვა

დღემ დაამსხვრია ღამის ურდული,
ცა თვალებს დაღლილ შველივით ნაბავს
და ყვავილები ნაზი ჩურჩულით
შენი გაჩენის ყვებიან ამბავს.

2014 წლის 15 ივნისი

●

დრომ ჩამიარა ამაოდ
აღარ მყავს დედა, მამაო,
ამ სოფლის ვერა გავიგე–
ჩემით იხარა სხვამაო.
ვახ! ეს ცხოვრება ყოფილა
ტანჯვა-წამება ამაო,
რომ გამაჩინა უიღბლო,
დრომ მარტოობით მჭამაო!
რამდენჯერ შენკენ ვიარე,
დამღალა გრძელმა გზამაო,
ძმისა რომ ვერა გავიგე,
ნუგეში მითხრა სხვამაო.
ზოგი რაღაც ვერ წამართვა
ბოროტების დიდ ზღვამაო
კვლავ სიყვარული მოყვასის–
ქეიფი, სმა და ჭამაო!
მიწას გამაკრა ბოროტმა
ისე, ვით გიგო თხამაო,
გამოღმით მიჯნურს ვეძებდი,
ის კი ყოფილა გაღმაო.
გთხოვ, მომიტევე, გამჩენო,
თუ კი მეტყობა დაღლაო,
ჩემს წინაპრებთან გამიშვი,
როცა წამიყვან მაღლაო!

2014 წლის 16 ივნისი

ხევსურეთში

გადავლახეთ თოვლიანი ქედები,
რწმენის ჩიხში მიმალული ძალებით,
ვიდექით და შევცქეროდით ერთმანეთს
მთების ეშხით გაჟღენთილი თვალებით.
შენ ჭაუხებს სიმკაცრეს ნუ დასწამებ,
რად გაქარწყლდა მაგ სახეზე ღიმილი?
წყაროს პირას სიყვარული მაჩუქე,
მთებს შეემსხვრას მარტოობის ტკივილი.
სად მიდიან ბილიკების ხლართები?
ცაზე მთვარე საცერივით ჰკიდია,
ჭაუხებთან მე ლექსებით დავთვრები,
სადაც თოვლი მყინვარების ხიდია.
ჩემს ნაკვალევს მიწა მკერდზე ინახავს,
თვალებიდან ნისლებს ხელით ვიცილებ,
ღამე სუსხს და ყინვას უბით მინახავს
და კბილებით ვლეწავ ძვლებში სიცივეს.
მე ვარ მთების განუყრელი ნაწილი,
სადაც სიკვდილს ეფერფლება ნუგეში.
ხევსურეთი – ფეხადგმული ყმაწვილი,
ჯიხვის სუნთქვა ჭაუხების უბეში!
ძლივს წავართვი მთებს დაღლილი სხეული,
მხრებს ილეწავს კლდეზე ორბის კივილი,
ხევსურეთი – ჩემგან რჩება ეული,
ხევსურეთი – ჩემი გულის ტკივილი!

2014 წლის 31 ივნისი

უიმედო სიყვარული

ჩვენ სამშობლოს სიყვარული გვაწვალებს,
აქ არა გვაქვს არაფერი საწილო,
ძველი ეშხი კვლავ ამშვენებს შავ თვალებს
და ეს გულიც ძველებურად ყმაწვილობს.
ვერ მოგტაცე სანატრელი ნუგეში
ზაფხულიდან ზაფხულამდე წვალებით.
ლამაზ სიტყვებს ვინახავდი უბეში,
სიყვარულს კი გიგზავნიდი თვალებით.
მოდის მარტი, უშენობა ძნელია,
გულში გაწყდნენ გალეული სიმები,
ეს თვალებიც იმნაირი სველია,
როგორც ხავსით დაფენილი ტინები.
მე იქ წავალ, სადაც შენი ფიქრია,
მთებში, სავსე მშვენიერი ფერებით,
იმ ბილიკებს, რომლებზეც შენ გივლია,
ვაკოცებ და ლექსით მოვეფერები.
მოდი ჩემთან, რომ ხელი ხელს ჩავკიდოთ,
სამყაროში დროა მკაცრი ბატონი,
ერთმანეთის ვიყოთ ტკბილი აკიდო,
სიყვარული იყოს ჩვენი პატრონი!
ჩვენ სამშობლოს სიყვარული გვაწვალებს,
აქ არა გვაქვს არაფერი საწილო,
ძველი ეშხი კვლავ ამშვენებს შავ თვალებს,
გული ისევ ძველებრუად ყმაწვილობს.

2016 წლის 9 ივლისი

დავითის ფრესკას

გელათში შენი სული დავითობს,
სამეფო ხალათს მოსავს ქიტონი,
სიჩუმე ბოჭავს ბრჭყალებით დიდგორს
და აღარ ისმის მსხვრევა ლითონის.
კედლის ფერები ისე გახუნდნენ,
რომ მათი აღქმა უკვე ძნელია,
სისხლი შეახმათ რკინის ჩაფხუტებს,
შენს ხმალსაც საქმე გამოელია.
სანთელი ოდნავ ბჟუტავს ნიშიდან,
ჩაიწვა ცეცხლი, ჩაქრა ღადარი.
რად დაცხრა ჟინი, ბრძოლის ყიჟინა,
ან ევდემონი ჩუმად რად არი?
ტაძარში მზის სხივს უჭირავს სივრცე,
ჟანგის უბეში კვნესის ლითონი,
შენ გული ისევ ბრძოლისთვის გიცემს
და სანთლის შუქზე ბრწყინავს ქიტონი.
ო, იცრემლება ჩემი სანთელი
და ყვითელ ცრემლებს ხელებზე მაღვრის,
სიცოცხლით მავსებს ფრესკის ნათელი
შენი მამულის ლოცვაში დაღლილს.

2016 წლის 6 აგვისტო

●

როცა გული სიყვარულით მთვრალია,
ჩემს სამშობლოს ლექსით ვუთხზავ არაკებს.
არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ ვალია,
ამას ჩემი სისხლი მალაპარაკებს!
მე არავის არ დავუთმობ ჩემს მიწას,
სადაც ჩემი მამა-პაპის ძვლებია
და თუ მტერი ამ ძვლებს მაინც შებილწავს,
მაშინ დედის რძეც შხამად შემრგებია!
ჩემი სისხლი, ბრძოლით მონაპოვარი,
წინაპართა ძვლებზე ცრემლად იწვიმებს,
გულში მიკრავს გრძნობით „შეუპოვარი“
და მიფარავს, როგორც კრუხი წიწილებს.

2017 წლის 15 იანვარი

●

კვლავ თეთრ კაბაში ვნახო ტყემალი,
ღმერთს ვევედრები ხელებაწვდილი.
მთებია ჩემი გზის ხერხემალი,
მთებია ჩემი სულის ნაწილი!
გულს მაშინ მითბობს ჩემი მიზანი,
გარს რომ მარტყია სქელი ნისლები,
მე ფიქრებშიც ვარ მთების ხიზანი
და გრძნობებისგან მათთან ვიცლები.

2017 წლის 26 იანვარი

მცირდება კვლავაც შენამდე სივრცე,
ო, დღესაც ისევ საშინლად წვიმდა.
არ მინდა თავი ოცნებებს მივცე,
სადაც არ ვარ, იქ ვიყო მინდა!
ტყლაშუნობს ტალღა ფიქრების ზღვაში,
მთებზე კი უკვე სუსხია თოვლის,
გიყურებ, როგორც ვარსკვლავებს ბავშვი,
ვარდის რტოსავით ნაზსა და მოვლილს.
ვნებდები სურნელს წაბლისფერ თმების,
მე უშენობა ყოველთვის მწყინდა
და თვალებით ვკრეფ სილურჯეს მთების,
სადაც არა ვარ, იქ ვიყო მინდა!
მე მენატრება შენი ღიმილი
და ვეკითხები შენს ამბავს ნისლებს,
რომ მოვაშორო გრძნობებს ტკივილი,
კვლავ ვასუფთავებ ობიან სიზმრებს.
მიდის ზამთარი ოხვრით და ხვნეშით,
სადღაც ღრუბლებში დამრჩა ნუგეში,
სძინავთ სტრიქონებს დაღლილი გეშით,
ობოლ ლეკვივით ეზოს კუთხეში.
გზა სიყვარულის, გზა შორეული,
ველარ ვამტვერე დაღლილ ტერფებით
და აპრილივით ცრემლმორეული,
მე შენს ლოდინში ჩავიფერფლები.

2017 წლის 2 თებერვალი

ცამ ჩამოყარა თეთრი ფიფქები,
დამთავრდა ღამე სამგლოვიარო,
ისევ მანგრევენ მძიმე ფიქრები
და ოცნებებში დავბორიალობ.
იქ, ხეობებში, ჩაწოლილ ნისლებს
ისევ უჩემოდ დასდით ცრემლები,
ვიღაცა ლექსით სამშობლოს მიქებს
და იხსნებიან ღვინის ქვევრები.
ქარი ესტუმრა პირქუშ მწვერვალებს
და მეც სიცივემ ტანში გამჭოლა.
დღის შუქზე ძველი თოვლი ელვარებს –
სიზმრად ქცეული ჩემი ბავშვობა.
მზეს სხეულიდან სისხლის სდის თითქოს,
მთები გაეხვნენ ნესტიან ნისლში,
აქ, სიცივეშიც, ვპოულობ სითბოს
და არ მაწუხებს სიკვდილის შიში.
შენ ცივ ბილიკზე შემეფეთები,
სადაც სურნელი მეფობს მაისის
და კანკალებენ ბროლის წვეთები,
მწვანე ფოთლებზე ედელვაისის.
ირგვლივ ტრიალებს აჩრდილი ქორის,
საღამო ნათელს ცელივით თიბავს
და ჩაღამებულ ხეობებს შორის,
სიკვდილთან ერთად სიცოცხლეც მიმაქვს!

2017 წლის 3 თებერვალი

●

ძვლებში დაიმტვრა სიცივე
ქარი მინდორზე ნავარდობს.
გულისტკივილი ვიცი მე,
როდესაც მარტი თამადობს.
ქაფმორეული მდინარე
ფეხდაფეხ მომდევს ხმაურით.
აქედან გამომდინარე,
ერთმანეთს გვერდს ვერ ავუვლით!
მზე კვირტებს ხეთქავს სხივებით,
იღვრება სითბო სხეულის,
გოგლას ნაქები იებით
ივსება პატარძეული,
გაზაფხულს ვხედავ, სწადია
შენთან ბავშვივით თამაში.
ეს მარტი მძიმე დარდია,
ვით სარეველა ყანაში.
მინდა, რომ ისე გაკოცო,
იებმაც თავი დახაროს.
რომ ჩვენს გარშემო მძინარე
ავახმაურო სამყარო.
თოვლივით დნება გრძნობები,
ირგვლივ ცვენაა ფერების,
სურვილს წინ რად ეღობები?
დროა კოცნის და ფერების!

2017 წლის 9 თებერვალი

●

აპრილი მთა-ბარს ითვისებს,
რომ ახდეს ჩვენი მიზანი.
წამო, ვესტუმროთ ბირთვისებს
და გავხდეთ მისი ხიზანი!
სითბო ვაღვაროთ ულევი
ზამთარგამოვლილ ბილიკებს
და გავუხაროთ გულები
მინდვრად დაფენილ გვირილებს.
მეც, იქ რომ წვანან ლოდები,
მათგან გათლილი ფილა ვარ,
მე შენ იქ დაგელოდები,
რომ გითხრა, როგორ მიყვარხარ!
ჩამოიმუხლებს აპრილი
ციხის კედლებთან გოდებით,
მე უშენობით დაღლილი,
ბირთვისთან დაგელოდები!

2017 წლის 18 თებერვალი

●

მივტირი გრძნობებს გათელილს,
ქარებმა ნისლები დაფანტეს.
ჩამოიღვენთა სანთელი,
სული ფოთოლივით ფარფატებს.
მივყვები მწევარივით ნაკვალევს,
ცა უჟმურ წვიმას მპირდება,
გთხოვ, სიყვარული მაცალე,

ჰაერივით რომ მჭირდება!
უკვე ცრემლის დრო წავიდა,
გლოვა და მუხლების კანკალი,
სიცოცხლეს დავიწყებ თავიდან,
თუ უარით არ დამკალი.
მითხარ, გულს როგორ ვუშველო,
მყვირალობას რომ გეძახი,
ყოფნა იგივეა უშენოდ,
ვით გაჩეხილი ვენახი!
ჩამოდგა მაისი კრიალა,
ფანტავს გაცრეცილ ბარათებს,
მე ისევ მტკივ იარა,
სული ფოთოლივით ფარფატებს.

2017 წლის 20 თებერვალი

●

დავდივარ მარტო, ვით მაწანწალა,
ვაზის რტოს ცრემლი ღვარღვარით მოსდის,
მე მონატრების სევდამ მაწვალა,
ეს გაზაფხულიც უშენოდ მოდის!
ჩემი ფიქრების ცივი ზამთარი
ახლა ჩემგანაც ნელ-ნელა მიდის.
ჟამი მიკივის, როგორც აფთარი,
უიღბლო მონას დამდგარი ბინდის.
მე აღარ ვიცი გაკოცებ როდის,
ან შენი ეშხი როდის გამათბობს?!
ამ გაზაფხულსაც გავცვითავ ლოდინს

და დეკემბერში ისევ დამათოვს.
კვლავ უშედეგო ფიქრებით ვმარგლავ
ზამთრის უბეში ჩარჩენილ ლოდინს,
უკვე იწყება ახალი დაღლა,
გაზაფხული რომ უშენოდ მოდის!

2017 წლის 23 თებერვალი

ღვინობისთვე

ღვინობისთვე შემოსულა,
ქარი კივის სარკმელთან,
ცივი ღამე ატუზულა
ჩემი სახლის კარებთან.
ღვინობისთვე მიყვარს, რადგან
ღვინო მირჩენს იარებს.
საწნახელში დაჭყლეტილი
ყურძნის სუნი ტრიალებს.
მასპინძელი გრილ მარანში
დოქს ღვინით რომ გაგივსებს,
ეღვიძებათ თაროებზე
განსხვავებულ სასმისებს.
სურნელბით გაჟღენთილა
ყველა კუთხე მარნისა,
ეს ძვირფასი საჩუქარი
ვაზმა კვლავაც გვაღირსა!
მეფერება ღვინობისთვე,
შხეფებს მაღვრის ღვინისა,
ჩემს გარშემო ეს დღეები
არის ტკბილი თილისმა.

ჩემი ქვეყნის მთა და მდელო
ხალხში ცხოვრობს არაკად,
ღმერთო, მუდამ საქართველოს
მიეც ღვინის ბარაქა!

2017 წლის 28 სექტემბერი

●

ცამ ჩამოყარა თბილი სხივები
და წარბებივით შეტოკდნენ ზვრები.
ზამთარს დაუწყდა სულში სიმები
და გაზაფხულმა გაშალა მხრები.

2017 წლის 15 დეკემბერი

●

თეთრი ბარაქით აივსო მთები,
ნისლის უბეში გმინავს ქალაქი,
მარტის ლოდინით დამძიმდნენ მხრები,
სუსხია ახლა ფერთა დალაქი.
ჩემი ოთახი სველ ბოლმას იტევს,
მხოლოდ იმედი ოდნავღა მათბობს,
ზამთარი ამსხვრევს იისფერ მითებს,
პატარა კნუტი თამაშით მართობს.
ღამე დაეშვა ქალაქის მკერდზე,
ოთახი ღელავს ისე, ვით ტალღა
და სანამ დილა დადგება ფეხზე,

იწყება სულის უშენოდ დაღლა.
მომწყინდა თეთრი ფერების ცქერა –
ყინვა, თოვლი და ქარის თარეში.
მე გაზაფხულის დღე მიყვარს ქერა,
ფერთა სიუხვე შენს ლურჯ თვალებში.

2017 წლი 15 დეკემბერი

●

ზამთრის სუსხით დაზაფრული,
გრძნობებს ვთოკავ, რა ხანია!
ოხ, ეს ლურჯი გაზაფხული
ჩემი სევდის აკვანია!
ეს აპრილიც სითბოულევ
იებს დედას დააფიცებს.
და მეც, როგორც ფურისულებს,
გაზაფხულით გული მიცემს.
სევდა ყელში მომებჯინა,
დრო მოსულა უკვე ლოცვის,
მე შენს მკერდში ვპოვებ ბინას,
მერე ვეღარ მნახავთ მოცლილს!
მთებში ნისლი აიწეწა,
მარტი მიმტვრევს სულის კარებს.
სუსხს ნეკნები დაელეწა
და შეალღვა ცრემლი თვალებს.
დრო ფერების დარბაზია,
მარტი – სუსხის დასასრული...
და შენსავით ლამაზია
ეს წარმტაცი გაზაფხული!

ვაზს მაისი ურწევს აკვანს,
ცა ზრიალებს, როგორც გრდემლი.
იები მზეს სცემენ თაყვანს
და გვირილებს მოსდით ცრემლი.
ვისთვის ტკბილი ზმანებაა
თოვლის, ყინვის დასასრული,
ჩემთვის სულის წამებაა
ეს წარმტაცი გაზაფხული!

2017 წლის 16 დეკემბერი

●

მინდა ვიტირო, მაგრამ ვერ ვტირი,
გული გაქვავდა, როგორც კლდე სალი.
საწყლად ვაგდივარ გამხმარ ბელტივით,
ჩემი წინაპრის ძვლებზე შემკრთალი.
მინდა, ცრემლები ვაღვარო მიწას,
მიწას, დარჩენილს უსიყვარულოდ,
თუმცა სიკეთე მე მაინც მიცავს,
რომ მინდა, ისე ვერ ვმხიარულობ.
ჩვენ ქართველობით უნდა ვფასობდეთ,
თუმც ბევრმა მწარედ დაგვაღალატა.
ვალდებულნი ვართ ყველას გვახსოვდეს
რას შეეწირა ცოტნე, პაატა!
ნუთუ ჩვენს მხრებზე სახლობს ბოროტი,
სიკეთე თითქოს სიკეთეს არ ჰგავს?
ჩვენ თვითონ ვანგრევთ ნათელ მოლოდინს,
ჩვენს საფლავებზე ხეს ვიღა დარგავს?

ვაი, შენ, ჩემო საწუთროს ხვედრო,
გამთელე, როგორც ლეკმა ნაბადი,
მტერს უმალ ხმალი მსურს დავახვედრო,
მეც ცოტნეს მსგავსი ვარ დანაბადი!
მინდა ტირილი, მაგრამ ვერ ვტირი,
გაცვდა ნერვები ცხენის ნალივით.
ვხედავ, სიკეთეს უზის წერტილი,
მეც დრომ გამთელა იმ ნაბადივით.

2017 წლის 19 დეკემბერი

●

ეს წლები ისევ მიდიან სადღაც
და მიაქვთ მხრებით დროის სიმძიმე.
მე შენ ფიქრებში ფრესკებად გხატავ
და დღეებს ვითვლი, როგორც წიწილებს.
შარაგზა მაინც გრძელდება, მიდის,
კვლავ უშედეგოდ გეძებ დ გეძებ.
საღამოვდება, ტყვე ვხდები ბინდის,
არ ვიცი, ამას როდემდე შევძლებ!
როცა სხივები ქარგავდნენ ფერებს
და ნაპრალებით კვნესოდა მიწა,
მე შენი სუნთქვით ვითბობდი ხელებს –
ქედებზე ლურჯი აპრილი იწვა.
კვლავ მარტოობის მორევში ვრჩები,
იმსხვრევა ბედის ყოველი ფილა,
ეს გაზაფხულიც ტანჯვაა ჩემი.
ფიქრების უბე – ნათელი დილა.

წლები კი ისევ მიდიან სადღაც
და მიაქვთ მხრებით დროის სიმძიმე,
მე შენ ფიქრებში ფრესკებად გხატავ
და დღეებს ვითვლი, როგორც წიწილებს.

2017 წლის 30 ივლისი

●

თოვლი და ყინვა უკვე მითია,
ფრთების ტკაცუნით მოდის აპრილი.
მე შენზე ფიქრი სანთლად მინთია
და ხანჯალივით გულს მაქვს გაყრილი.
მწვანე სამოსელს იცვამენ მთები,
ძველ თოვლს ეხვევა ტანზე ჭიები.
ნუთუ გაზაფხულს უშენოდ ვხვდები,
ნუთუ ტკივილით მოვლენ იები?
ქარი დალალებს უწნავს გვირილებს,
ჭალას მოედო ხოხბის ყივილი.
მარტი რომ ძველ თოვლს გამოიტირებს,
მაშინ იწყება გულის ტკივილი.
ცაზე მზე მწკრივში დააწყობს სხივებს
და მწვანე ქედებს ცრემლებად დაღვრის.
აპრილი ზრუნვას არ აკლებს იებს,
ჩემი კი სულაც არა აქვს ჯავრი.

2018 წლის 18 იანვარი

დედის საფლავთან

მზემ ჭიუხებს დაათოვა სითბო,
წვიმამ თვალებს ჩამორეცხა სევდა.
მაშინ, სწორედ, მაისის თვე იყო,
ამ სოფლიდან რომ წახვედი, დედა!
ეს ის დროა, როცა მწვანე ფარჩა
აყვავებულ მინდვრებს რარიგ შვენის,
ამ სოფელში მძიმე დარდი დამრჩა
და უზომოდ მონატრება შენი.
ცივ ქვაზეც კი თვალებში გაქვს სითბო
და ღიმილი მეტად ბევრის მთქმელი.
მივდივარ და მიმაცილებს თითქოს,
ისევ ხდება უშენობა ძნელი.
ჩუმად ვდგავარ და ფოთლების შრიალს
ვუსმენ, სუნთქვა შეუწყდება როდის?
შავ მიწაზე ჩუმი მზერა გდია,
როგორც ციხის ჩამოშლილი ლოდი.
ეს დღეც ჟამმა გაიტაცა უბით
და საღამოს შერჩა ჩემი სევდა.
მაისის თვე იყო მაშინ ცუდი,
ამ სოფლიდან რომ წახვედი, დედა!
ჩემში თითქოს მოკვდა ლექსის ჭია,
ვერ შევძელი, ვერ გითხარი მეტი.
ის სიტყვები ახლაც უქმად ყრია,
ვით მიწაზე მობნეული ფეტვი.
ვიცი, ჩემკენ კვლავ გიჭირავს თვალი,
იქაც ჩემთვის სანთელივით იწვი,
ამ სოფელში სიზმრები ვართ მკრთალი,
ხორცი ჩვენი ნაწილია მიწის.

სხივი უკვე მიმკრთალ ნათელს ხარჯავს,
ეს დღეც კვდება, როგორც თეთრი გედი.
მე კი ისევ გამუდმებით მტანჯავს
შენი თბილი მონატრება, დედი!

2018 წლის 27 იანვარი

●

ამ ცხოვრებაში რამდენი რამე ჩვენ გვიხარია,
ამას, უბრალოდ, ამ სტრიქონებში მე ვერ ჩამოვთვლი.
არ გვიყვარს, როცა ჩვენს გარშემო ცივი ქარია,
ხან კი ჭორისგან უშველებელ ამბავს გამოვთლით.
გვიყვარს, როდესაც ქალი ლამაზ ღიმილს გვიგზავნის,
არ გვსიამოვნებს ჩვენს სურვილებზე ცივი უარი.
ხანაც წაგვიღებს ბუმბერაზი ტალღა სიბრაზის –
ნიჭიერი და ჩვენზე კარგი ვინმე თუ არი.
არ გვსიამოვნებს, როცა ვინმე გვარიგებს ჭკუას,
ამას მოჰყვება: ჩხუბი, ყვირილი, დავიდარაბა,
აბა, მითხარით ნორმალური ქმედება თუა
ჭეშმარიტებას ჯვარზე ვაცვამთ, ვუშვებთ ბარაბას,
მაგრამ, რა ვუყოთ, ცხოვრება ხომ მაინც ტკბილია?!
სიკეთეს ხშირად თან დაყვება მძაფრი ტკივილი.
სწორედ, ამიტომ გაიმეტეს დიდი ილია!
შურმა და ღვარძლმა დაავიწყა ტუჩებს ღიმილი!
ერი კი მაინც კვლავ ლაღი და ლამაზი რჩება,
ციხე-ტაძრები გუგუნებენ, იმსხვრევა რული,
ნაიარევი ნელ-ნელა ისევ ხორცდება, რჩება,
მძინარე იებს გააღვიძებს კვლავ სიყვარული.

2018 წლის 30 იანვარი

●

მკერდშელეწილი ბირთვისი გოდებს,
მისი ტკივილი ჩვენი მარცხია,
კლდეთა თხემებზე შერჩენილ ლოდებს
ზედ წინაპრების სისხლი აცხია.
ვერ მოვუარეთ ამ ციხეს მოშლილს,
სიკეთეს მხოლოდ ფიქრებში ველით,
შეუპოვარის ამაყი კოშკი –
ახლა ინგრევა ქართველის ხელით.
ცრემლებით ვამკობ ძირს დაყრილ ლოდებს,
მათ ტანზე ხავსის აკვრიათ წყლული.
ციხის კედლებზე ხმამაღლა გოდებს
ნაზალ თორელის მებრძოლი სული!
ვუყურებ კედლებს, ცრემლები მომდის,
მსურს, გავაღვივო შენში ყმაწვილი,
შენი კედლების კირიც და ლოდიც
ერის სხეულის არის ნაწილი!

2018 წლის 5 მაისი

●

წლების ფუჭად ფლანგვა გრძნობას სევდით ავსებს,
ჟამი გარდასული, ჩემში მწარედ სახლობს.
ღმერთო, მიპასუხე, ასე რად გამწირე,
რატომ არ მამყოფე მუდამ მასთან ახლოს?
ახლა ჩემს გრძნობებში ისევ ზამთარია,

ცრემლით დაინამა თეთრი გვირილები.
ჩვენი სიყვარული უკვე გამქრალია,
შენმა გახსენებამ შობა ტკივილები.
თუმცა ის წუთები ისევ მწარედ მახსოვს,
ახლა ფიქრებიც კი ჩემგან მიდის მდორედ.
ხატის წინ დამხობილს ბოლმა-ცრემლი მახრჩობს,
რომ შენს სიყვარულს ცივად განვეშორე.
წლებმა მარტოობის მძივი შემაბნია,
ახლა სულს მიწეწავს მწარე სინანული.
ველზე ენძელები ჩუმად ჩურჩულებენ, –
როგორ მივატოვე შენი სიყვარული.
ახლა ეს შეხვედრა ჭექა-ქუხილს ჰგავდა
ქარმა დაუხეთქა ნისლებს ლაყუჩები.
ჟამმა რომ ინებოს უკან დაბრუნება,
ჩემს გულს უეჭველად იმ წლებს ვაჩუქებდი!

2018 წლის 21 მაისი

●

დილის მზემ მინდორს თვალები მოსჭრა,
ჩემს გრძნობებს ტაძრის ჩუქურთმით ვერ ვღლი.
ოსტატს მარჯვენა არ უნდა მოჭრა,
თუკი მან შექმნა უკვდავი ძეგლი!

2018 წლის 3 თებერვალი

კვლავ დედის ხსოვნას

წუთისოფელი მიდის, ტრიალებს,
წარსული მწარედ მახსენებს დედას.
ვიცი, მოვირჩენ მაშინ იარებს,
რომ შევეყრები სიკვდილის სევდას.
ნუთუ გაქრება ეს ყველაფერი,
მიწის ბელტებად იქცევა სევდა?
ჩემთვის არ დადგა დრო შესაფერი,
მე უშენობამ დამღალა, დედა!
შენს საფლავს ცხელი ცრემლები აწვიმს,
შავი ღრუბლებით აივსო სივრცე,
მეფერებოდი დიდს, როგორც ყმაწვილს,
მე გული ახლაც წარსულით მიცემს.
რაც უფრო მტვირთავს ცხოვრება წლებით,
უშენოდ ყოფნა მაწამებს მკაცრად.
ღამეს მოსავდი თეთრი ზეწრებით,
რომ მოყვასისთვის გექცია კაცად.
ხსოვნის სანთელი მოწყენით იწვის,
ვერ ჩავწვდი შენი სულის სიდიდეს
და ეს პატარა ნაგლეჯი მიწის
დედი, ყოველთვის მჩუქნის სიმშვიდეს!

2018 წლის 8 თებერვალი

●

მე ძველებური სიმძაფრით მიყვარს ყოველთვის შენი
წამწამთა ჩრდილში მიმალული ფარული მზერა.
მალე გვირილებს ღაწვებს დაულბობს საამო წვენი,
შავ თმებიდანაც გადმოიღვრება დღეები ქერა.

2018 წლის 11 თებერვალი

●

მწარედ მახსოვს შენთან განმარტოება,
როცა ხავსი მოეკიდათ სველ ტინებს.
და პირველად მაშინ ვაზის რტოებმა
ჩემთან ერთად ცხარე ცრემლით იტირეს.

2018 წლის 12 თებერვალი

●

შემოდგომამ კვლავ ფერები არია,
ცოდნის ყანა ისევ მოსამკელია.
მიმავალი დრო ოცნების ბზარია,
ხორცი არის ჩემი სულის კელია.

2012 წლის 19 ოქტომბერი

●

ჩვენი გზა ხომ ანბანია ქართული,
გადამიხსენ გული, დედას ვახარო.
მე ამ გზებზე ფიქრებით ვარ გართული,
ღრუბელივით მაწევს მხრებზე სამყარო!

2012 წლის 19 ოქტომბერი

●

მოულოდნელად დაგეკონე მწიფე ტუჩებში,
უეცრად შეკრთი და თვალებიდან ცრემლად იწვიმე.
გახსნილ საკინძეს შემოაცვდა მზერა უხეში,
შენი სხეული მკლავზე ნაზად გადავიწვინე.
მერე თვალებში მდინარისებრ აიმღვრა გზები,

გზები, რომლებზეც მოლოდინი როგორ გაკმარო?!
უცნაურ ხმაზე ღაღადებდნენ უსულო ქვები,
რა საოცარი იყო მაშინ ჩემთვის სამყარო!

2013 წლის 16 მარტი

●

ვიღას უქებ ლექსს შავთელო,
ნუგეშს ვთოკავ მხოლოდ ძველით.
ვაი, ჩემო საქართველო,
გაყიდულო ძმათა ხელით!
ძმა ძმას ურტყამს შურის მახვილს,
ისევ რწყავენ კრწანისს სისხლით,
გენს და ჯილაგს ვხედავ დაღლილს
და მტრებისთვის ველარ ვიცლით!
თუმცა მტერზე რისხვაც ვიცი
და კვლავ მიმაქვს მხრებით ლელო,
ჩემი სისხლიცა და ხორციც
შენ გეკუთვნის, საქართველო!
ჩემი მთების მკერდზე მინდა,
ღამე კვლავაც გავათენო,
მტერი ვჩეხო ბასრი ხმლით და
შენთვის მოვკვდე, საქართველო!
ჩვენი გენი რას არ უძლებს,
მაინც შერჩათ ფრესკებს ფერი,
სისხლით ნაწერ უკვდავ ფურცლებს,
ბასრი დანით ფხიკავს მტერი.
ისევ ამღვრევს იორს გესლი,
ხავსი ფარავს ოშკს და ბანას
და შენს მკერდზე უცხო თესლი
სათავისოდ ლეწავს ყანას.

გაგვისხვისეს მთა და მდელო,
მოგხვევია ტანზე გველი.
ვაი, ჩემო საქართველო,
შველა გინდა და ვერ გშველი!

2014 წლის 17 ივლისი

გილოცავ დაბადების დღეს

გეტყვი, რომ მიყვარხარ ბავშვივით,
იების სურნელით ავსილო,
ლამაზ გზას ღმერთისკენ მიჰყავხარ,
ორგულთა მჩეხველო მახვილო!
ცამ ღამის თვალები მოფისა
ალბათ, დღეს შენა ხარ ამაყი,
ვალად გაქვს სიკეთე სოფლისა
და დარდს ღრუბელივით გადაყრი.
არასდროს მუხლი არ ჩაგხრია,
ბაგეზე სულ დაგყვება ღიმილი
ახლაც დღევანდელ დღის სახლია
დედის ის საამო ტკივილი.
ელავს, შემოდგომა გვმასპინძლობს,
ბაღში აწ მეფობენ ფერები,
იებმა გული არ გატკინოს,
სულ მალე კვლავ მოეფერები,
დრო ხომ გზის დასასრულია,
ღრმა რწმენით მომავლის შემყურეს
ეს დღე ხომ შენი სულია
სიყვარულით ხნავ ჩვენს გულებს.

2017 წლის 7 სექტემბერი

●

დღეს მინდა ძლიერ დავსველდე წვიმით,
სველი ქუჩების ვიგრძნო სურნელი.
წვეთები, როგორც სხივები დილის,
მკოცნიან, როგორც ქალის ტუჩები.
დღეს მინდა წვიმით დავღალო ფიქრი,
ჩუმად სისინებს მტკვარი, ვით გველი.
სველი სხეულით სიპ ქვებზე მიჰქრის
და უბით მიაქვს ამბები ძველი.
შეცივნულ კედლებს აყრია ხორკლი,
ცას თითქოს ნესტის აცვია ჩოხა,
ტანზე ჩამოსდის მტკვარს მღვრიე ოფლი
და მესმის მისი ტალღების ოხვრა.
ახლა მე სველი სამოსიც მათბობს,
გულში მეღვრება ქუჩების სითბო,
წვიმა კვლავ ნელი მუსიკით მათროობს,
სხვა სამყაროა ჩემს ირგვლივ თითქოს.
დღეს ქუჩებს ჰქონდათ სხვაგვარი ხიბლი,
მათ მკერდზე იწვა ფიქრების ტივი
და წვიმაც იყო საოცრად თბილი,
ვიღაცისთვის კი – საშინლად ცივი,
ეს, ალბათ, იყო განგების ნება,
მე და თბილისი დავსველდით ერთად,
წვიმით ვიგრძენი მე დიდი შვება,
რადგან დღეს წვიმა ვიწამე ღმერთად!

2015 წლის 13 ოქტომბერი

ზურას ხსოვნას

უცბად რა მეხი გავარდა,
ჩაგვიქრა ერთი სანთელიც,
ჩვენს ჯიშს და ჯილაგს დააკლდა
ერთი ლამაზი ქართველი!
ცრემლი სდით გზებს და ბილიკებს,
რტო გახმა შენი ვენახის,
შენ სხვა მიწა ვერ მიგიღებს,
მესხეთის მიწა გეძახის!
კვლავ შენს ასპინძას ევლები,
მტკვრის ტალღებს მზერით აცილებ,
ცამ გაგატანა ცრემლები,
მტერსაც ჯინაზე აცინებ.
მზე ჩაქრა ამაყ ქედებზე,
შენს გზას დაადგა ნათელი.
და შენი ხსოვნის კედელზე
მუდამ ენთება სანთელი!
სახსოვრად დაგვრჩა წარსული,
და მონატრება ძლიერი,
საფლავის ქვაში ჩასმული
ვაჟკაცი მესხის იერი.

2014 წლის 20 სექტემბერი

ოდესღაც

ოდესღაც სული გასცდება სხეულს,
მაგრამ სიკვდილი ამას არ ჰქვია!
იქ აღარავინ დაგტოვებს ეულს
და დამთავრდება ეს ანარქია.
დასრულდა ღამე, ფიქრების თოვა,
დილა ნაცნობი ფრაზით ციტირებს.
როგორც ყოველთვის, აპრილიც მოვა,
ვაზის ყვავილიც ისევ იტირებს.
სხივები თოვლის სახლებსაც დაშლის,
ქარები ლერწმებს მოხრიან წელში,
ქვაში ჩამწყვდეულ თვალებსაც წაშლის
ციდან მოსული წვეთების თქეში.
დღე გათენდება ახალი მისთვის,
ვინც თავს დაიხსნის ფიქრის ციხიდან.
და ჩემს საფლავზე დარგული ბზისთვის,
მადლობას ვეტყვი ყველას იქიდან!
ჩემს ნაკვალევსაც ლექსით წაშლიან,
ჟამი დალეწავს სულის პილონებს.
უჩემოდ ბევრჯერ სუფრას გაშლიან,
ვინ იცის, მერე ვინ მომიგონებს?!
სული გასხლტება ტანჯვის მახედან,
დახუნძლულია ღამე ფიქრებით.
სიკვდილს თვალებში ურჩად ჩავხედავ,
თუ გვჯერა, რომ იქ ერთად ვიქნებით!

2015 წლის 30 აპრილი

●

ეს მერამდენე წელია მტკვარი
ნაცნობ ნაპირებს ჯიქურად უტევს.
აღარ გუგუნებს ხახულის ზარი
და მის გარშემო სიჩუმე სუფევს.
შენთან საუბრის ვკარგავ მოლოდინს,
ეგ მდუმარება არაფერს მოგვცემს,
რადგანაც ისევ გვბოჭავს ბოროტი
და სხეულიდან გვაგლეჯენ ხორცებს.
მითხარი ბედი გველის როგორი?
მიამბე წლების მრავალი სევდა.
მეც იმ დღეს შენებრ დავრჩი ობოლი,
განგებამ როცა წამართვა დედა.
მტკვარი კი ისევ რჩება ეული,
ტალღებში კვლავაც სიცოცხლე სუფევს.
და მიაქანებს მღვრიე სხეულით
ბოღმით და სევდით გატენილ უბეს.

2015 წლის 12 მაისი

●

ხალისით უტევს მერცხალი ტალღებს,
ზაფხული წინ აქვს ჩვენთან ყოფნისა.
განგება აღებს დალუქულ კარებს
და გზას მიგრძელებს წუთისოფლისა.
დავხედავ იებს, მინდვრად მოფენილს,
საამო ნექტარს სვამენ ფესვები,

უცნაურია ხომ ეს სოფელი?!
მე მაინც მომწონს მისი წესები!
ჩემი იმედი არის მერცხალი,
მოაქვს ფერებით სავსე ზაფხული,
რადგან შემოდის კვლავ უეცარი
ვნებები, ჯერაც ფიქრში ჩაფლული.
შემოდგომაზე წავა და ვიცი,
ზამთართან ისევ მარტო დავრჩები
და შენს სარკმელზე დაფენილ ნათელს
დაფარავს ისევ სქელი ფარჩები.
უცნაურია, რომ ეს სოფელი
ხორცებს მაგლეჯავს ბასრი კბილებით,
ხან მეფერება, როგორც მშობელი,
მის წესებს მაინც ვემორჩილები!

2015 წლის 18 მაისი

●

დამთავრდა ღამე, როგორც ზღაპარი,
დილას შეასკდა თვალების სევდა.
სიზმარი ენთო, როგორც ლამპარი
და მამხნევებდა ღიმილით დედა.
იქნებ არ იყო ესეც სიზმარი,
ტიკტიკებს თავთან მჭახედ საათი.
მაშინ, განგებავ, ჩუმად მითხარი,
როგორ დავხიო სევდის ბარათი.
ჩემი სხეული ციხეა ჩემი,
ვერ გადავლახავ ამ მტკიცე საზღვარს,
მიაპობს ტალღებს ტკივილის გემი

და არ აპირებს ფიქრების დაღლას.
შეფუთულია გზა რუხ ნისლებში,
სადაც მარტოა აჩრდილი ჩემი
და უშენობით დაღლილ ფიქრებში,
მთელი არსებით შემოდის გრემი.
ღამე კი ისევ ტკივილით მავსებს,
როგორც ხანჯალი, მერჭობა სევდა
და საოცარი ღიმილით სავსე,
კვლავ მეფერება სიზმარში დედა.

2015 წლის 5 ივლისი

●

თუმცა დრო ცვითავს სიცოცხლეს,
გზამ ჯერ არ უნდა დამღალოს,
ძმებო, ჩემთვისაც ილოცეთ,
რომ არ დავაკლდე სამყაროს!
იები აღარ ხუმრობენ,
ნისლები მთებზე წვებიან,
მიწის ქვეშ რომ ხმაურობენ –
მამა-პაპათა ძვლებია!
ო, ცრემლო, წვიმად მოსულო,
მკერდს რომ უსველებ სამყაროს,
მე ისევ ერზე ვლოცულობ,
ღმერთმა ტანჯვა რომ აკმაროს!
კვლავ წვდება ისევ გონება
მდინარის ცისფერ სათავეს.
ვაი, რომ ჩემი ცხოვრებაც
ოდესღაც უნდა დამთავრდეს!

ჰოდა, ამ ლამაზ სიცოცხლის
თუ დაასრულებ გზას, გულო,
გთხოვ, დედასავით მიტირო,
ჩემო ცაო და მამულო!
გული არ ჰკარგავს სინორჩეს,
რომ წლებმა აღარ დამღალოს,
ძმებო, ჩემთვისაც ილოცეთ,
რომ არ დავაკლდე სამყაროს!

2015 წლის 25 ივლისი

თიკო კოგიძეს

ჩვენ მოგონებად დაგვრჩა მაისი,
მთაწმინდის მკერდზე წევს ნოემბერი.
მაგრამ გულს მაინც შერჩა ხალისი,
თუმცა მთაწმინდა არის ბებერი.
ნოემბრის ღამე იწვის და გოდებს,
გაცრეცილ ფერებს შლიან ტერფები.
შენ ჰგავხარ ტაძრის გაცრეცილ ლოდებს,
სულ სიყვარულში რომ იფერფლები.
თუმცა ზამთარი თავისას ითხოვს,
იები შენში ცოცხლობენ მუდამ.
წვიმის წვეთებიც გპარავენ სითბოს
და მათაც შენთან თამაში უნდათ.

2015 წლის 25 ნოემბერი

●

ჩაღამებულა სველ ფიქრში სევდა,
მარტოსულ ოთახს არ ყოფნის სითბო,
კვლავ ძველებურად მიღიმის დედა
და ბავშვობაში ვსახლდები თითქოს.
მე კვლავ ამ სოფლის უღელი მადგას
და ძვლებში მამტვრევს სევდა ფარული.
ვეღარ დავკეცე ეს გზები, რადგან
ვერ ამოვხსენი ეს სიყვარული.
სულის კანკალით ვაგროვებ მუზებს,
შიგ ჩავაქსოვე წლების ჩურჩული.
ჩემს ლექსებს მტრულად სატანა უმზერს,
სტროფებს კბილებით მაგლეჯს ურჩხული.
მე პოეზიის მტევნებს ვკრეფ მარცვლად,
წინაპრის ხანჯალს ვლესავ მუზებით,
რომ მოფუსფუსე ფუტკრების ნაცვლად,
არ ჩაგვისახლონ სკაში ბუზები.
მოდის კვლავ მძაფრი დრო სიყვარულის,
იმსხვრევა სევდა მტრის აბჯარივით,
გული კი რჩება კვლავ გაბზარული,
ჩემი ლექსებიც დუღს მაჭარივით.
მე შენი სუნთქვა მაგონებს აპრილს,
მსხვერპლს გადევნებულ ჩალისფერ ძერას,
ვიღა გამითბობს უშენოდ დაღლილს,
თოვლში ჩარჩენილ, გაყინულ მზერას.
ო, ეს აპრილიც რა მალე მოვა,
დრო – ჩემი სულის ტანჯვა ფარული,
იქნებ დასრულდეს უშენო გლოვა,
იქნებ ამოვხსნა ეს სიყვარული!

2015 წლის 30 დეკემბერი

ციხის კედლებთან ნაპოვნი სიყვარული

ჩემს წინ ჩაივლი უცნობი გეშით,
გამოგაყოლებ მეც მზერას ფარულს
და ახლაცა ვსვამ ოცნების პეშვით
ციხის კედლებთან ნაპოვნ სიყვარულს.
მე ის დღე მახსოვს, რომ შეგხვდი ბედად,
და ახლაც შენკენ მოფრინავს სული,
ჩამომაძენძავს ფრთებს შავი სევდა
და შენთან მოსვლა გახდება რთული.
შენს სიყვარულში დღესაც მაქვს დაღლა,
შენთვის სიტყვებიც ვპოვე ქებული.
ის სიყვარული მაცოცხლებს ახლაც,
ციხის კედლებთან დაბადებული!
დადგა აპრილი, რეკენ ზარები
და ცაც ბავშვივით გვიღიმის თითქოს.
მუხლებზე მდგარი გემუდარები –
მაჩუქე შენი სხეულის სითბო!
ციხის კედლებთან მე ის დღე მახსოვს,
ო, ის დღე მახსოვს, საოცრად თბილი,
შენი სურნელი ჩემს გულში სახლობს
და იმის მერე გამიკრთა ძილი.
მეც შენთან მაშინ მოვედი გეშით
და შეგაგებე მზერა ფარული,
აწ შენს სიყვარულს დღესაც ვსვამ პეშვით
და გული შენით მაქვს გაბზარული.
დადგა აპრილი, რეკენ ზარები,
და ცაც აენთო ცეცხლივით თითქოს,
მუხლებზე მდგარი გემუდარები, –
მაჩუქე შენი სხეულის სითბო!

2022 წლის 15 თებერვალი

პაემანი რუსთაველზე

ქუჩა ძველი მელოდიით მათროობს,
ქარი ცეკვავს, ეს ტანგოა ნელი.
მარტოდმარტო რუსთაველზე ვდგავარ,
რა ხანია, პაემანზე გელი.
არ ვუყურებ ქალებს, გვერდზე ვუვლი,
ველოდები შენს ცეცხლოვან ამბორს,
სიყვარულით დაფლეთილი გული
საგულედან ამოვარდნას ლამობს.
გაცოფებულ ტალღებს ებრძვის გემი..
მკერდზე აწევს ზღვას ქარიშხლის დამღა
და შენდამი სიყვარული ჩემი
ჰგავს ცუნამის უზარმაზარ ტალღას.
კივის ქარი, აფქრვევს გესლს და ჯავარს,
ქუჩას ტანზე მოეხვია მტვერი.
რუსთაველზე მარტოდმარტო ვდგავარ,
რა ხანია, პაემანზე გელი.
გაწოლილა ქუჩა, როგორც გველი,
ეს ხმაური თითქოს სადღაც გაქრა.
მე ვარ შენი სიყვარულის გემი,
შენ ამ გემზე თეთრზე თეთრი აფრა.
არ ვუყურებ ქალებს, გვერდზე ვუვლი,
ველოდები შენს ცეცხლოვან ამბორს,
სიყვარულით დაფლეთილი გული,
საგულედან ამოვარდნას ლამობს...

2022 წლის 15 მარტი

●

მოდის აპრილი, სულიც გახევდა,
და ცოცხლდებიან ფერები მარდად.
ნეტავ, ჩემს გულში ჩამოგახედა,
მერე მიხვდები ყველაფერს, ალბათ.
მომენატრები, ცხელ ცრემლებს დავღვრი,
მტანჯავს აპრილიც, შენსავით თბილი,
და თუ მაკოცებ, არ მომკლავ ჯავრით,
მთელი ცხოვრება შენი გზით ვივლი.
ისევ აივსო ცრემლებით პეშვი,
გული შენს სითბოს ჩიტივით კენკავს,
და სიყვარულის სიმაღლე ჩემში,
სახლობს და ტაძრის ზარივით რეკავს.
მთის მდინარე ხარ, სიცოცხლის არსი,
სამყაროს სუნთქვა, მუზების დედა,
რომ გამირბიხარ ჩხრიალით ბარში,
თან მიგაქვს ჩემი თვალების სევდა.
შენ ხარ სიცოცხლე, ტკბილი ტკივილი,
ედემის ბაღი, ვაშლის ხით – არა.
ჯოკონდას მზერა, მისი ღიმილი,
და შენ გეკუთვნის ეს გული მარად.
შენი სახლი ვარ, იქ გმალავ მუდამ,
რომ არ შეგეხოს სუსხი და ქარი,
გულს მუდამ შენი ალერსი უნდა,
უფრო მეტი ხარ შენ, ვიდრე ქალი.
საიდუმლო ხარ შენ ფარდებს იქით,
რომელსაც ფარავს ორმაგი ფარდა,
წითელი ღვინით ავსილი ჭიქით,
სხვა ქალებს არ ვცნობ,
შენ ერთის გარდა.

მოდის აპრილი, სულიც გახევდა,
კვლავ ცოცხლდებიან ფერები მარდად.
ნეტავ, ჩემს გულში ჩამოგახედა,
მერე მიხვდები ყველაფერს, ალბათ!

იმ ღამის ქალბატონს

მე გთხოვთ არ მკითხოთ რამე,
მაგრამ თქვენ მაინც მკითხავთ.
რად მიყვარს ასე ღამე,
ვერ ვპოვე შესაფერი სიტყვა.
ვბორგავდით ნეტარების ზღვაში,
ორივე, ვით ტალღები ვნების.
ღამე ჩაიფერფლა, ჩაქრა,
ახლა ამ ამბავს ვყვები.
მე ისევ ღამის მოსვლას ველი,
რომ კვლავ ჩაგიხუტო ტკბილად.
ის კი ყმუის, როგორც მგელი,
ფიქრებს უმოწყალოდ სცივათ.
ახლა ღამე გახდა ჩემი
ტკბილი ნეტარების უბე,
რადგან დღეს ამრეზილი ვხვდები
მახრჩობს ჯავრის ცივი გუბე.
ო, რა ტკბილი იყო ღამე,
შენც რა ტკბილი იყავ მაშინ.
ფიქრით ვაჩერებდი წამებს,
როგორც უდარდელი ბავშვი.
რომ არ გამიმრუდდეს გზები,
ის ღამე დამიბრუნე, ღმერთო!
სიყვარულს გამოესხა ფრთები,
და ღამეც ლამპარივით გვენთო.

●

ქვეყნად არავის, მხოლოდ შენ გელი,
ჩემი ოცნება შენთან ბალახობს,
შენი მზერა და ამბორი ცხელი
დალეწავს ყინულს, თოვლსაც გაადნობს.
ჩემს წინ სამყარო შაშვივით გალობს,
თითქოს ერთი მთა კოცნის მეორეს,
მიყვარხარ! ჩემო ოცნების ქალო,
– მიყვარხარ! – მთებმაც გაიმეორეს.
მე მწყურვალი ვარ, დაგეძებ ხვნეშით,
რადგან კამკამა ხარ ოაზისი,
ეს სიყვარულიც ბობოქრობს ჩემში,
როგორც მთებს შორის შმაგი ფაზისი.
თეთრ ყვავილს გვათოვს მარტი ფიფქებად,
ფოთლებში დაჰქრის ნიავი სხარტად
და როცა ღამე სანთლად ინთება,
ეგ შენი სახე წინ მიდევს ხატად.
მარტმა ენძელებს გადაჰკრა შოლტი,
შენ სახესავით ცაა ნათელი,
სანამ ამ სოფლის ვარ ნედლი ტოტი,
შენთვის ვანთივარ, როგორც სანთელი.
ზამთარმა უკვე გალეწა კალო,
თოვლი შეაცვდა პირქუშ ხეობებს,
მიყვარხარ! ჩემო ოცნების ქალო,
– მიყვარხარ! – მთებმაც გაიმეორეს.

2022 წლის 20 მარტი

●

დედამიწაზე სიცოცხლე დუღს, იცვლება წელიწადის დროები, ჩვენი ძირითადი საარსებო წყარო კი სიყვარულია ამ ქვეყანაზე.

სიყვარული ალამაზებს მთელ სამყაროს, ამაღლებს ჩვენს ზნეობას, ამაგრებს სიცოცხლის ფესვებს და აძლიერებს მას.

რა ლამაზია გაზაფხული, როცა მიძინებული ბუნება იღვიძებს, გაბედულად იშლებიან მცენარეები წელში. მთელი დედამიწა ათასნაირი ფერებით არის მორთული.

ადამიანებიც საოცრად ლაღები ვხდებით გაზაფხულობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვერდზე საყვარელი ადამიანები გვყავს. ჩვეულებრივზე მძაფრად შევიგრძნობთ ფშატის სურნელს, უფრო ლამაზად აღვიქვამთ ვარდისფრად აფეთქებულ ატმის ყვავილებს, თეთრად შეპენტილ ტყემლისა და ნუშის ხეებს. ცხოვრება კი მკაცრია თავისი სასტიკი განაჩენით, რომელიც, როცა არ ელოდები, მაშინ დაგატყდება თავზე და ხელიდან გამოგაცლის შენთვის ძვირფას ადამიანს. იცი, რომ ის აღარ არის, გენატრება, მაგრამ უძლური ხარ. ისიც ხომ განგებაა, რომ ჩამოგიქროლებს უცბად და შორს წაიყვანს შენგან მეგობრებს, ახლობლებს. ჩალის ქოხივით დაგილეწავს მეგობრობის მყუდრო სახლს, ისე ცივად, უგულოდ, რომ არც შეგიცოდებს.

ო, როგორ მინდა დედამიწა პატარა იყოს, ისეთი პატარა, რომ ჩემს საყვარელ ხალხთან ახლოს ვიყო, ხშირად ვიხილო და მოვეფერო მათ, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ხდება. რას იზამ, განგებაა ყველაფერი...

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი ამ ქვეყანაზე

უსიყვარულოდ, მაშინვე მიხვდებით, თუ რა სიმარტოვეში აღმოჩნდებით. თუმცა გარშემო ზღაპრული სილამაზეა და სიცოცხლე ფეთქავს. ამიტომაც, ყველაფრის თავი და თავი სიყვარულია და სილამაზესაც მაშინ აღიქვამ, როდესაც გული ამ გრძნობით გაქვს სავსე. გული, რომელიც მუშტის ხელაა, მაგრამ განუსაზღვრელი მოცულობის სიყვარულის გრძნობას იტევს თავის პატარა პარკუჭებში.

სიყვარულია სიცოცხლის საწინდარი ამ ქვეყანაზე. თაობებს აგრძელებენ ახლადდაბადებული ადამიანები, მაგრამ ის მტკიცე, სწორი ხიდი, რომელზეც მათ უნდა გაიარონ, ჩვენ, უფროსი თაობა ვართ. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისინი, თორემ თუ ეს ვერ შევძელით, სიცოცხლე კი გაგრძელდება, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორი იქნება იგი, როგორ აღვზრდით ჩვენ ახალ თაობას და როგორ წარმართავენ ისინი თავის წუთისოფელს. ამიტომ დასაწყისშივე უნდა ჩავთესოთ მათში სიყვარულისა და სიკეთის მარცვალი, რომელიც უნდა გაღვივდეს, მტკიცე ფესვები გაიკეთოს და ლამაზად აღმოცენდეს. უნდა დავუნთოთ გულში ისეთი დიდი ცეცხლი, რომ ცხოვრების ბოლომდე შეუსუსტებლად ენთოს და იქიდან გადმოხეთქილი სითბო ირგვლივ ათბობდეს ყველას და ყველაფერს. ეს არის მთელი ჩვენი ცხოვრების არსი, სიცოცხლის უმთავრესი და აუცილებელი ხერხემალი.

1999 წ. 2 ოქტომბერი

●

დღევანდელი ცხოვრების დიდი დამსახურებაა, რომ ბედმა მცირე ხნით საბურთალოს რაიონის სასაფლაოზე გადამისროლა სამუშაოდ. არ იფიქროთ, რომ მე ეს მეთაკილება, არა, უბრალოდ დავრწმუნდი, რომ ჩემთვის ეს საქმე შესაგუებლად ძნელი ყოფილა.

ეს დღეც ჩვეულებრივ დაიწყო. მზის სხივები საფლავებზე გადაფარებულ ნაძვებს სეტყვასავით ეყრება თავზე. უკვე მერამდენედ გავცურდი ფიქრების მორევში და ამიტომაც ჩემი ადგილსამყოფელი დროებით მიმავიწყდა.

ანაზდად ქალის ხმამ გამომიყვანა ფიქრებიდან. უეცრად გამიკვირდა და უცნაურადაც მომეჩვენა საფლავების გარემოცვაში ყოფნა, მაგრამ ისევ უცბად ჩავჯექი გონების კალაპოტში. იქვე ახლოს, სასაფლაოზე, შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი იდგა. ახლაც არ მახსოვს რა მკითხა, ან მე რა ვუპასუხე. ერთი კია, რომ მისი ჭირის მოზიარე უნებურად მეც გავხდი. იგი არ ტიროდა, მაგრამ გატანჯული სახე და თვალები იმდენ მწუხარებასა და ნაღველს გამოხატავდნენ, რომ ვფიქრობ, ადამიანს მისი სიტყვიერად გამოთქმა გაუჭირდებოდა. რომ ეტირა, მე ალბათ არ მივაქცევდი ყურადღებას, რადგან სასაფლაოზე ეს ამბავი ჩვეულებრივია და სამწუხაროდ, უხვადაც არის. ჩემი ყურადღებისა და სულის შეძვრის მიზეზიც სწორედ ეგ იყო, რომ ცრემლების გარეშე, უხმოდ, სახის ნაღვლიანი გამომეტყველებით თქვა ყველაფერი.

ქალმა სანთელი ჩაარჭო მიწაში ჩასმულ ჯვართან ახლოს, ასანთი აანთო და სანთელს მოუკიდა, მუხლებში ჩაიკეცა და თავჩაღუნული დაჰყურებდა მის წინ ოდნავ ამობურცულ, ლამაზად გამოყვანილ მიწას. იქ მისთვის

ძვირფასი ადამიანი იწვა, ხორცი იწვა სულს გაშორებული. როგორ აკლდა მას ეს ადამიანი. რა ძვირფასი იყო მისთვის. ვინ არის ეს ადამიანი მისთვის, არ ვიცი. ღმერთმა გაუნათლოს მისი სული!

უცბად ნიავმა დაუბერა, სანთელს ალი მოსტაცა და თავზე მომწვარი ძაფის ანაბარა დატოვა. ქალმა კვლავ აანთო ისე, რომ თავი ოდნავაც არ აუწევია მაღლა. ამასობაში ნიავიც ჩადგა. იგი დაჰყურებდა ყვითელი ალით აბრიალებულ სანთელს, რომელსაც ნელ-ნელა უქრებოდა სიცოცხლე. ქალიც სანთელთან ერთად იწვოდა. მე მომეჩვენა, რომ ქალი უცბად გამოეყო ამ სამყაროს და რაღაც განზომილებაში მარტო დარჩა. ირგვლივ კი სიცოცხლე დუღდა. ცა კამკამა ლურჯი იყო და საოცრად ლამაზი.

ამ დროს იქვე ახლოს მტრედი მოფრინდა. ჯერ კიდევ ნახევრად ცოცხალ ყვავილებზე დაჯდა და ჩაუნისკარტა. რამდენიმე მეტრით წინ რომ გადმოიწია, მერეღა იგრძნო ადამიანის სიახლოვე. ფრთები ააფართხუნა და ლაღად აიჭრა ცაში. ქალმა თვალი ააყოლა. ნეტავ რა გაიფიქრა? ვინ იცის! სანთელი ჩაიწვა, ჩაქრა, რომელთან ერთად მეც ვენთე, ოღონდ მე დავრჩი ისევ უხილავი ალის ქვეშ ანთებული და ცხოვრების სიმკაცრის ამ ერთმა ეპიზოდმა ცოტაოდენი შიშიც მომგვარა თითქოს.

შავებში ჩაცმული ქალი გზაზე ჩავიდა. გააჩერა მიკროავტობუსი, სალონში შევიდა და ჩემი თვალთახედვიდან გაქრა. მე მომეჩვენა, რომ ქალმა ისეთი მძიმე დარდი შეიტანა მიკროავტობუსში, რომ მანქანასაც გაუჭირდა თითქოს მისი დაძვრა და წაღება.

ფიქრებიდან უცბად გამოვედი. გული კი დამწყდა, რომ ვერ ვანუგეშე, ან კი რით მენუგეშებინა, არ ვიცი. ერთ რამეში კი ისევ ღრმად დავრწმუნდი, თუ როგორ ვაკლებთ

ადამიანები ერთმანეთს სიყვარულს. სიყვარულს, რომელიც გულში მაჭარივით გვიდუღს და თუ არ გადმოიღვარა გარეთ, როდემდე გავუძლებთ, ძნელი სათქმელია.

ადამიანებო, მოხსენით გულებს ბოქლომი და დალეწეთ, სანამ გვიან არ არის, თორემ ჩამოგვიქროლებს ჩვენი ბედის საბოლოო განაჩენი და ამქვეყნიურ ცხოვრებაში არარაობად გვაქცევს. მერე კი გვიან იქნება, გვიან!

2000 წ. 21 ივნისი

●

ოდითგან დღევანდლამდე, რაც ადამიანი გააჩინა მაღალმა ღმერთმა, მივყვებით ჩვენი წუთისოფლის ვიწრო ბილიკებს და როდესაც წინ რაიმე დაბრკოლება გადაგვეღობება, არასასიამოვნოდ განვეწყობით მაშინვე, მაგრამ გვავიწყდება, რომ ეს ყველაფერი ღმერთის ნებაა და ყოველივე ჩვეულებრივ უნდა მივიღოთ. ამისათვის დიდი რწმენაა საჭირო, რომ იმ დადგენილ ზღვრამდე მივიდეს ადამიანი, რისკენაც მოგვიწოდებს მაღალი ღმერთი. ნუთუ არ გვყოფნის ეს ძალა?! ნუთუ ამდენი რწმენა არ გაგვაჩნია? ალბათ, არა! რადგან ჩვენ უმეტესად საკუთარ თავზე ვფიქრობთ. გვავიწყდება, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალიან გვიყვარს და მათი ნახვა დიდ სიხარულს მოგვანიჭებს. მხოლოდ ხანდახან, როდესაც სანათესაოში, საახლობლოში ვინმე დაგვეღუპება, მაშინ შევხვდებით დიდი ხნის უნახავ სახეებს. გავიხსენებთ ერთმანეთს, მოვიკითხავთ და ცხელ საყვედურებს ვიტყვით იმ უყურადღებობის გამო, რომელიც

ამ დღემდე გამოვიჩინეთ. თავს დამნაშავედ ვიგრძნობთ, მერე კი მტკიცე პირობას დავდებთ, რომ ასე აღარ მოვიქცევით, მაგრამ როგორც კი დავშორდებით ერთმანეთს და ჩვენს ნაჭუჭში დავეტევით, მერე თითქოს გულიც გაცივდება და როგორც ბარში ჩამოსული მდინარე წვიმის შემდეგ, ჩვენი ცხოვრებაც ისე მდორედ დაიწყებს დინებას. ვწუხვარ, რომ ასე ხდება. ღმერთო, მოგვეცი ძალა, რომ ერთმანეთს სიყვარული არ მოვაკლოთ!

გამოვუარე ნაცნობ და დროის მიერ გაპარტახებულ, უპატრონოდ დარჩენილ ჩემთვის უსაყვარლეს ადგილებს, ახლა სევდის მომგვრელად და საცოდავადღა რომ გამოიყურებიან. მოვდევ ჩემი ბავშვობის ძველ, ნაცნობ ბილიკებს და გონებაში თანდათან ამოდის წარსულს ჩაბარებული ბევრი ლამაზი საათები, დღეები და უეცრად მიპყრობს საშინელი სევდა. პესიმიზმის ბასრ ბრჭყალებში ვექცევი, საიდანაც მიჭირს გამოსვლა.

ამ ფიქრებში ისე გავლიე ეს ნაცნობი, ძველი გზა, ვეღარც კი შევამჩნიე, როგორ მივადექი ჩემთვის ყველაზე უძვირფასეს და უსაყვარლეს განძს, მშობლების საძვალეს. აი, შემომანათა დედაჩემის ოდნავ გაღიმებულმა, სიკეთით სავსე სახემ, სიკეთით სავსე თვალებთან ერთად. გვერდს უმშვენებს მამაჩემიც, მუდამ ზვიადი, სამართლიანი, უბოროტო კაცის სპეტაკი სახით. გაცხონოთ ღმერთმა! უკვე ძალიან მენატრებით, ძალიან მიყვარხართ, ძნელი ყოფილა უთქვენობა.

ჩემო დედა, ახლაც შენი გვარის ოჯახში, ჭირის სუფრაზე ვიყავი და იქიდან მოვდივარ. შენმა დიდმა სიყვარულმა შემაძლებინა შენი გვარისა და ნათესაობისადმი დიდი სიყვარული, მათზე რომ ყოველთვის კრუხივით იყავი გადაფარებული. ყოველი მათი ტკივილი შენი ტკივილიც იყო. ახლა მეც ასე ვარ და ყოველთვის ასე ვიქნები!

ოქტომბრის მზით გამთბარ ქვაზე ჩემთვის ორ უძვირფასეს სურათს ერთხელ კიდევ თვალებით მოვეფერე, პირი ვიბრუნე და ნელი ნაბიჯებით გავუყევი ჩემი ცხოვრების დარჩენილ გზას, რომელიც ამქვეყნიურ წუთისოფელში გადის. ზოგან სწორია, ზოგან კი – უსწორმასწორო, დაბრკოლებებით სავსე. ჩვენ კი აუცილებლად უნდა დავძლიოთ ეს ყოველგვარი დაბრკოლება, რამეთუ ღმერთმა, სწორედ, ამისთვის გაგვაჩინა ამ მკაცრ და საოცრად ლამაზ წუთისოფელში!

2001 წ. 2 ოქტომბერი

●

ქუჩაში მიდის ფეხმძიმე ქალი, საოცრად მშვიდი სახით და ანთებული თვალებით. ის მალე დედა უნდა გახდეს, დედა – საწყისი და წყარო სიცოცხლისა. ლამაზად უნდა დაბადოს მან თავისი პირმშო, მომავალი ჩვენი ერისა. შემდგომში უნდა გაიზარდოს ეს პატარა და გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოვიდეს დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე. ამ ხელოვნებაში დიდი ნიჭია ჩაქსოვილი ჩვენი გამჩენის მიერ. მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ასე ლამაზად დაბადებულიდან მხოლოდ მცირედნი არიან ისეთები, როგორიც ჩვენს მოყვასს, ერსა და ბერს უნდა.

ადამიანებო, შეხედეთ ღმერთმა რა ლამაზად შექმნა ეს ქვეყანა! რა საოცრად ლამაზია სიცოცხლე, ჩვენი წუთისოფელი, ჩვენ კი რა აუტანელი გავხადეთ იგი!

2002 წ. 27 მაისი

●

ამ ბოლო დროს გული სულ ტყეებისკენ და მთებისკენ იწევს, სადაც მეტწილად სიმშვიდე სუფევს. ეს ულამაზესი და უმშვენიერესი ადგილები მეტწილად მარტონი არიან, მე კი, იქნებ, როგორც კამკამა წყალში ნავთობის ლაქა, ისე ვჩანვარ ამ ხეობებს შორის, მაგრამ, რა ვქნა, რომ მიყვარს იქ ყოფნა?!

აგერ, კამკამა წყალში, ანკესი ჩავუშვი, რომელიც მაშინვე შეირხა და ტივტივამ წყლის ქვეშ ჩაიწია. ამოვწიე ანკესი წყლიდან, რომელსაც ბუნების მშვენიერი ქმნილება ამოჰყვა. შავწინწკლებიანი კალმახი პატარა გუბეში ჩავსვი და გარშემო ქვები შემოვულაგე. მცირე ხნით მის წინ ჩამოვჯექი და ფიქრებში ჩავიძირე. საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი და სულს შვება მზის სხივებივით მოეფინა. სამწუხაროდ, ჩემთვის ეს შვება მხოლოდ ასეთ მაღალმთიან ადგილებშია უხვად. ქალაქი, საზოგადოების თავშეყრის ადგილები, აუტანელი გახდა. მეც დროებით გამოვშორდი ქალაქში გამეფებულ ბოროტებას და აქ, მყუდრო ადგილებში, ვეზიარე სიმშვიდეს, მაგრამ იქნებ მე თვითონ შემოვედი ამ მყუდრო ადგილებში, როგორც ბოროტება. ამის გაფიქრების მერე მომეჩვენა თითქოს იდუმალებით მოცული ვეება მთები შეიშმუშნენ, მხრები აიჩეჩეს და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ვინ არის ეს უსუსური არსება, სიმყუდროვე რომ დაგვირღვიაო... უცბად კალმახმა გაიფართხალა გუბეში და მის წინ მჯდომარეს სახეში წყლის წვეთები მომესხა. დავხედე ამ მშვენიერ ქმნილებას, რომელსაც მე გადავუკეტე მის სამყაროსაკენ მიმავალი გზა, სადაც იგი თავს საუცხოოდ გრძნობს. ლურჯი ცასავით კამკამა ცივი წყლის ზვირთებში ჯიქურად რომ მიი-

წევს, რაც შეიძლება მაღლა და საკმაოდ ძნელ წინააღმდეგობებს ლახავს. შეუპოვარი – გავიფიქრე უცბად, ეს სახელი უნდა ერქვას ამ არსებას. ეს ხომ წმინდა ქართული ხასიათია: სიჯიუტე, შემართება და ბრძოლის დიდი უნარი. რა გასაკვირია, ის ხომ თეძმის კამკამა ტალღების ბინადარია! თეძამიც ხომ ქართული მიწის მკერდზე მოაშხივლებს თავის გიჟმაჟ ტალღებს. ასე არ არის? ასე, ასე! თითქმის ყველა არსება, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობენ შეხედულებითაც და ხასიათითაც, თუ გამოცდილი თვალი შეხედავს, მიხვდება, რომ ისინი ჩვენ გვემსგავსებიან და, რა გასაკვირია, რომ კალმახიც ჩვენ დაგვემსგავსოს. არა და რა ძლიერი გრძნობაა თავისუფლება, რომელიც მამაზეციერმა ყველას ერთნაირად გვაჩუქა! კალმახმა ისევ მძლავრად გაიფრთხიალა, მაგრამ ვერ დააღწია თავი იმ აუტანელ პირობებს, რომელიც ჩემის წყალობით შეექმნა. ისევ ღრმა ფიქრებში ჩავიძირე. ვთქვათ, მგელი ან დათვი გამოვიდა ტყიდან და შემჭამა, ეს ხომ საშინელებაა, მაგრამ მეც ხომ იმისთვის დავიჭირე ეს ლამაზი არსება, რომ შევჭამო. ესე იგი მეც საშინელებას ჩავდივარ? ღმერთო, მაპატიე, კაცი რას არ გაიფიქრებს! არა, ეს ბოროტება არ არის, ის ხომ მგელია და შია. მაგრამ მეც რომ მშია, რა ვქნა?

ფართხალებს კალმახი ქვებს შორის და ეძებს გზას თავისუფლებისაკენ, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ნუთუ ამ ლამაზ არსებას იმის გულისთვის უნდა წავართვა თავისუფლება და მერე სიცოცხლე, რომ უნდა შევჭამო. აუჰ! ეს რამხელა პრობლემატური ფიქრები ამეკვიატა, თუმცა რატომ პრობლემატური, მეც ხომ მიყვარს სიცოცხლე და თავისუფლება.

მოგრიალებს თეძმის კამკამა ტალღები ჩემს წინ. გრძნობს თევზი, რომ მასთან სულ ახლოს არის მდი-

ნარის გრილი ტალღები, მაგრამ ძალიან გემრიელი და მსუყე საჭმელია, რა ჩემი ბრალია?! მოდი, ამ დღეს ცოტა სხვანაირად მოვიქცევი. იმედია, ღმერთი გამიგებს და შემიწყნარებს უცნაური ენერგიით რომ დავიტვირთე და სურვილი გამიჩნდა ჩვეულებრივ წესს ვუღალატო. ამის გაფიქრება და გუბურას ქვები ფეხით მოვაცილე. კალმახმაც არ დააყოვნა და უმალ ამოხტა პატარა გუბიდან მშრალზე, რომელიც ერთი მეტრით აშორებდა კალმახს მდინარის გრილ ტალღებამდე. რამდენიმე გაშმაგებული გაბრძოლება და კალმახმა შეახო ლაყუჩები თეძმის ტალღებს. როგორც კი თავის სტიქიაში იგრძნო თავი, უმალვე გაუჩინარდა მდინარის სიღრმეში. გულზე მომეშვა. ავდექი, გრილი წყალი სიცხისგან გახურებულ სხეულზე უხვად შევისხი. მესიამოვნა. სისხლი გამიგრილდა და გულმა საამოდ დაიწყო ძგერა. რა ლამაზია სიცოცხლე! შევხედე ირგვლივ ამ საოცარ ხელით შექმნილ სილამაზეს, სადაც ჯერ კიდევ სიკეთე და სიმშვიდე ბევრად მეტია, ვიდრე ჩემს სამყოფლოში და ამ ადგილებს პირობა მივეცი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ბოროტი ვიქნებოდი ამ ადგილების მიმართ, სადაც ადამიანი ყოველთვის სიმშვიდეს პოულობს. უცბად გამახსენდა, რომ ხვალ ქალაქში ვბრუნდები.

ვაი, ჩემს გაძლებას, მთებო! უთქვენოდ რომ დავრჩები!

2006 წ. 2 აგვისტო

ვაი, შენ ჩემო საქართველოვ საით მიდიხარ...

აგერ უკვე, თითქმის ორი ათასი წელია, საქართველო ქრისტიანული, მართლმადიდებლური რწმენის მიმდევარი სახელმწიფოა და ამიტომაც არის, რომ იგი ანტიქრისტიანული ძალების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. მათი მახვილი მარჯვედ მოიმართა ჩვენსკენ, რომ დაგვაკარგინონ რწმენა, ეროვნულობა და ტრადიციები. სიღარიბის უკიდურეს ზღვრამდე მისულ ადამიანებს საქართველოს ბედზე ფიქრის დრო აღარ დარჩათ და ჩვენი ბედი უცხო ტომის ხალხის ხელში გადავიდა. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა საუცხოოდ შეისწავლეს ადამიანების ფსიქიკა და მათზე ზემოქმედების ყველა დეტალი, რასაც დღეს წარმატებით ახორციელებენ საქართველოს წინააღმდეგ. საქართველო კი, ამასობაში, სულს ღაფავს და მიექანება უფსკრულისაკენ. მათ შეძლეს და ახალგაზრდობის ნაწილი გადაიყვანეს მათთვის სასურველ ორიენტაციაზე. ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა ქართული სიტყვები. მათ ადგილს უცხო სიტყვები იკავებენ. არადა, ვინ იცის, სულხან-საბა ორბელიანს რამდენი შრომა დასჭირდა „ქართულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის“ შესადგენად. საქართველომ დაიწყო წვრილ-წვრილ ნაწილებად დაყოფა, როგორც ეს მეთექვსმეტე – მეჩვიდმეტე საუკუნეებში მოხდა. ჩამოვარდა ერთმანეთს შორის მტრობა, შუღლი, სიძულვილი და ჩვენივე ხელით გამოვუტანეთ საკუთარ თავებს განაჩენი. საქართველო დაემსგავსა კალაპოტმოშლილ მდინარეს, რომელიც გაიშალა ფართო რიყეზე და წვრილ-წვრილ ნაკადებად ჩამოყალიბდა. თვითოეულ ამ ნაკადს ოდნავ დიდი ქვაც რომ დახვდეს წინ, მიმართულებას შეუცვლის და სხვა მხარეს წაიყვანს. ზოგი კი მიწის ნაპრალებში ჩაიკარგება საერთოდ.

ჩემო საყვარელო ქართველო ხალხო, სწორედ ახლა, ამ კრიტიკულ მომენტში გვჭირდება უდიდესი რწმენა და ერთმანეთისადმი დიდი სიყვარული, რომ უფალმა ზურგი არ შეგვაქციოს და არ მიგვცეს მტერს საჯიჯგნად.

დიდი ილია ამბობს: „ერი, რომელიც თავის წარსულს ივიწყებს, კარგავს თავის სახეს“. ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ჩვენი წარსული და დავკარგოთ იერ-სახე, თორემ იმ სოფელში რა პირით უნდა წარვდგეთ ჯერ უფლის წინაშე, მერე კი ჩვენი წინაპრების წინაშე, რომელთა სისხლიც ჯერ არ შეშრობია ქართულ მიწას. ჩვენ ვალდებულნი ვართ რეალურად დავინახოთ კარზე მომდგარი საშიშროება და უმალ ალესილი ხმალი დავუხ-

(მორიდებით მე შენს სახელს ვიკითხავ) 38
მოუთმენელი ლოდინი **38**
მუხათგვერდის სასაფლაოზე **39**
(მზე ღრუბლების მერდინს ხევს) 40
(მზის სხივებმა ბეთანიის გუმბათს) 41
(ნაცნობ ქუჩაზე თეთრ კაბაში გოგონა იდგა) 42
ხორნაბუჯის ციხესთან **42**
პოეზიას **43**
ქეთი ყალაბეგაშვილს **44**
ქეთი ყალაბეგაშვილს **45**
ქეთის და მაკას **46**
(რა ლამაზად ხედავს თვალი) 47
(რა ხანია მივატოვე ბავშვობა) 48
(როცა ღამესთან პირისპირ ვრჩები) 49
(სად არ ვკეცე შარა გზები) 50
შემოდგომა თბილისში **51**
(შენ იყავი ჩემთვის მწარე სილა) 52
შენ მიყვარხარ **53**
(შენი სიყვარულის მე დავრჩი ერთგული) 53
(სიზმარში გნახავ, გამელვიძება, შევკრთები უცბად) 54
(ტაშისკარიდან მარტყოფამდე გზაზე ბინდია) 55
(უკვე მინდორში ყაყაჩო ჰყვავის) 55
ვაჭასებურად **56**
(წუხელ მეტკინა ჩემი სიზმარი) 57
(წვიმის წვეთები ნაკადულს ერთვის) 58
(უმოძრაობა მოსწყინდა კარებს) 59
ქავთარ ქაჯიფაისძეს **60**
ათი წლის თამთას **61**
(ჩვენს გატანჯულ სხეულებს) 62
(გათენებულა, მზის სხივებმა ბინდი აჰყარა) 64
(კალმახი, აღმა მავალი) 65
(მე შენზე ბევრი სტრიქონი ვწერე) 65
(მე უშენოდ გაყინული რტო ვარ) 66
(მწვანედ ხასხასებს ტყე-ყანა) 67
(წლები ჩვენგან ტალღებივით მიდიან) 68
(მარაბდაზე წუთებს ითვლის ღამე) 69
(ფიქრის შავი იალქნები) 70
(ჩემთვის პარლამენტია საქართველოს მთა-ველი) 71
(უშენოდ სიჭაბუკე გავიდა...) 72

ზამთარი ჩემს სტრიქონებში **73**
(ძველი დმანისის სითბო და ეშხი) 74
(როცა დედამ გამაჩინა ამ ქვეყნად) 75
(საქართველოა კვირტი ყვავილის) 76
(უცბად მოსული წვიმების თქეში) 77
დღევანდელ საქართველოს **78**
(მოგეპარა ზამთრის თვე უხალისო) 79
(კაცი უნდა კაცი იყო) 79
(შენს თვალებში არ სჩანს ფონი) 80
(მე შენთვის ბევრჯერ მინდოდა მეთქვა) 81
მთებს **81**
(ზამთრის ბედი სწორედ მაშინ წახდება) 82
(ღამის ქალაქი, ლამპიონების შუქით დაღლილი) 82
(მაგ შავ თვალების მოკამკამე უძირო სივრცე) 83
(ამ გაზაფხულს გნახე ცხადში) 84
(ციდან მოფრინავენ სტრიქონები) 85
დათო კიკოლაშვილს **86**
ეკას **87**
გაჯავრებულ თერგს **88**
(კვლავ გათენდა, ახლა ცაზე) 89
(გაზაფხულია და უფრო მეტ ხანს) 90
გოგონა პანამით **90**
შეხვედრა გავშობასთან **91**
კვლავ გეფერები ლექსით, სამშობლოვ! **92**
(როგორ მინდა ერთად ვიყოთ) 93
გერმანოზიშვილის ეპიტაფია **94**
მაკას დაბადების დღეს **95**
(მე ჩავისახლე უკლებლივ სულში) 96
(ზეცაზე მთვარე ჰამაკივით ჩამოეკიდა) 97
(ქარი სტვენით დათარეშობს ჭალაში) 98
(სანამ თვალებში მიდგას სინათლე) 98
თამუნას **99**
(თბილისის ქუჩებს მოასკდა ბინდი) 100
(თოვლი არ არის სულის ტკივილი) 101
(წამო, ძმებო, წავიდეთ) 101
(ხანძთელთა და მეფეთ გვართა ქალაქო) 102
(ზამთრის სუსხიანი მანდილი) 103
(ეს გაზაფხული ჩემთან ერთად როგორ ბობოქრობს) 104
გოჩა სახვაძეს **104**

(ჯარში გამიშვა დედამ) 105
თამთას და ცისიას **106**
(თუ ხმალი ჟანგმა შეჭამა) 107
(სადაც შენ ხარ, ჩემი მზერაც იქ არის) 108
(ჩემო კლარჯეთო, ტაო) 108
(ზღვის ტალღებივით მოვარდნილ ლექსებს) 110
(სანამ ამ სოფელს წაგვართმევს ბედი) 110
(დრო მოვა, როცა ყველა გავქრებით) 111
(დღეს საქართველოს გლეჯენ ყორნები) 111
ბანას **112**
(სიზმრებს ვამხედრებ რძისფერ ცხენებზე) 113
(მე დავიტირებ წინაპართა ძვლებს ცრემლით მართლით) 114
(შენი ზარები დადუმდნენ, ბანა) 114
(როცა ჩემს სულში სახლდება გრემი) 115
(გადაუთეთრდათ მწვერვალებს წვერი) 116
დათოს დაბადების დღე **117**
(გაყინულ სარკმელს ვეხეთქები ფიქრიან შუბლით) 118
(შენი ტუჩები ალუბლის ფერია) 118
(მთებს ნისლები მოაწვა) 119
(შენზე ნაფიქრ ყოველივე სიტყვას) 120
უსიყვარულოდ **121**
ქუჩა, რომელიც მიყვარდა **122**
ნათიას **123**
(ცამ კვლავ გაზაფხული შეისუნთქა) 124
(ზამთარი მწარედ გვიჭერს მარწუხებს) 124
ხანძთის მონასტერს **125**
(შემოდგომა კი ისევ წავიდა...) 126
(ეგ შენი სული, უხვად შემკული) 126
(ისმის კვირტების ერთმანეთში ჩუმი ჩურჩული) 128
(ღამემ ჩამოდგა კარავზე ტერფი) 129
(ღამეს მივათრევ მოთმენით) 129
თბილისი ღამით **130**
(წარსულში ცურავს ფიქრების გემი) 131
(აფორიაქდა გული და მიწა) 132
(შენი თვალები ისე მათბობენ) 133
(დგას ანგელოზი ფერისცვალების) 134
(თუ შენ ჩემს მიმართ იქნები გულქვა) 134
(ფოთოლცვენა დაწყებულა, თეა...) 135
ტაო-კლარჯეთს **135**

(მე ვარ ყოველი თქვენგანის სითბო) 136
განმარტოვებულ ნაძვს, ... **136**
რომელმაც შხაპუნა წვიმისგან დამიფარა **136**
(იწვის სხეული, თეთრი აისი) 137
(არ მსურს წლებმა სანთელივით დამადნოს) 138
სარვამარტო **138**
(დღე სანთელივით ჩაიწვა, ჩაქრა) 138
ბავშვობის გახსენება მეგობართან ერთად **139**
დაშლილ მონასტრებს **140**
ბანასთან **141**
(ტახტიდან რომ მთვარე წამოიწევა) 141
(ისევ ჩაიწვა ჟამი ფიფქების) 142
(დაღლილ ქედებზე გაზაფხულის დაეშვა ფარდა) 142
(ნისლივით ქრება თვალებში დაღლა) 143
სერიოზული ხუმრობა **144**
(მალე ზაფხული ისევ გვეწვევა) 144
პასუხი მათ, ვინც მკითხა, თუ რატომ დავდივარ ამდენს **145**
(იჩქარეთ, დრო გვიყეფს ავადა) 146
რუსუდან კენჭოშვილს **147**
(შედედებულა კლდეებზე ნისლი) 148
(შენ ოცნებების ბაქანზე მდგარი სიყვარულს ელი) 149
(მე დავიტირებ წინაპართა ძვლებს ცრემლით მართლით) 149
(გაზაფხული უკვე ცეცხლის ფერია) 150
(ხმალმა დამკუწოს, დამჩეხოს) 151
(დღე გაიძურწა, ვით მხდალი ყოჩი) 152
(წლების ფუჭად ფანტვა, გრძნობას სევდით ავსებს) 153
(გახსოვს სიყრმის წლების მძაფრი თარეში?) 154
(კვლავ ჰყეფავს სუსხი იებს სიავით) 154
(სისხლის წვეთები ალბობდა ხნულებს) 155
(წვიმს და ოცნება კარავს გარს უვლის) 156
(ფურცლებზე დასხდნენ სტროფების წყება) 157
(მზემ დააბნია სხივები ბანზე) 158
(დგას გაზაფხული – ფერთა ნუგეში) 159
(მთელი დღე წვიმდა, წვიმდა და წვიმდა) 160
(ჩემი გული სანთელივით ანთია) 161
(დასეტყვილ ვენახს ვგავარ უშენოდ) 162
(მზემ დაანთო ცაზე ცეცხლის ალი) 163
(რას ჩურჩულებენ, ნეტავ, ფრესკები) 164
(დღეს არ ქრის ქარი, მტკვარია მშვიდი) 165

(როგორც ირმისთვის ანკარა წყარო) ... 166
(ნაცნობ ფიქრებს ვკრეფ ცის ლურჯ თვალებში) ... 167
(დადგა აპრილი და მწვანე მინდვრებს) ... 168
წმინდა გრიგოლ ხანძთელს ... 169
(მტკვარი დიოდა, როგორც ყოველთვის) ... 170
პირველი კოცნა ... 170
(გულში კვლავ გინთებ სანთელს) ... 172
(თოვს, ხეობაში სიჩუმე ჩაწვა) ... 173
(შენი მონატრება ისე ძლიერია) ... 174
(ჩამოჯექი ჩემთან ახლოს, ქალო) ... 175
(ცა აელვარდა, ვით ბროლის ჭაღი) ... 176
(მე უშენობა ავკინძე დარდად) ... 177
(ისნის გოდოლზე ძველ ჭიშკარს ვკეტავ) ... 177
(თვალებში სევდა ფეთქავს გულივით) ... 178
(ჯერ კვლავ ქედები შეფუთულია ტყვიისფერ ნისლით) ... 179
(ეჰეი, მტკვარო! სიყვარულით დავრჩი სნეული) ... 180
(მე მინდა შენი სიყვარულის მქანცავდეს გზები) ... 180
(მზერას ვაყოლებ გაფრენილ ხოხობს) ... 181
(სულს ამოსულო ლერწამო) ... 182
(სიმართლის კედლებს არღვევს ბზარები) ... 183
(ეს ყველაფერი თამაშს ჰგავს თითქოს) ... 184
დათოს ოპერაციის შემდეგ ... 185
ჩემი დაბადების დღისთვის ... 186
(მადლი გამიწყრა ბარაქის) ... 187
ისევ და ისევ გაზაფხული ... 188
(უშენოდ გულში მეყრება დანა) ... 188
(გაზაფხულთან ერთად სულიც ღელავს) ... 189
დაბადების დღის მილოცვა ... 190
(დრომ ჩამიარა ამაოდ) ... 191
ხევსურეთში ... 192
უიმედო სიყვარული ... 193
დავითის ფრესკას ... 194
(როცა გული სიყვარულით მთვრალია) ... 195
(კვლავ თეთრ კაბაში ვნახო ტყემალი) ... 195
(მცირდება კვლავაც შენამდე სივრცე) ... 196
(ცამ ჩამოყარა თეთრი ფიფქები) ... 197
(ძვლებში დაიმტვრა სიცივე) ... 198
(აპრილი მთა-ბარს ითვისებს) ... 199
(მივტირი გრძნობებს გათელილს) ... 199

(დავდივარ მარტო, ვით მაწანწალა) ... 200
ღვინოგისთვე ... 201
(ცამ ჩამოყარა თბილი სხივები) ... 202
(თეთრი ბარაქით აივსო მთები) ... 202
(ზამთრის სუსხით დაზაფრული) ... 203
(მინდა ვიტირო, მაგრამ ვერ ვტირი) ... 204
(ეს წლები ისევ მიდიან სადღაც) ... 205
(თოვლი და ყინვა უკვე მითია) ... 206
დედის საფლავთან ... 207
(ამ ცხოვრებაში რამდენი რამე ჩვენ გვიხარია) ... 208
(მკერდშელეწილი ბირთვისი გოდებს) ... 209
(წლების ფუჭად ფლანგვა გრძნობას სევდით ავსებს) ... 209
(დილის მზემ მინდორს თვალები მოსჭრა) ... 210
კვლავ დედის ხსოვნას ... 211
(მე ძველებური სიმძაფრით მიყვარს ყოველთვის შენი) ... 211
(მწარედ მახსოვს შენთან განმარტოება) ... 212
(შემოდგომამ კვლავ ფერები არია) ... 212
(ჩვენი გზა ხომ ანბანია ქართული) ... 212
(მოულოდნელად დაგეკონე მწიფე ტუჩებში) ... 212
(ვიღას უქებ ლექსს შავთელო) ... 213
გილოცავ დაბადების დღეს ... 214
(დღეს მინდა ძლიერ დავსველდე წვიმით) ... 215
ზურას ხსოვნას ... 216
ოდესღაც ... 217
(ეს მერამდენე წელია მტკვარი) ... 218
(ხალისით უტევს მერცხალი ტალღებს) ... 218
(დამთავრდა ღამე, როგორც ზღაპარი) ... 219
(თუმცა დრო ცვითავს სიცოცხლეს) ... 220
(თიკო კოგიძეს ... 221
(ჩაღამებულა სველ ფიქრში სევდა) ... 222
ციხის კედლებთან ნაპოვნი სიყვარული ... 223
პაემანი რუსთაველზე ... 224
(მოდის აპრილი, სულიც გახევდა) ... 225
იმ ღამის ქალბატონს ... 226
(ქვეყნად არავის, მხოლოდ შენ გელი) ... 227
ვაი, შენ ჩემო საქართველოვ საით მიდიხარ ... 238